



SCIENTIA

პირველი საერთაშორისო THE FIRST INTERNATIONAL
სამეცნიერო კონფერენცია SCHOLARLY CONFERENCE

გამოწვევები და ტენდენციები
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

CHALLENGES AND TRENDS
IN THE HUMANITIES

2021



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Scientia

პირველი საერთაშორისო THE FIRST INTERNATIONAL
სამეცნიერო კონფერენცია SCHOLARLY CONFERENCE

გამოწვევები და ტენდენციები
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში
CHALLENGES AND TENDENCIES
IN THE HUMANITIES

მოხსენებათა მოკლე SHORT CONTENTS OF
შენაარსები THE PAPER

25-26
ნოემბერი | NOVEMBER
2021

თბილისი, საქართველო | GEORGIA, TBILISI

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი
და რედაქტორი:

მანუჩარ გუნცაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საორგანიზაციო კომიტეტი:

გორ მარგარიანი | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

ჭიროტაკე მადეა | ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი

ზურაბ თარგამაძე | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

ვლადიმერ კეკელია | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხათუნა ბაინდურაშვილი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოფიო ქადაგიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შოთა მათითაშვილი | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

ლევან კოჭლამაზაშვილი | არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მიხეილ ქართველიშვილი | ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ჩხატარაშვილი | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

ციცინო გულედანი | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამაზ გოგოლაძე | კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-8-3916-0

DOI 10.51364/26679604.jcpr.2021.v01

HEAD OF THE CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE
AND EDITOR:

Manuchar Guntsadze | Korneli Kekelidze Georgian National
Centre Of Manuscripts

ORGANIZING COMMITTEE:

Gor Margaryan | Armenian National Academy of Sciences

Hirotake Maeda | Tokyo Metropolitan University

Zurab Targamadze | Humanities Research Center

Vladimer Kekelia | Korneli Kekelidze Georgian National Centre
Of Manuscripts

Khatuna Baidurashvili | Korneli Kekelidze Georgian National
Centre Of Manuscripts

Sopio Kadagishvili | Ivane Javakhishvili Institute of History And
Ethnology

Shota Matitashvili | Central European University

Levan Kochlamazashvili | Arnold Chikobava Institute of Linguistics

Mikheil Kartvelishvili | Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Guram Chkhartishvili | Batumi Archaeological Museum

Tsitsino Guledani | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts

Tamaz Gogoladze | Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts



კონფერენცია ტარდება ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით

THE CONFERENCE IS BEING HELD WITH THE FINANCIAL
SUPPORT OF TBILISI CITY HALL

კონფერენცია ტარდება სამეცნიერო ჟურნალ Scientia-ს ეგიდით. კონფერენციის მოკლე შინაარსების კრებულში შესულია ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ მოხსენებების სახით იქნა წარმოდგენილი. ამას გარდა, მოხსენებების ნაწილი წარმოდგენილი იყო სტატიები სახითაც. შესაბამისად ის მოხსენებები, რომლებიც ჟურნალში დაიბეჭდება სტატიების სახით, მათი მოკლე შინაარსები წინამდებარე კრებულში არაა შესული.

ამასთანავე, ყველა იმ მოხსენებას, რომელიც წარმოდგენილია კონფერენციაზე, გავლილი აქვს მინიმუმ ორმაგი ფარული რეცენზირება.

კონფერენციის კრებულს მინიჭებულია აქვს როგორც ბეჭდური პუბლიკაციის საერთაშორისო ISBN კოდი, ასევე Crossref-ის მხარდაჭერით გაცემული DOI ნომერი.

The conference will be held on the basis of the scholarly journal – Scientia. The short contents of the papers include the articles that are read only at the conference, but part of presentations are full papers that will be published in the journal, therefore short contents of these papers are not published in the conference summary.

In addition, all papers presented at the conference have undergone at least double peer review.

The conference proceedings are assigned an International ISBN Code for Print Publication as well as a DOI number issued by Crossref support.

პროგრამა

PROGRAM

კონფერენციის ადგილი:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრი, ელენე მეტრეველის სახელობის
საკონფერენციო დარბაზი
მისამართი: მ. ალექსიძის 1/3

Conference venue:

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Elene
Metreveli Conference Hall
Address: M. Aleksidze 1/3

დისტანციური მონაწილეობისათვის გამოიყენეთ Zoom-ის
პლატფორმა

Use the Zoom platform to participate online

Meeting ID: 356 548 7851

Passcode: scientia

ან დაასკანერეთ QR კოდი
Or scan QR code



რეზლამენტი | TIME LIMIT

მოსხენება: 15 წუთი
დისკუსია: 5 წუთი

Report: 15 min.
Discussion: 5 min.

25 ნოემბერი

10:00-10:30 | რეგისტრაცია

10:30-11:00 | კონფერენციის გახსნა

25 ნოემბერი

სესია I

11:00-13:00

სექციის თავმჯდომარე | შოთა მათითაშვილი

გორ მარგარიანი | საქართველო საერთაშორისო ვაჭრობის გზაჯვარედინზე მე-18 საუკუნის შუა ხანებში (შარლ დე პეისონელის მიხედვით)

ჰარუთიუნ ხუდანიანი | გამოჩენილი ქართველი ურარტოლოგის, გიორგი მელიქიშვილის ახალი გამოუქვეყნებელი მასალები მისი პირადი არქივებიდან გ. მელიქიშვილი და არმენოლოგია

ხათუნა ბაინდურაშვილი | ქართველებსა და ისმაილიტებს შორის ურთიერთობების ისტორიიდან

თამარ გასიტაშვილი | სპარსული ნასესხობანი „რუსუდანიანიში“ (სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური დამხმარე ჭურჭელი)

ქეთევან გიგაშვილი, ირაკლი ორჟონია | „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ხელნაწერთა ბერძნულ ტექსტთან მიმართების საკითხისათვის

ნინო თავართქილაძე | გვიან ანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია

13:00-14:00 | შესვენება (ყავის დასალევად)

სესია II

14:00-16:20

სექციის თავმჯდომარე - ნიკოლოზ ჟღენტი

თემო ჯოჯუა | იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი (Jer.Geo.153) და ჯვრის მონასტრის მოურავის იოსებ წალკელის მინაწერი საბუთი წიგნის შემომწირველების - პავლეს, ბასილის, მიქაელ ხუცესისა და ოპიზის მონასტრის მოხსენიებით (1140-1180-იანი წწ.)

თამაზ გოგოლაძე | X-XI საუკუნეების დღემდე უცნობი ქვაჯვარას წარწერა კალონაპეტრისძისა და მიქაელ მჭედელის მოხსენიებით ქალაქ ყარსიდან (ისტორიული კარიდან)

ნიკოლოზ ჟღენტი | მამნე ოქრომჭედლის უცნობი ნამუშევარი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან და მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი

ირაკლი ფალავა | ხუაფის ლაპიდარული წარწერა (პალეოგრაფიული ნიშნებისა და წოდებულების დამატებითი ანალიზი)

ირაკლი ფალავა | შუასაუკუნოვანი ქართული მონეტა ბაგრატ მეფის მადიდებელი ზედწერილით

ელენე გიუნაშვილი | საქართველოს ძველი არამეული ეპიგრაფიკა: შესწავლის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები

თეა გოგოლიშვილი | Gesta Francorum-ის დათარიღების საკითხისათვის

26 ნოემბერი

სესია III

11:00-13:00

სექციის თავმჯდომარე | მიხეილ ქართველიშვილი

ზაზა ცინაძე | ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო საქმიანობა 1918-1919 წლებში

გიორგი ბუცხრიკიძე | 1991 წლის „აგვისტოს პუტჩი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისადმი (ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების მიხედვით)

ნატო სონდულაშვილი | განათლება და ეროვნული უმცირესობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921)

თეიმურაზ ქარელი | საბჭოეთის კოლაფსის საისტორიო პარადიგმები რუსისტიკაში

მიხეილ ქართველიშვილი | „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ბრძოლა აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ

მალხაზ არჩვაძე | თხრობის სტრატეგიები საკუთარისა და უცხო კვლევითვის: ქართულ-სპარსულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციათა შეხვედრა მე-17-18 საუკუნეებში

13:00-14:00 - შესვენება (ყავის დასალევად)

სმსია IV

14:00-16:20

სექციის თავმჯდომარე | ლევან კოჭლამაზაშვილი

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ქელიძე | ს.ს. ორბელიანი „სიტყვის კონაში“ დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრების ლექსიკონში“

ნათია კენჭიაშვილი | რიტორიკის პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი სახელმძღვანელო: „მოკლე რეტორიკა“

ოთარ გაბუნია | ni3-ge16(GI%GI)-ის მნიშვნელობის დაზუსტება ზიუსდრას მითში(CBS 10673) და მისი აქადური შესატყვისის nammaštûm/nammaššûm ზოგადი სემანტიკის ხელახალი ინტერპრეტაციისთვის

ნანა ცეცხლაძე, მზია სახუტაიშვილი | ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის, დიგიტალიზაცია ენობრივ მონაცემთა მართვის თანამედროვე პროგრამულ პაკეტ FLEx-ის გამოყენებით

ლევან კოჭლამაზაშვილი | ხათური kaštiban სიტყვა-ფორმის განმარტებისთვის

თორნიკე პოილარაშვილი | armai- ხეთური ზმნის გააზრებისათვის

მაია ბარნაველი | “მამაო ჩვენო“ ლოცვის სხვადასხვა ვარიანტები ძველ ქართულ ხელნაწერებში

25 November

10:00-10:30 | Registration

10:30-11:00 | Conference Opening

25 November

SESSION I

11:00-13:00

Chairperson | Shota Matitashvili

Gor Margaryan | Georgia at the Crossroads of International Trade in the Mid-18th Century (According to Charles de Peyssonnel)

Harutyun Khudanyan | New Unpublished Materials From The Personal Funds Of Georgian Prominent Urtologist Giorgi Melikishvili: G. Melikishvili And Armenology

Khatuna Baidurashvili | The History of Relations between Georgians and Ishmaelites

Tamar Gasitashvili | Persian Loans in “Rusudani” (Specific Supplementary Vessels of Diverse Functions)

Ketevan Gigashvili, Irakli Orzhonia | The Relation between the Manuscripts of „The Life and Martyrdom of Eustathius“ and the Greek Text

Nino Tavartkiladze | Reconstruction of the Standard of Life of Georgia’s Population in the Late Antique and Early Medieval Epochs

13:00-14:00 | Coffee Break

SESSION II

14:00-16:20

Chairperson | Nikoloz Zhghenti

Temo Jojua | The Gospels Presented to Samtsiro Georgian Monastery of Nuns in Jerusalem (Jer.Geo.153) and the Inscription Made by the Jvari Monastery Mouravi Ioseb Tsalkeli with the Mention of the Presenters of the Gospels – Pavle, Basil, Priest Michael and the Monastery of Opiza (1140-1180)

Tamaz Gogoladze | The Unknown Inscription of Kvajvara (X-XI Centuries) Mentioning Kalonapetrisdze and Blacksmith Michael from Karsi (Historical Kari)

Nikoloz Zhghenti | The Unknown Work of Goldsmith Mamne at St George Monastery and its Peculiar Unique Iconographic Detail

Irakli Paghava | The Lapidary Inscription of Khuapi (Additional Analysis of Paleographic Marks and Titles)

Irakli Paghava | The Medieval Georgian Coin with the Inscription Glorifying King Bagrat

Elene Giunasvhili | The Old Aramaic Epigraphic Monuments in Georgia: The History of Study and the Issues of Contemporary Research

Tea Gogolishvili | For the Issue of dating Gesta Francorum

26 November

SESSION III

11:00-13:00

Chairperson | Mikheil Kartvelishvili

Zaza Tsinadze | Pre-election activities of the Central Parliamentary Election Commission in 1918-1919

Giorgi Butskhrkidze | 1991 "August Putsch" in Moscow and the Attitude of the Georgian Authorities (Based on the Materials of the British and Irish Press)

Nato Songhulashvili | Education and National Minorities in the First Republic of Georgia (1918-1921)

Teimuraz Kareli | The Historical Paradigms of the Collapse of the Soviet Union in Russian Studies

Mikheil Kartvelishvili | „The Union of Warrior Atheists“ Struggle Against the Easter Holiday

Malkhaz Archvadze | The Strategies of Narration in the Research of the Native and the Alien: the Contacts of Georgian-Persian Historiographic Traditions in the 17th and 18th Centuries

13:00-14:00 | Coffee Break

SESSION IV

14:00-16:20

Chairperson | **Levan Kochlamazashvili**

Nana Khocholava-Machavariani, Davit Chelidze | The Place of Certain Phitonyms Found in S. S. Orbeliani's „Georgian Dictionary“ in “The Collective Dictionary of Plant Names”

Natia Kenchiashvili | The First Georgian Printed Manual of Rhetorics: „Brief Rhetorics“

Otar Gabunia | Identification of the Meaning of ni3-ge16(GI%GI) in Ziusudra Myth (CBS 10673) and a New Interpretation of the General Semantics of its Acadian Correlate nammaštûm/nammaššûm

Nana Tsetskhladze, Mzia Khakhutaishvili | Digitalization of Georgian as an Agglutinative Language Using Language Data Management Program Package FLEx

Levan Kochlamazashvili | Definition of the Hutt Word-Form kaštiban

Tornike Poilarashvili | On the Meaning of the Hitite Verb armai

Maia Barnaveli | Different Versions of the Lord's Prayer in Old Georgian Manuscripts

მოსსენებათა
მოკლე შინაარსები

SHORT CONTENTS OF
THE PAPERS



www.scientia.ge

არუთიუნ ხუდანიანი

სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი

გამოჩენილი ქართველი ურარტოლოგის, გიორგი მელიქიშვილის ახალი გამოუქვეყნებელი მასალები მისი პირადი არქივიდან: გ. მელიქიშვილი და არმენოლოგია

გიორგი მელიქიშვილი - ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი, კონკრეტულად ურარტოლოგიასა და წინა აზიის ისტორიაში განსწავლული, უფრო ფართო პერსპექტივაში, ასევე შეიძლება ჩაითვალოს არმენოლოგად, ვინაიდან ურარტუ, მისი თითქმის 20 წლიანი არსებობით, სომხეთის მთიანეთის ისტორიის უმდიდრეს ეპოქებს წარმოგვიდგენს.

გ. მელიქიშვილის ასეთი აღქმა სულ უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდება, განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როდესაც მრავალი ახალი გამოცემა და აკადემიური ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელთა წარდგენასა და განხილვას ადგილი ჰქონდა სამეცნიერო წრეებში. ამ თვალსაზრისით, გ. მელიქიშვილის მიერ 1960 წელს გამოქვეყნებული ურარტული ლურსმული წარწერების კრებული¹ უპრეცედენტო სამეცნიერო წარმატება გახლდათ ურარტოლოგიაში. ეს კრებული პირველადი წყარო იყო საგულდაგულოდ დამუშავებული მრავალტომიანი გამოცემის სახით მათთვის, ვინც ახლო აღმოსავლეთის, ამიერკავკასიის და, კერძოდ, ურარტუს, ასირიისა და ანტიკური მსოფლიოს ძღვევამოსილი სახელმწიფოების უძველესი ისტორიის შესწავლით გახლდათ დაკავებული.

ამასთანავე, გ. მელიქიშვილის სიცოცხლეშივე გამოცემული ბეჭდური მასალისა და მისი სიკვდილის შემდგომ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მისივე ცნობილი მემუარების,

1 Меликишвили Г. А. Урартские клинообразные надписи. — М.: Изд-во АН СССР, 1960. — 504 с

აზრებისა და სხვა სტატიების გარდა¹, გამოჩენილი მეცნიერის უზარმაზარი, ჯერ კიდევ დაუარქივებელი მასალები დღეს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. აღნიშნული აკადემიური დაწესებულების ადმინისტრაციის სპეციალური ნებართვით, ამ სტრიქონების ავტორმა გამოიკვლია გ. მელიქიშვილის გამოუქვეყნებელი მასალები². კვლევითი საქმიანობის შედეგად, აღმოვაჩინეთ წერილები, მიმოხილვები, ხელნაწერი ასლები, გაზეთები, მოსაწვევები და სხვა სახის მასალები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სომხეთსა და არმენოლოგიასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენა გ. მელიქიშვილის ავტობიოგრაფია, რომელიც მოყვითალო ფურცელზე მისივე ხელით არის დაწერილი და მის ერთ-ერთ რვეულში გახლდათ მოთავსებული, სადაც ქართველი მეცნიერი მის გვარს მიუთითებს, როგორც ქსენოფონტოს და არა მელიქიშვილს³. (ფოტო 1).

გ. მელიქიშვილი აქვე აღნიშნავს, რომ ფლობს ძველ ებრაულ, ასურულ-ბაბილონურ, ურარტულ, ძველ ბერძნულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს. მიუხედავად იმისა, რომ

1 გიორგი მელიქიშვილი 100: მემუარები, ისტორიული ეტიუდები, აზრები, სტატიები პერიოდულ პრესაში, მიმოხერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან: eds. ნ. მელიქიშვილი, ს. სარჯველაძე, კორნელი კეკელიძე, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2019 (ქართულ ენაზე).

2 უღრმეს მადლობას ვუხდით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს ბ-ნ ზ. აბაშიძეს, იმავე ინსტიტუტის მკვლევარებს გ. მელიქიშვილის საარქივო მასალებში კვლევის ნებართვისთვის. ასევე ბ. კეკელიას და მ. გუნცაძეს კეთილი მხარდაჭერისთვის. ასევე მენარმე ბ. მელიქონიანს და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ზ. ხოჯაბალიანს - ფინანსური და მორალური მხარდაჭერისთვის.

3 აღსანიშნავია, რომ ნიგნის პირველივე გვერდებზე წარმოდგენილ დოკუმენტებსა და საარქივო პირველად წყაროებში, რომელიც გამოჩენილი მეცნიერის დაბადების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, გ. მელიქიშვილის მამის წინაპრები მელიქიშვილის ნაცვლად ქსენოფონტოს გვარს ატარებდნენ. ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: გიორგი მელიქიშვილი 100: მემუარები, ისტორიული ეტიუდები, ფიქრები, სტატიები პერიოდულ პრესაში, მიმოხერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან: რედაქტორები. ნ. მელიქიშვილი, ს. სარჯველაძე, თბილისი, 2019, გვ. 19-20 (ქართულ ენაზე).

არ არსებობს ინფორმაცია გ. მელიქიშვილის მიერ სომხური ენის ფლობის შესახებ, რადგან მას ეს არასოდეს უხსენებია და მის ზოგიერთ ხელნაწერ წიგნში, სხვა ჩანაწერებთან ერთად, ძნელად თუ მოიძებნება რამე, ჩვენ მაინც ვხვდებით დახელოვნებულ ხელნაწერებს, შესრულებულს სომხურ ენაზე.

ამ კუთხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავად ხელწერა ეკუთვნის მელიქიშვილის მეუღლეს, არმენოლოგ ელენე დოჩანაშვილს, რომელიც, სავარაუდოდ, დაეხმარა ქმარს სომეხი მეცნიერების შრომების ზოგიერთი ნაწილის გადაწერასა და თარგმნაში, მათ შორისაა – ჰ. აჩარიანის, გ. ლაფანციანის, თ. ავდალბეგიანის, მთავარეპისკოპოს მესროპ სმბატიანცის, გ. ალიშანის, კ. ბასმაჯიანის, ნიკოლოზ ადონცის, არქიეპისკოპოს ჰუსიკის და სხვათა ნაშრომები. (ფოტოები 2-5).

ამ ნაშრომების უმეტესობა ეძღვნება ურარტულ წარწერებს და მათი აღმოჩენის ისტორიას. ისინი მე-19 საუკუნეში ან მე-20 ს-ის დასაწყისშია გამოქვეყნებული და ზოგიერთი მათგანი მოიცავს ლინგვისტურ კვლევას ურარტული და სომხური სიტყვების ეტიმოლოგიის და განსაკუთრებით ტოპონიმების, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მელიქიშვილმა განსაკუთრებით გამოიკვლია იმ სომხური სიტყვების ეტიმოლოგია, რომლებიც, სავარაუდოდ, ურარტული წარმოშობისაა ან ნახსენებია ურარტულ ტექსტებში და ქართულშიც აქვთ პარალელები.

ეს საკითხი გ. მელიქიშვილის ერთ-ერთ მთავარ კვლევით ინტერესს წარმოადგენს, რადგან მის ნაშრომებში ეტიმოლოგიას და მის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, რომლის მეშვეობითაც მეცნიერი ცდილობს მოახდინოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ენობრივი რეკონსტრუქციები, დაადგინოს ამა თუ იმ ეთნოლინგვისტური საზოგადოებისა და ჯგუფის ტერიტორიების განაწილება.

გ. მელიქიშვილის არქივში აღმოჩენილ სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია სომხეთთან და სომეხ ხალხთან, განსაკუთრებული ინტერესით და სიუხვით გამოირჩევა ერეხუნი-ერევნის 2750-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაწვევები და გაზეთები. (ფოტოები 6, 7).

1968 წლის 17-19 ოქტომბერს გამართული ზეიმი უდიდესი მოვლენა გახლდათ არა მხოლოდ საბჭოთა სომხეთის, არამედ მთელ მსოფლიოში მცხოვრები სომეხი ხალხისთვის. ეს

აგრეთვე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული სსრკ-ში, სადაც მოწვეული იყო მრავალი მონაწილე და სტუმარი 10 მოძმე საბჭოთა რესპუბლიკიდან და სხვა მეგობარი ქვეყნებიდან. სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში აკადემიკოსმა ვიქტორ ამბარცუმიანმა ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო სხდომა ჩაატარა, სადაც სხვადასხვა სფეროს არაერთი მეცნიერი მონაწილეობდა, რომელთა შორის ისტორიკოსებიც იყვნენ.

ერევნის საქალაქო საკრებულოდან, საიუბილეო კომიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან გ. მელიქიშვილს გაუგზავნეს მიპატიჟებები. მოწვევებისა და გაზეთების მრავალფეროვნებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი მეცნიერი დიდი პატივისცემით და მოწონებით სარგებლობდა სომეხ ხალხში. მეორე მხრივ, თავად გ. მელიქიშვილის მიერ მოსაწვევებისა და გაზეთების შენახვა მეტყველებს მეცნიერის კეთილგანწყობაზე და დაუვიწყარ მოგონებებზე მოპატიჟე მხარესთან მიმართებაში. რაც შეეხება გაზეთებს, ესენია „კომუნისტის“ და „საღამოს ერევნის“ საიუბილეო ნომრები, რომლებიც პირველ გვერდებზე ასახავს ერებუნი-ერევნის 2750 წლის იუბილეს, დღესასწაულებს და ქალაქის მოკლე ისტორიას. დოკუმენტების მეორე ნაწილი სომეხ მეცნიერებთან და მათ ნაშრომებთან დაკავშირებულ მიმოხილვებს, სამეცნიერო დისკუსიებს, წერილებსა და მიმოწერას ეთმობა. მათ შორის აღსანიშნავია გ. მელიქიშვილისა და მისი კოლეგის, ურარტოლოგ ნ. არუთუნიანის მიმოწერა. აგრეთვე სომხური აკადემიური ჟურნალის „სოციალური მეცნიერებების მაცნეს“ მთავარ რედაქტორთან, ვ. მიქაელიანთან მიმოწერა. ასევე აღსანიშნავია რეცენზიები მ. კატვალიანის, დ. სარქისიანის და სხვათა აკადემიურ ნაშრომებსა და დისერტაციებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გ. მელიქიშვილის მიერ დაწერილი ეს რეცენზიები ყოველთვის არ იყო ავტორის სასარგებლოდ, ამას ჩვენ ვხედავთ დ. სარქისიანის გამოუქვეყნებელ სტატიებზე დაწერილი მიმოხილვის შემთხვევაში, ვ. მიქაელიანის „სოციალურ მეცნიერებათა მაცნეს“ მოთხოვნის საპასუხოდ.“ მიმოხილვის შინაარსიდან ირკვევა, რომ გ. მელიქიშვილი პროფესიონალურად და ოსტატურად ასაბუთებს სტატიის აკადემიურ ჟურნალში გამოქვეყნების მიზანშეწონილობას.

მიუხედავად ამისა, ეს წერილობითი მტკიცებულებები, ზოგადად, მოწმობს სომეხ მეცნიერებთან მჭიდრო და მეგობრულ კავშირებს.

HARUTYUN KHUDANYAN

NAS Institute of History of
the Republic of Armenia

**NEW UNPUBLISHED MATERIALS FROM THE PERSONAL
FUNDS OF GEORGIAN PROMINENT URARTOLOGIST
GIORGI MELIKISHVILI: G. MELIKISHVILI AND
ARMENOLOGY**

Giorgi Melikishvili – one of the most outstanding and world famous Georgian scholars particularly specialized in Urartology and the history of ancient Asia Anterior, in a broader perspective can also be considered as an Armenologist, since Urartu with almost of its 250-years of existence presents one of the richest eras of the history of the Armenian Highland. This perception linked to G. Melikishvili becomes more and more convincing especially starting from the 1950s and after the collapse of the USSR when numerous new editions and academic papers were published, introduced to and discussed

among scientific circles. In that sense the corpus of Urartian cuneiform inscriptions¹ published in 1960 by G. Melikishvili was an unprecedented scholarly success in Urartology which served as a primary source in the form of a compiled voluminous elaboration for those who were engaged in the study of the history of Ancient Near East, Transcaucasia, in particular Urartu, Assyria and other powers of ancient world.

In addition to the printed materials of G. Melikishvili during his lifetime and what is known from the posthumously published collection of his memoirs, thoughts, articles in periodic press, etc.², the huge, still non-archived funds of the prominent scientist is at real time preserved at the K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. With the special permission of the senior administration of the mentioned academic institution, the author of these lines conducted studies in the unpublished funds of G. Melikishvili³. In the result of the research activities we encountered amount of letters, reviews, handwritten copy-books, newspapers, invitations and other kind of materials which are directly related to Armenia and Armenology.

First and foremost, we should note that one of the most important and interesting discoveries was the autobiography of G. Melikishvili written by his own hand on a yellowish piece of paper which was found in one of his copy-books, where the Georgian scholar presents his surname as Ksenofontov and not Melikishvili⁴ (Photo 1). Here, he mentions that he mas-

1 Меликишвили Г. А. Урартские клинообразные надписи. — М.: Изд-во АН СССР, 1960. — 504 с.

2 GIORGI MELIKISHVILI 100: Memoir, Historical Etudes, Thoughts, Articles in Periodic Press, Correspondence with Georgian and Foreign Scientists: eds. N. Melikishvili, S. Sarjveladze, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi, 2019 (in Georgian).

3 We extend our deepest gratitude towards Mr. Z. Abashidze – the Director of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts for the permission to conduct research in the non-archived funds of G. Melikishvili, researchers of the same institute B. Kekelia and M. Guntsadze for their kind support, as well as enterpriser B. Melkonyan and Candidate of Medical Sciences Z. Khojabaghyan for their financial and moral encouragement.

4 It should be mentioned that in the documents and archival primary sources presented on the very first pages of the book posthumously published and dedicated to the 100th birth anniversary of the prominent scientist, the paternal ancestors of G. Melikishvili bore the surname Ksenofontov, rather than Melikishvili. See about this in detail GIORGI MELIKISHVILI 100: Memoir, Historical Etudes, Thoughts, Articles in Periodic Press, Correspondence with Georgian and Foreign Scientists: eds. N. Melikishvili, S. Sarjveladze, Tbilisi, 2019, pp.

ters Old Hebrew, Assyro-Babylonian, Urartian, Ancient Greek, French, English, German. Although there is no information that G. Melikishvili mastered Armenian, since he never mentioned about it and one can hardly find anything on that, in some of his handwritten copy-books, among other notes, albeit infrequently, we can find a skilled handwriting of Armenian. In that aspect it may be assumed that the very handwriting belongs to Melikishvili's wife, Armenologist Elene Dochanashvili who probably helped her husband by copying and translating certain passages from the works of Armenian scholars, among them – Hr. Acharyan, G. Ghapantzyan, T. Avdalbegyan, Archbishop Mesrop Smbatyants, Gh. Alishan, K. Basmajyan, Nicholas Adontz, Archbishop Husik et al (Photos 2-5). Most of these works are devoted to the Urartian inscriptions and the history of their discovery published earlier, even either in the 19th c. or the beginning of the 20th c., some linguistic studies on the etymologies of Urartian and Armenian words and especially toponyms, historical geography, etc. It is notable that Melikishvili particularly examined those etymologies of Armenian words which are probable to have Urartian origin or mentioned in the Urartian texts and have their parallels in Georgian, too. This issue presents one of the main research interests of G. Melikishvili as etymologies and discussions on them in his works occupy a considerable place through which the scientist tries to make a historical-geographical and linguistic reconstructions, to localize the territories of dispersion of this or that ethnolinguistic societies and groups.

Among other documents found in the archives of G. Melikishvili which are linked to Armenia and Armenians, the invitations and newspapers of the festive celebration of the 2750th anniversary of Erebuni-Yerevan present special interest and stand out with their abundance (Photos 6, 7). The celebration which took place in October 17-19, 1968 was a huge event not only in the life of the residents of Soviet Armenia but also for the Armenians worldwide. It was also one of the significant holidays in the USSR where numerous participants and guests

were invited from the 15 fraternal Soviet republics and other friendly countries. On this occasion a scientific session was opened by Academician Viktor Hambardzumyan at the Presidium of the National Academy of Sciences of Armenia where numerous scientists of different spheres participated, among them historians, too. The invitations were sent to G. Melikishvili from the Yerevan City Council, the Jubilee Committee, etc. From the variety of invitations and newspapers, it may be assumed that the Georgian scholar was highly respected and welcomed by the Armenians. On the other hand, the preservation of the very invitations and newspapers by G. Melikishvili speaks about the scholar's kind attitude and unforgettable memories in relation with the inviting side. What concerns the newspapers, these are the jubilee issues of the "Communist" and "Evening Yerevan" which on their front page present the celebrations of the 2750th anniversary of Erebuni-Yerevan and the brief history of the city.

The other part of documents are reviews and scientific discussions, letters and correspondence related to the Armenian scholars and their works. Among them are notable the correspondence between G. Melikishvili and his counterpart, Urartologist N. Harutyunyan, V. Mikaelyan – the Chief Editor of the Armenian academic journal "Herald of Social Sciences", the reviews on the academic papers and dissertations of M. Katvalyan, D. Sarkisyan, etc. However, it should be highlighted, that these reviews authored by G. Melikishvili were not always in favor of the author as we can see in case of the review written on the unpublished article of D. Sarkisyan in response to V. Mikayelyan's request from the "Herald of Social Sciences". From the content of the review it becomes clear that G. Melikishvili professionally and skillfully substantiates the inexpediency to publish the article in the academic journal. Nevertheless, these written evidences, generally testify to the close and friendly ties with Armenian scholars.

Автобиография
Я, Георгий Александрович Косоножкин,
родился в 1918 году в г.р. Тбилиси Груз.
С.С.Р. в семье мелкого служащего. finished
в Тбилисской 14^{ой} полной средней школе,
карьеру окончил в 1935 году отличником. В
том же 1935 году поступил на исторический фа-
культет тбилисского государственного университета.
Во время учебы в университете принята активное
участие в работе студенческих научных кружков, читал
доклады на этих кружках, а также на общегородских
русских студенческих научных собраниях. В 1939 году
окончил исторический факультет университета
дипломом с отличием. В том же 1939 году был
зачислен аспирантом тбилисского университета
по специальности истории древнего Востока. В 1941
году меня, по решению президиума академии
наук Гр.С.С.Р., перевели в аспирантуру истории
академии наук Гр.С.С.Р., где я продолжаю
работу до сих пор, специализируюсь

(Photo 1: the front side)

по истории древнего Востока.
Во время учебы в аспирантуре изучал
языки: древнееврейский, ассирийско-вавилонский,
древнеармянский (у проф. Г. Верста), древнеаравийский
(у проф. С. Кухтывили), а также иностранные
языки: французский, английский, немецкий.
Кроме этого изучал историю стран древнего
Востока и Грузии (под руководством эл. С. Зинца)
и диплом. изучал материалы.
Теперь, продолжая работу по специальности
выступил докладом диссертация в разделе
на диссертационной работе "Возникнове-
ние урартского государства".
С 1932 года я являюсь членом В.А.К.С.М.

(Photo 1: the reverse side)

Միջին Լոբն. Օթեն Մոնոնուսում հոկտեմբեր
 Տեղեկագրեր և Խ. Ս. Կ.
 Գրքունթյունը յեղ արժեքի
 քննությունից
 (Կղեր խոսքն: Մշակության Մոնոնուս Խոսք
 ընդ: Մոնոնուս և Ս. Ս. Ամենայն)
 1827. Յեղ
 Օթեն Կղեր յ. թվազան Կղեր թվազան յեղ
 1-ը 23, 233 - 213-ը).
 Ընդ. Կղեր և Լեղեր
 " Ընդ թվազան ընդ թվազան յեղ
 ու Ընդ ընդ թվազան յեղ թվազան


(Photo 4)

Բոլորի արժեքն և ընդ
 թվազան է է: - ընդ Կղեր
 Կղեր և Լեղեր, Կղեր և
 Կղեր և Կղեր յեղ. Կղեր և Կղեր
 Կղեր և Կղեր. Կղեր և Կղեր,
 և Կղեր Կղեր, որ և Կղեր
 յեղ. Կղեր, Լ. Կղեր,
 Աղեր յեղ Կղեր Կղեր և Կղեր
 և Կղեր յեղ և Կղեր
 Կղեր յեղ: Մոնոնուս. Մոնոնուս.
 Մոնոնուս 1877, Կղեր 2
 Կղեր և Կղեր. Կղեր և Կղեր
 Կղեր յեղ. Կղեր: Կղեր.
 Կղեր յեղ: Կղեր և Կղեր,
 Սղեր յեղ - Կղեր, Կղեր 1877,
 Կղեր 25 Կղեր Կղեր է


(Photo 5)




(Photo 6: the front side)



(Photo 6: the reverse side)



(Photo 7: the front side)



(Photo 7: the reverse side)

ხატუნა ბაინდურაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართველებსა და ისმაილიტებს შორის ურთიერთობების ისტორიიდან (საკითხის დასმის მცდელობა)

XI საუკუნის ბოლოდან თბილისში ისმაილიტთა უკიდურესი მიმდინარეობის – ნიზარიტების სექტის წარმომადგენლები ჩნდებიან. მათი გააქტიურება XII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ხდება.

აღმოსავლურ და ქართულ წყაროებში უხვი ცნობები ქართველებისა და ირანელი ისმაილიტების შესახებ არ მოგვეპოვება. თუმცა, რაც გვაქვს, დიდ ინტერესს იწვევს და ჭერ-ჭერობით კომპლექსური კვლევის საგანი არ ყოფილა.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ საქართველოს ხელისუფლებასა და ირანელ ისმაილიტებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების ასპექტები.

ისმაილიზმის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰასან იბნ-საბაჰის მოღვაწეობა, რომელმაც შექმნა ალამუთის სახელმწიფო და უდიდესი როლი შეასრულა ირანის ისტორიის ახალი ეტაპის დაწყებაში.

რაშიდ ად-დინის გადმოცემით, ჰასან იბნ-საბაჰის მმართველობის დასასრულს (გარდ. 1124 წ.) ისმაილიტთა მოძრაობა გააქტიურდა ერაყში, აზერბაიჯანში, ხორასანში, მაზანდარანში, გილანსა და გურჯისტანში.

1138/39 წ. (ჰიჯრ. 533 წ.) თბილისელმა ასასინმა – ისმაილიტმა იბრაჰიმ დამლანიმ თბილისის ყადი მოკლა, რადგან მან თბილისში ისმაილიტებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ის ფაქტი, რომ რაშიდ ად-დინი ისმაილიტთა სექტის წარმომადგენელს, რომლის ნისბაც „დამლანია“ (დამლანელი), თბილისელად მოიხსენიებს, მის ადგილობრივ

მუსლიმთა თემისადმი კუთვნილებაზე მიანიშნებს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დამღანელი ისმაილიტი თბილისში დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა. იგი ალამუთიდან თბილისში გამოგზავნილი დაი იყო, რომელიც აქ ნიზარიტულ მოძღვრებას ქადაგებდა. იქიდან გამომდინარე, რომ ისმაილიტთა სახელმწიფო გეოგრაფიულად საქართველოდან არც თუ შორს მდებარეობდა, როგორც ჩანს, მათმა აგიტატორებმა – დაიებმა თბილისში ნიზარიტთა მოძრაობის დაწყებიდან მალევე შემოაღწიეს და ადგილობრივ მუსლიმებში მიმდევრებიც გაიჩინეს.

ქართული და სპარსული წყაროები არ საუბრობენ ისმაილიტების მიერ თბილისში ჩადენილი დანაშაულების შესახებ. თუმცა, ცხადია, რომ ასასინები მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით, მკვლევლობების ჩადენით მოქმედებდნენ.

აღნიშნულ პერიოდში (დემეტრე I-ს მეფობა) თბილისის მუსლიმებში წამყვანი მიმდინარეობა სუნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზჰაბი იყო. ის ფაქტი, რომ აღმოსავლური წყაროები თბილისში პოლიტიკური პირების მკვლევლობის შესახებ არაფერს ამბობენ, იმაზე მეტყველებს, რომ ალამუთელ ნიზარიტებს დაპირისპირება ჰქონდათ თბილისელ სუნიტებთან და არა საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან.

როგორც ირკვევა, მულიდების მიერ თბილისში ჩადენილი მკვლევლობები მიმართული იყო სუნიტი სასულიერო პირების მიმართ. ჩანს, რომ სუნიტების მიერ ერესად გამოცხადებულ ისმაილიზმს თბილისში ძლიერი მუსლიმური ოპოზიცია ჰყავდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო თბილისელი სუნიტებისა და ისმაილიტების დაპირისპირების მიზეზი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რაშიდ ად-დინთან დაცული ცნობა, რომელიც ალამუთის მესამე მმართველის – მუჰამმად ბუზურგ უმიდის დროს (1138-1162 წწ.) ქართველებსა და ისმაილიტებს შორის დაპირისპირებაზე მიგვითითებს.

რაშიდ ად-დინი წერს, რომ 1142 წ. თებერვალში ისმაილიტებმა დეშთე-დეილემანზე (გილანი) ლაშქრობისას დაიკავეს მუბარაქ-ქუჰის ციხე-სიმაგრე და ააგეს კიდეც

ერთი ციხე, რომლის სახელსაც ისტორიკოსი არ ასახელებს. ამის შემდეგ ისმაილიტებმა თავიანთი დარტყმა მიმართეს გურჯისტანზე. ისმაილიტებმა მათ (ქართველების – ხ. ბ.) ციხეს (არ ასახელებს – ხ. ბ.) ალყა შემოარტყეს და მალე კიდევ დაიკავეს. რაშიდ ად-დინის გადმოცემით, „რაფიყებმა, როგორც კი გურჯიების საქმე დაასრულეს, ალამუთში დაბრუნდნენ.“

იქიდან გამომდინარე, რომ რაშიდ ად-დინი ზუსტად არ ასახელებს ქართველებსა და ისმაილიტებს შორის დაპირისპირების ადგილს, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, კონკრეტულად რომელ ტერიტორიას გულისხმობს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეს დაპირისპირება საქართველოს უკიდურეს სამხრეთ პროვინციაში უნდა მომხდარიყო, რადგან სწორედ ამ მიწების სიახლოვეს იყო დეილემანისა და ჩრდ. აზერბაიჯანის ტერიტორია.

რაშიდ ად-დინის ეს ცნობა აჩვენებს, თუ რამდენად ახლოს იყო ისმაილიტთა სახელმწიფოს საზღვრები საქართველოსთან და სად იკვეთებოდა მათი ტერიტორიული ინტერესები.

აღნიშნული ფაქტი საქართველოში დემეტრე I-ის მეფობას ემთხვევა (1125-1156 წწ). იქიდან გამომდინარე, რომ დემეტრე I-ის შესახებ ქართულ წყაროებში მწირი ინფორმაცია გვაქვს, ლოგიკურია, რომ ეს ფაქტიც არსად დაფიქსირებული არაა. რაშიდ ად-დინზე დაყრდნობით შესაძლებელია ქართველებსა და ალამუთელებს შორის არსებული კონფრონტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის აღდგენა.

ქართული წყარო, რომელიც ირანელი ისმაილიტებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ გვანვდის ცნობას, არის ჟამთააღმწერელი.

ალამუთის ალყის დროს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ჩალათა ნოინი. ქართული წყაროს ცნობით იგი ასასინმა მოკლა. ჟამთააღმწერელი დაწვრილებით გადმოგვცემს მომხდარს, რადგან ნოინის მკვლელობაში მონაწილეების მხრიდან ეჭვმიტანილები ქართველები იყვნენ. მომხდარზე რაშიდ ად-დინიც წერს, რომ ჩალათა-ნოინს ერეტიკოსმა ისმაილიტებმა დანით ყელი გამოჭრესო, თუმცა არ წერს ეს სად მოხდა. არც ჟამთააღ-

მწერელი და არც რაშიდ ად-დინი ჩალათა ნოინის მკვლელობის წელს არ უთითებენ.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, მონღოლებმა ჩალათა ნოინის მოკვლის ეჭვი ქართველებზე იმიტომ მიიტანეს, რომ ისინი ჩალათას ბანაკთან ახლოს იყვნენ დაბანაკებული. პასუხისმგებლობასაც მათ დააკისრებდნენ, რომ არა მულიდის აღიარება. ამის შემდეგ იგი ისევ ლერწმოვანში შევარდა თავის გადასარჩენად. მონღოლებმა ის კაცი შეიპყრეს და მკვლელობის აღიარების მიზეზი ჰკითხეს. მან განაცხადა, რომ იგი მულიდთა შორის გამორჩეული იყო, რომ მას ჩალათა ნოინის მოკვლისთვის დიდძალი ოქრო გადაუხადეს. სამალავიდან გამოსვლის მიზეზად კი მულიდმა სიზმრად ნანახი ქალი დაასახელა, რომელმაც უთხრა, რომ თუ მკვლელობას არ აღიარებდა, უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა. ქართველებმა ეს ქალი ღვთისმშობლად აღიქვეს, რადგან სწორედ მას და მაცხოვარს შესთხოვეს დახმარება, რომ ამ დანაშაულის გამო ტყუილად არ დასჯილიყვნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნარატივი ჩალათა ნოინის მკვლელობასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვს იწვევს, რადგან „დამნაშავის“ აღიარება წინააღმდეგობაში მოდის ისმარტების ქცევის კოდექსთან. ისმარტთა ისტორიიდან ცნობილია, რომ ნიზარტები დავალებზე წასულ ფიდაის გასამრჯელოს არ უხდიდნენ. მით უფრო, დიდძალ ოქროს არ აძლევდნენ, რადგან მას დავალების უსიტყვო შესრულებას მათი კანონი და რწმენა ავალდებულებდა; ასასინისთვის მთავარი ავტორიტეტი იმამი და ჰუჯათი იყო. იგი სიზმარში ნანახი ქალის შეგონებას ყურადღებას არ მიაქცევდა; ასევე, ასასინისთვის არალოგიკური საქციელია, აღიარების შემდეგ თავის გადასარჩენად დამალვა.

ჟამთააღმწერელი წერს, რომ კაცის ნაამბობმა მონღოლების გაოცება გამოიწვია და იქვე მოკლესო. მიგვაჩნია, რომ მონღოლებში ეს გაოცება იმ შეუსაბამობამ გამოიწვია, რაც ამ კაცის საქციელსა და ისმარტთა დოქტრინას შორის არსებობდა.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ჩნდება კითხვა – მონღოლი ყაენის მკვლელობა მართლა ქართველების

მონყობილი ხომ არ იყო და სხვას გადაუხადეს დიდძალი ოქრო, რომ ჩაღათას მკვლელობა თავის თავზე აეღო? რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველები სასტიკად დაისჯებოდნენ. ხოლო მიზეზი, თუ რატომ უნდა მოეკლათ ქართველებს ჩაღათა ნოინი იყო ის, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართველები ალამუთელებთან ბრძოლით ძალიან შეწუხებულები იყვნენ. გარდა ამისა, მონღოლთა მიერ დაწესებულმა აუტანელმა გადასახადებმა და სამხედრო ბეგარამ განაპირობა მათ წინააღმდეგ აჯანყებები (დავით ნარინის აჯანყება – 1259 წ. ზაფხულში, 1260-1261 წწ. დავით ულუს აჯანყების მიზეზი ეგვიპტეზე ლაშქრობა გახდა).

ამდენად, ქართულ და სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისმაილიტებს თბილისში დაპირისპირება სუნიტ მოსახლეობასთან ჰქონდათ; ქართველებსა და ალამუთელებს შორის დაპირისპირებას ადგილი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ საზღვართან უნდა ჰქონოდა და ბოლოს, შესაძლოა, ჩაღათა ნოინის მკვლელობაში მთელი რიგი მიზეზების გამო ქართველი ყოფილიყვნენ გარეულნი.

Khatuna Baidurashvili

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

THE HISTORY OF RELATIONS BETWEEN GEORGIANS AND THE ISMAILI (AN ATTEMPT TO RAISE THE ISSUE)

At the end of the 11th century, representatives of the radical Ismaili sect - Nizari appeared in Tbilisi. They became active in the 20s of the 12th century.

Information regarding the relations between Georgians and Iranian Ismaili is quite scarce in the oriental and Georgian

sources. There is great interest in the issue, although it has not been thoroughly researched yet.

The paper aims to study certain aspects of political relations between the Georgian authorities and Iranian Ismaili.

Hassan-i Sabbah has played an especially important role in the history of Ismailism. Sabbah formed the State of Alamut and contributed to the beginning of a new stage in Iran's history.

According to Rashid al-Din, at the end of Hassan i-Sabbah's reign (he died in 1124), the Ismaili movement actively started in Iraq, Azerbaijan, Khorasan, Mazandaran, Gilan and Gurjistan.

In 1138/39 (H. 533), assassin Ismaelite Ibrahim Damghani killed the Qadi of Tbilisi, because the latter had sentenced the Ismaili residents of Tbilisi to death.

The fact that Rashid al-Din mentions the representative of Ismaili sect (called Damghani) as a resident of Tbilisi proves that he belonged to the local Moslem community. This means that Damghani Ismaelite lived in Tbilisi for a long time. He was a Da'i sent from Alamut for preaching Nizari doctrine in Tbilisi. As the Ismaili kingdom was geographically quite close to Georgia, the Da'i reached Tbilisi, started propaganda and had adepts soon after the beginning of Nizari movement.

Georgian and Persian sources do not mention the crimes committed by the Ismaili in Tbilisi. However, it is obvious that the assassins applied their peculiar methods and often committed murders.

In the given period (the reign of Demetrius I), the chief direction of Islam among the Moslems of Tbilisi was Hanafi Madhhab of Sunni Islam. The fact that oriental sources say nothing about the murder of politicians in Tbilisi, proves that Alamut Nizari were in confrontation with The Sunni of Tbilisi and not with the royal authorities of Georgia.

As it turns out, the murders committed by Mulids in Tbilisi were directed against Sunni spiritual leaders. As it seems, the Ismaili movement, which was considered heretical by the Sunni, had a strong Moslem opposition in Tbilisi. This must have been the reason for the confrontation between the Sunni and Ismaili of Tbilisi.

Special attention should be paid to a document preserved by Rashid al-Din, according to which there was a confrontation between Georgians and Ismaili during the reign of the third governor of Alamut – Muhammad ibn Buzurg-Ummid (1138-1162).

According to Rashid al-Din, in the February of 1142, during the attack of Deshte-Deylaman (Gilan), the Ismaili occupied the fortress of Mubarak-Kuh and built another fortress, the name of which is not mentioned by the historian. After this, the Ismaili attacked Gurjistan. The Ismaili besieged their (Georgians' – Kh. B.) fortress (the name of which is not mentioned – Kh. B.) and soon took control over it. According to Rashid al-Din, "as soon as they had done with the Gurji, the Rafiqs returned to Alamut."

As Rashid al-Din does not mention the place of confrontation of the Georgians and the Ismaili, we cannot say precisely what territory is implied. However, in my opinion, this confrontation took place in the farthest Southern province of Georgia, because this territory was adjacent to Deyleman and Northern Azerbaijan.

The above-mentioned document of Rashid al-Din proves the closeness of the boundary of the Ismaili State to Georgia, hence, the clash of Georgian and Ismaili territorial interests.

The above-mentioned facts took place during the reign of Demetrius I of Georgia(1125-1156). Georgian sources provide scarce information regarding this King. Therefore, it is logical that the above-mentioned fact is not mentioned in any document. Based on Rashid al-Din, it is possible to restore an important fact referring to the confrontation between Georgians and the Ismaili.

A Georgian annalist provides information regarding the relations between Iranian Ismaili and Georgians.

A Mongol Governor Chaghat died under unknown circumstances during Alamut siege. According to a Georgian source, he was killed by an assassin. The annalist tells this story in detail, because the Mongols suspected that Georgians had committed this murder. Rashid al-Din also writes about this event, noting that a heretical Ismaili cut Chaghat's throat, although

the author does not mention the place where this murder happened. Neither the Georgian annalist nor Rashid al-Din mentions the year when Chaghat was murdered.

According to the Georgian annalist, the Mongols suspected Georgians of killing their governor Chaghat because a Georgian military unit was close the Chaghat's camp. Georgians would have been punished by Mongols if the Mulid had not confessed. After his confession, the Mulid ran into the field of reeds in order to save his life. The Mongols caught him and asked the reason for the murder. He said that he was special among the Mulids and that he had been paid a large amount of gold for murdering Chaghat. When asked why he had left his ambush, the Mullid said that he had dreamt of a woman who warned him that, unless he confessed, the blood of many innocent people would be shed. Georgians concluded that this woman was Virgin Mary, because they had prayed to the Holy Virgin and Jesus Christ, begging to escape punishment for the murder which they had not committed.

It should be noted that the Georgian narrative regarding the murder of Chaghat seems suspicious, because confession of a guilt is against the code of behaviour of the Ismaili. We know from the Ismaili history that the Nizari did not pay the Fidai for their service. The Fidai would not receive any gold for their job, because they fulfilled the task according to their law and religion. For an assassin, the chief authority was the Imam and the Hujjat. An assassin would not follow the instructions of a woman seen in his dream. Besides, it is unusual for an assassin to run away and hide after confession.

The Georgian annalist notes that the story told by the man surprised the Mongols, and they killed the man immediately. In my opinion, the Mongols were surprised by the discrepancy between the man's actions and the Ismaili doctrine.

Taking into account the above-mentioned, it is logical to think that the Mongol governor was in fact murdered by the Georgians. They paid a lot of gold to the man who took the responsibility for the murder. The reason for the murder of Chaghat by Georgians was that, according to the annalist, Georgians were severely affected in the fight with the Alamut.

Besides, the unbearable tax and military service charged by Mongols led to rebellions (for instance, Davit Narin's rebellion – summer, 1259, and 1260-1261 Davit Ulu's rebellion caused by the Egyptian campaign)

Thus, based on the Georgian and Persian sources, we can conclude that in Tbilisi the Ismaeli confronted the Sunni population. The confrontation between the Georgians and the residents of Alamut took place at the farthest Southern border of Georgia and, lastly, Georgians might have been involved in the murder of the Mongol Governor Chaghat for a number of reasons.

თამარ გასიტაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სპარსული ნასესხობანი „რუსუდანიანში“

**(სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური
დამხმარე ჟურნალი)**

მრავალი საუკუნის მანძილზე ქართულ-ირანულმა ისტორიულმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა კავშირებმა ენობრივი ურთიერთობები განაპირობა. სპარსულიდან ქართულ ენაში ნასესხობები მკვიდრდებოდა როგორც ცოცხალი ენობრივი ურთიერთობების შედეგად, ასევე სამწერლობო გზითაც.

ქართულ ენაში შემოსულია როგორც ძველი, ისე საშუალო და განსაკუთრებით ახალი სპარსული ლექსიკა. ახალი სპარსული ლექსიკის შემოღინება ქართულში ძირითადად ორ ნაკადად მოხდა, პირველად XI-XII, ხოლო მეორედ – XVI-XVIII საუკუნეებში.

აღორძინების ხანა (XVI-XVIII სს.) ქართულ მწერლობაში აღინიშნება სპარსული ლიტერატურის დიდი გავლე-

ნით. არ დარჩენილა თითქმის არცერთი ჟანრი სპარსული მწერლობისა, რომელიც უყურადღებოდ დარჩენილიყო ჩვენთვის. სპარსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ჩვენში შემოდიოდა როგორც თარგმანის, ისე მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების სახით, რომლებსაც დიდი რაოდენობით შემოჰყვებოდა სპარსული ლექსიკა.

ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ ხანის (XVII ს.) უცნობი ავტორის ქართული საგმირო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოების – „რუსუდანიანის“ დარგობრივ, კერძოდ, ჟურჭლის აღმნიშვნელ სპარსულ ლექსიკას ეძღვნება.

როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს – „ჟურჭლის ისტორიის შესწავლას კულტურის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საინტერესოა როგორც ტექნიკის, ისევე მხატვრული შესრულებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით. ჟურჭლის სახელებს წერილობით წყაროებში ვხვდებით, მაგრამ მათი რეალური შესატყვისობის დადგენა ძალიან ძნელია. ეს შეადგენს ამ დარგის ისტორიის ყველაზე სუსტ მხარეს, რომელსაც მოვლა სჭირდება“.

ამ სირთულის დასაძლევად ივანე ჯავახიშვილი ხანგრძლივ მუშაობას მიიჩნევდა საჭიროდ.

„რუსუდანიანის“- სრულ ტექსტში მოძიებულ ჟურჭლის აღმნიშვნელ ლექსემათა შორის გვხვდება „მათარა“-, რომელიც ფუნქცია-დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა დანიშნულების სპეციალურ დამხმარე ჟურჭელთა ჯგუფში გავაერთიანეთ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სიტყვები: მათარა (ماتاره), ფისოსი (فی سوز) და ფიდანი (دان پیه) ყურადღებას იქცევს თავისი საინტერესო ეტიმოლოგიით. კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ თუ როგორი ფონეტიკური, სემანტიკური და მორფოლოგიური ცვლილებებით შემოდის და მკვიდრდება აღნიშნული სიტყვები ქართულ ენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ VII საუკუნის შუა ხანებიდან არაბების მიერ ირანის დაპყრობამ და იქ ისლამის გავრცელებამ სპარსულ ენაში არაბული ლექსიკის შესვლა განაპირობა, რამაც სპარსულ ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. უამრავი არაბული ლექსიკური ერთეული სპარსული ლექსიკური ფონდის კუთვნილება გახდა და მეც-

ნიერებაში პირობითად, არაბულ-სპარსული ლექსიკის სახელით არის ცნობილი. სწორედ ამ ფონდს ეკუთვნის სიტყვა „მათარა.“

მათარა -არაბ.-სპ. متارة [matāra(-e)] - ქართ. 1) „პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე. ძველად კეთდებოდა ტყავის, ახლა ლითონის ან მინისაა და მოთავსებულია ტყავის ან ქსოვილის ბუდეში; 2) კუთხ. (ქართ) ხის ქერქის ჭურჭელი მარცვლეულის ან ხილეულის ჩასაყრელად (პატარა კალათივით)“ < არაბ.-სპ. متارة . [matāra(-e)] 1. წყლისათვის განკუთვნილი ტყავის ჭურჭელი, რომელსაც მოგზაურები ატარებენ რიტუალური განბანვისათვის; 3) იგივეა, რაც ebātqā] اقبابه „სპილენძის ჭურჭელი (დოქი) გრძელი, ვიწრო ყელით, რომლითაც ხელ-პირს იბანდნენ“; შდრ. არაბ.-სპ. مطهرة [mathara(-e)] „ჭურჭელი რიტუალური განწმენდისათვის“ < არაბ. مطهرة [mathara] მრ. ر. مطاهر [matāhīr] „რიტუალური განწმენდის ჭურჭელი, რომელსაც სასაპალნე ცხოველს ან პალანზე, ან გადასაკიდ ღია დასაჯდომზე, ან ურემსა და ოთხთვალაზე ამაგრებენ“. არაბულ ენაში ასევე გვხვდება مطهرة [mutahhara] „ინსტრუმენტი, აპარატი, რომლის საშუალებითაც ავადმყოფის ტანსაცმლისა და ნივთების განწმენდა ხდებოდა ინფექციისაგან“ და طهر [tahūr] „წყალი, ქვიშა და სხვ., რომლის საშუალებითაც განინწმინდებიან“ (ლოცვის წინ).

„რუსუდანიანში“ მათარა სამგზავრო წყლის ჭურჭლის მნიშვნელობით გვხვდება. გარდა „რუსუდანიანისა“ „მათარა“ სახელდება „ბაქარიანში“, სულხან-საბა ორბელიანის „ქილილა და დამანაში“ და „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ სიტყვა „მათარას“ ქართული ფორმა სპარსულთან უფრო ახლოსაა და ქართულში უშუალოდ სპარსული ენიდან შემოსულ ლექსიკურ ნასესხობად უნდა განვიხილოთ.

მათარა გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც: მათარა მოხეურში, ზემო იმერულსა და გურულში არის ტყავის (აგრეთვე ხისა) ჭურჭელი სასმელი წყლისათვის~; მათარაÁ (მოხეურში) ხის ჭურჭელი, რომელიც ოც გირვანქა ქერს იტევს~; მათარა (ქსნის ხეობაში) ხის ქერქი-

საგან გაკეთებული პატარა კალათი, იყენებენ მარწყვის ან მაცვლის ნაყოფის ჩასაყრელად~.

როგორც კვლევამ აჩვენა, სიტყვა „მათარა“ სპარსულიდან ქართულ ენაში გარკვეული სემანტიკური და ფონეტიკური ცვლილებებით დამკვიდრდა. ეს ცვლილებები განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხურ მეტყველებაში შეინიშნება.

ფისოსი - پی سوز [pīsūz] // پیه سوز [pihsūz] – ქართ. `ლამპა ან სანათი, რომელიც ანთია (ინვის) ქონზე~ < სპ. پی سوز [pīsūz] // پیه سوز [pihsūz] (დეტერმინატიული კომპოზიტი, რომლის კომპონენტებია پیه [pih] `ქონი, ცხიმი; ნატურალური ქონი~ < پیه pih [=په (peh) =پی (pi) ძველსპარსულად piθu, ავესტური pitu „საკვები“, „საჭმელი“, ფალაური [pih] + سوز [sūz] < ანმყო დროის ფუძე ზმნისა سوختن [sūxtan] `წვა, დაწვა~), `თიხის ან ლითონის ჭურჭლის სახეობა, რომელშიც ნატურალურ ქონს, აბუსალათინის ან სელის ზეთს ასხამდნენ და ანათებდნენ, პატრუქი კი ბამბისა ჰქონდა~.

ქართულ ძეგლებში `ფისოსი~ გვხვდება პარალელური ფორმებით: ფისოსი//ფისოზი//ფიზოზი. ლექსემა სპარსულიდან ქართულ ენაში რეგულარული ხასიათის ფონეტიკური ცვლილებებით გადმოვიდა (ჰ-ს დაკარგვა სპარსულ ენაშივე დასტურდება; სპ. უ > ქართ. ო).

ივ. ჯავახიშვილი საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული წონის საზომებში განიხილავს ფისოსსაც. იგი აღნიშნავს, რომ „საერთო საზომების გარდა, აღმოსავლეთში სპარსეთისა და დასავლეთში კი – ოსმალეთის ბატონობა-გავლენის გამო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული საზომებიც გაჩნდა, რომელნიც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში, თვით მხოლოდ ერთ რომელსამე თემშიც კი იყო მიღებული“.

ფისოსი ვახტანგ მეფის „დასტურლამალში“ გვხვდება როგორც „ქონის ჭურჭელი“.

„რუსუდანიაში“ ფისოსი გვხვდება როგორც გასანათებელი საშუალება. გამოყენებული მასალის მიხედვით კი – ოქროსი და ვერცხლისა. ქართულ ისტორიულ საბუთებში სპილენძის ფისოსია მოხსენებული.

გურიაში ძველად (სოფელ ბახვში, ასკანაში და სხვ.)

ეს სიტყვა `ფისუსაის- ფორმით, ხმარებაში ყოფილა და ნიშნავს სალამურ მცირე ჭრაქს, რომელსაც ბავშვიანი ქალი ან ავადმყოფი იდგამს ხოლმე. ამასთანავე `ფისუსა-შეიძლება ყოფილიყო თუნუქის, თიხის ან შუშისაც.

ფიდანი - სპ. دان پيه [pīhdān] – ქართ. ძვ. „ბადია“ < სპ. دان پيه [pīhdān] (წარმოქმნილი სიტყვა, რომლის კომპონენტებია پيه [pīh] „ქონი, ცხიმი; ნატურალური ქონი“ + دان [dān] სათავსის მანარმოებელი სუფიქსი. თანამედროვე სპარსულ ენაში -dān პროდუქტიული სუფიქსია, რომელიც ერთვის არსებით სახელს: šam’dān „სასანთლე“ < šam’ „სანთელი“; goldān „საყვავილე ქოთან“ < gol „ყვავილი, ვარდი“) 1. ჭურჭელი ზეთისთვის, ერბოსთვის; ხის ან ნაჭრისაგან გაკეთებული ჭურჭელი ან ტყავის ერთგვარი ქისა, რომელშიც ქონია ჩასხმული; 2. პატარა ჭურჭელი, რომელშიც საბნის მკერავები ქონს აკეთებენ და ნემსს მასში ასველებენ, რათა გაქონიანდეს და უფრო ადვილად ჩავიდეს და ამოვიდეს ნაჭერში; 3. იგივეა, რაც سوز پيه [pīhsūz];

ქართულ ენაში გადმოსვლისას სიტყვაში ფიდანი, ფისოსის მსგავსად ამოვარდნილია „ჰ“ ბგერა.

„რუსუდანიანში“ ფიდანი ფისოსთან ერთად სხვადასხვა სახის ჭურჭლის ჩამონათვალში სახელდება. კონტექსტის მიხედვით, ფისოსი და ფიდანი სემანტიკურად ერთი რიგის ლექსემები არიან და მნიშვნელობით უახლოვდებიან „სანთელს“.

განხილული ლექსიკური ერთეულები, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესო სურათს ქმნიან. ამ ლექსიკური ერთეულების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური და, ამავე დროს, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სიტყვები შემოსულია გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით, რომლებიც ქართული ენის დიალექტებში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით.

**PERSIAN LOANS IN “RUSUDANIANI”
(SPECIFIC SUPPLEMENTARY VESSELS OF DIVERSE
FUNCTIONS)**

The longstanding Georgian-Iranian historical, political and cultural links have led to active language contacts. Numerous loans penetrated from Persian into Georgian as a result of live speech contacts and literature.

Georgian has borrowed Old, Middle and, especially, New Persian lexical units. Penetration of New Persian vocabulary into Georgian took place in two stages: the first stage embraces XI-XII centuries, whereas the second stage embraces XVI-XVIII centuries.

Georgian literary Renaissance (XVI-XVIII) has been greatly influenced by Persian literature. None of the genres of Persian literature has been left without the attention of Georgians. The best works of Persian literature reached Georgia in the form of translations, imitations and new versions. This caused the penetration of a large amount of Persian vocabulary into the Georgian language.

The given paper focuses on the thematic vocabulary of the heroic Georgian literary work (XVII century) “Rusudaniani”, written by an unknown Georgian author. The chief focus is made on the analysis of thematic vocabulary, in particular, the Persian names of different vessels.

According to Ivane Javakhishvili, “research of the history of vessels is very important for the study of the history of culture. Such research provides information regarding the development of technology, art and culture. Names of vessels

are found in the written sources, but it is hard to identify the real correspondence between the names and denoted objects. This is the weakness of the given field which must be taken care of“.

Ivane Javakhishvili considered that scholars had to make serious efforts in order to overcome the above-mentioned problem.

Among the lexemes denoting vessels in the complete text of “Rusudaniani”, we find “მათარა” /matara/ (flask), which falls within the group of specific supplementary vessels based on its functions.

We have analyzed the words: მათარა (ماتره) (flask), ფისობი (پی سوز) (wick) and ფიდანი (دان پیه) (bowl). These words have interesting etymology. The aim of the paper was to reveal the phonetic, semantic and morphological alterations undergone by these words while penetrating into Georgian.

It should be noted that the invasion of Iran by Arabs in the middle of the VII century led to the spreading of Arabic vocabulary in the Persian language. Numerous Arabic lexical units formed part of the Persian language. The scientific term denoting such vocabulary is Arabic-Persian. The word “მათარა” (flask) belongs to this lexical layer.

მათარა -Arabic.-Persian. مآثره [matāra(-e)] – Georgian:
1) “a small vessel for carrying water during a journey, usually hung on a belt. It used to be made of leather. Currently it is made of metal or glass and placed in a leather or fabric case;
2) dialectal (Kartlian) a vessel made of bark used for keeping grain or fruit (similar to a small basket)” < Arabic -Persian. مآثره [matāra(-e)] 1. Leather vessel for water, carried by travelers for the purpose of ritual cleansing; 2. Same as آفتابه [āftābe] “copper vessel (jug) with a narrow, long neck, used for washing one’s face and hands“, cf. Arabic.-Persian. مطهره [mathara(-e)] “a vessel for ritual cleansing“ < Arab. مطهرة [mathara] plural مطاهر [matāhīr] ,”a vessel for ritual cleansing, fixed to a pack animal’s back, a wheelbarrow or a cart“. In Arabic, we also find مطهرة [mutahhara] “a tool or device for the disinfection of a patient’s clothes and other items“ and طهور [tahūr] “water, sand etc. used for cleansing (before the prayer)“.

In „Rusudaniani“ მათარა denotes a water-carrying vessel used during travelling. Apart from “Rusudaniani”, “მათარა” is mentioned in “Baqariani”, Sul Khan-Saba Orbeliani’s „Kelileh va Damneh“ and the Georgian versions of „Shah-Nameh“.

Research has proved that the Georgian form of the word “მათარა” is closer to Persian. Hence, it must be viewed as a lexical loan that has penetrated into Georgian directly from Persian.

მათარა is also found in the Georgian dialects: In the Mokhebian, upper Imeretian and Gurian dialects, მათარა means a leather (and also wooden) vessel for drinking water; მათარა (in Mokhebian) is also a wooden vessels holding twenty pounds of barley; მათარა (in the Ksani gorge) means a small basket made of tree bark, used for keeping strawberries or blackberries.

Thus, as research has proved, the word “მათარა” has been borrowed from Persian, albeit with slight semantic and phonetic alterations. These semantic changes are especially obvious in the dialects of Eastern Georgian highlands.

ფისონი - Persian پي سوز [pīsūz] // پيه سوز [pīhsūz] – Georgian `wick, lamp, burning by means of oil’ < Persian پي سوز [pīsūz] // پيه سوز [pīhsūz] (determinant composite, the components of which are پيه [pīh] `fat, natural fat’ < Persian پيه pīh [= په (peh) = پي (pī) Old Persian piθu, Avestan pitu “food”, Pahlavi [pīh] + سوز [sūz] < present tense stem of the verb سوختن [sūxtan] “burn”) “clay or metallic vessel, filled with natural fat, castor oil or flax oil, used for burning. The wick was made of cotton”.

In Georgian literature, “ფისონი” has parallel forms: ფისონი//ფისონი//ფიზონი. The lexeme was borrowed by Georgian and underwent regular phonetic changes (the sound ჰ- was lost in the Persian language too; Persian უ > Georgian მ).

Ivane Javakhishvili mentions ფისონი among the weight measurement units widespread in Eastern Georgia. The scholar notes that “apart from common Georgian units of measurement, specific units appeared in Georgia as a result of Persian

domination in the Eastern part of the country and the Ottoman domination in the West. Some units of measurement were used in a single community.“

ფისობი is mentioned in King Vakhtang’s “Dasturlamal” and is defined as “a vessel of fat”.

In “Rusudani” ფისობი is found with the meaning of a lamp, made of gold or silver. Georgian historical documents make mention of ფისობი made of copper.

In old times, in some villages of Guria (Bakhvi, Askana etc.) the word “ფისებანი” was used, denoting a lamp placed at the bedside of a sick person or a mother and her baby. The vessel was made of zinc, clay or glass.

ფიდანი - Persian دان پيه [pīhdān] – Old Georgian „bowl” < Persian دان پيه [pīhdān] (composite, consisting of پيه [pīh] „fat, natural fat” + دان [dān] - a suffix denoting a container. In modern Persian -dān is a productive suffix, added to a noun: šam’dān „candle-stick” < šam’ „candle”; goldān „flower pot” < gol „flower, rose”) 1. A vessel for keeping oil, lard; a vessel made of wood or cloth or a small leather bag in which fat is poured; 2. A small vessel, used by blanket-makers to keep fat in which they dip a needle to make it more greasy so that it goes through the tissue easily; 3. Same as پيه سوز [pīhsūz];

When penetrating into Georgian, the word ფიდანი, like the word ფისობი, lost the sound „ჰ” /h/.

In “Rusudani”, ფიდანი is mentioned alongside with ფისობი and other types of vessels. The context proves that ფისობი and ფიდანი are semantically the lexemes of the same group, close to a “candle” in their meaning.

The above-mentioned lexical units yield an interesting linguistic picture. The phonetic, morphological, semantic and, at the same time, historical-etymological analysis of the above-mentioned units has proved that the loans underwent certain phonetic and semantic alterations, yielding diverse variants in the Georgian dialects.

ქეთევან გიგაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი ორჭონია

ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ხელნაწერთა ბერძნულ ტექსტთან მიმართების საკითხისათვის

ნაშრომში შესწავლილია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულების - „ევსტათის ცხოვრება და წამება“ - ხელნაწერთა ბერძნულ ტექსტთან მიმართების საკითხი. ტექსტი ჩვენამდე ორი ერთმანეთისაგან შვიდსაუკუნოვანი დროული ინტერვალით დაშორებული ნუსხით არის მოღწეული: პირველი - ათონური ხელნაწერი მე-11 საუკუნით თარიღდება და შედის Cod. Iviron georg-17 კრებულში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღწერილობის მიხედვით მოიხსენიება, როგორც Ath-17, ხოლო მეორე ხელნაწერი მე-18 საუკუნეს ეკუთვნის და არის H-2077 კრებულის ნაწილი.

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ტექსტის შემცველი ორივე ხელნაწერი ერთ რედაქციას წარმოადგენს. მე-11 საუკუნის ხელნაწერი მცირე მოცულობის დამატებით ტექსტს შეიცავს, რომელიც მე-11 საუკუნის ხელნაწერში ან მექანიკურად არის გამოტოვებული, ან გადამწერის ჩარევის შედეგია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თხზულების ბერძნული ვერსია.

იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტის არც ერთი ხელნაწერი არ არის ორიგინალური ნუსხა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს კონკრეტული საკითხი - ამ ორი ხელნაწერიდან რომელი ამჟღავნებს მეტ სიახლოვეს

ბერძნულთან. ცნობილია, რომ ნუსხის სიძველე ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლობით ის არის საყრდენი შემდგომი პერიოდის ნუსხებისთვის. შესაძლებელია, მოგვიანო პერიოდის ხელნაწერისთვის წყარო სხვა, კიდევ უფრო ადრინდელი, ნუსხა იყოს.

H ხელნაწერის ბერძნულთან თანხვედრის ფაქტმა გამოტოვებული წინადადების ნაწილში საინტერესო გახადა კვლევის პროცესი იმის გასარკვევად, ბოლომდე ინარჩუნებდა თუ არა აღნიშნული ვერსია ორიგინალურ ძეგლთან სიახლოვეს და ამ მხრივ უპირატესობას Ath. ხელნაწერთან მიმართებით?

ხელნაწერთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების დადგენა შედარებით მარტივია ნათარგმნი ტექსტების შემთხვევაში, თუ არსებობს ორიგინალური ტექსტი, საიდანაც შესრულდა თარგმანი. ის გვეხმარება, გავარკვიოთ რომელი ხელნაწერი მისდევს მას მეტად, ანუ რომელია უფრო ძველი ან ძველი ვითარების ამსახველი. თუმცა ამ შემთხვევაშიც სადავო საკითხი ზედმიწევნითი სიზუსტით ვერ წყდება, რამდენადაც ეს წყაროც დროის განმავლობაში ნუსხიდან ნუსხამდე ისევე იცვლება, როგორც ნათარგმნი ტექსტი. ხელნაწერების ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა: ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს:

- I. მე-18 საუკუნის (H) ხელნაწერი (უფრო ხშირად);
- II. მე-11 ს-ის (Ath.) ხელნაწერი (უფრო ნაკლებ);
- III. ბერძნულ ტექსტს არც ერთი ხელნაწერი არ მიჰყვება;
- IV. ან გარკვეულწილად ორივე ხელნაწერი ავლენს მსგავსებას კონკრეტული ფრაზების ფარგლებში.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი ნათარგმნი ტექსტის ხელნაწერებს შორის სხვაობა ორიგინალური ტექსტის საფუძველზე აიხსნება მხოლოდ მორფოსინტაქსისა და ლექსიკის დონეებზე. ფონეტიკისა და ორთოგრაფიის მონაცემები ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას არ შეიცავს.

I. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბერძნულ ტექსტთან გაცილებით მეტ მსგავსებას ავლენს მე-18 საუკუნის ხელნაწერი, ვიდრე მე-11 ს-ისა. ნუსხებს შორის სხვაობებიც უმეტეს შემთხვევაში ორიგინალური ტექსტის ჩვენების მიხედვით იხსნება. კერძოდ, H ხელნაწერის ბერძნულთან არაერთნახნაგოვანი თანხვედრა გვანვდის ინფორმაციას, რომ:

1. ნუსხური განსხვავებულობა საერთო სემანტიკურ ველს (შეიძლება ეს იყოს სინონიმებიც ან სემანტიკურად ახლოს მდგომი სიტყვები) ან გრამატიკული ფუნქციის საერთო სივრცეს არ სცილდება და ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს H ხელნაწერის ჩვენება.

ამ შემთხვევაში ორი მოვლენა უნდა გამოვყოთ: ა) როდესაც ხელნაწერები კონკრეტულ კონტექსტში სინონიმური წყვილიდან ან საერთო სემანტიკური ველიდან სხვადასხვა ვარიანტს ირჩევენ და ბ) როდესაც ხელნაწერები საერთო გრამატიკული ფუნქციის მქონე სიტყვებს იყენებენ. ორივე შემთხვევაში ბერძნულ ვერსიას ემთხვევა H ხელნაწერის ჩვენება. ქვემოთ დამონმებულ ნიმუშებში პარალელურ ფორმათაგან პირველ ადგილას ყველგან Ath. ხელნაწერის იკითხვისია წარმოდგენილი, ხოლო მეორე ადგილას - H ხელნაწერის იკითხვისი.

ა) ღმერთმან // უფალმან (შდრ. ბერძნული: **o(Ku)rioj** PG. 105. col. 380 D); ძენი //

შვილნიცა (**tekna hm)wn** (PG. 105. col. 409 D);

ბ) მახლობელად // მსახურად (**ij ... uphresian** (PG. 105. col. 404 D); იხილნა // იცნნა

egnw (PG. 105. col. 400 C); იგინი // ყოველნი (**pantaj kate/tacen** (PG. 105. col. 404 D);

2. ნუსხური განსხვავებულობა ამ ფარგლებს მიღმაა: მის // მარადის (**pantote** (PG. 105. col. 377 D); ვითარმედ // ფრიად panu (PG. 105. col. 401 C); მისწავიეს // მრწამს. ბერძნულშია ზმნა **sebomai** რაც ნიშნავს ვეთაყვანები, ქედს ვუხრი.

3. H ხელნაწერში რომელიმე სიტყვა ან

სიტყვები ზედმეტადაა გამოყენებული Ath. ხელნაწერთან მიმართებით ბერძნულის გავლენით:

„ტყუე-ყო ყოველი გარემო სოფლები“ **kukl%** (PG. 105. col. 412 C); „გევედრები შენ, უფალო“ **ϑ(Kurie** (PG. 105. col. 385 D), და სხვ.

4. H ხელნაწერში Ath. ნუსხასთან მიმართებით ზედმეტად გამოყენებულ სიტყვათაგან მხოლოდ ნაწილი ემთხვევა ბერძნულს, ნაწილი კი H ხელნაწერის საკუთრებაა: „მოვედ უკუე და მივიდეთ ამას ღამესა.“ ბერძნულშია მივიდეთ, ხოლო და კავშირი არ არის: **prose/ l qomen** (PG. 105. col. 384 D); „ხრწნილი იგი კაცი.“ ბერძნულში კაცი არის, მაგრამ იგი - არაა) **hqrwpon** (PG. 105. col. 388 C);

5. Ath. ნუსხაში ზედმეტად ხმარებულ სიტყვას ან ფრაზას მხარს არ უჭერს ბერძნული ტექსტი. მაგალითებში მონიშნული სიტყვები Ath ხელნაწერის ჩვენებას ასახავს და არ არის ბერძნულ ტექსტში: „შენუხნა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი მისთვს“; „მოიქცა მეორისა მის შვილისა მიმართ“; „და კუალად“; „და მისდევდეს მას“; „და (მო)იწსენებდა პლაკიდა“;

6. ხელნაწერები ერთსა და იმავე ზმნას სხვადასხვა ფორმით წარმოადგენენ და ბერძნულის ჩვენებას იმეორებს H ხელნაწერი:

„მოვედით სადგურად ჩემდა და განისუენეთ (განგისუწნო თქუენ)“ **cehizomai uñaj** (PG. 105. col. 400 D); „ანუ რაჲ მოიწია (მოწვევნილ არს) მათ ზედა.“ ბერძნულში მიმღეობური ფორმაა:

მოწვევნილი **sumbanta** (PG. 105. col. 409 D);

7. სხვაობა ფიქსირდება სიტყვათა რიგის მიხედვით:

„წარვედ ქალაქად და მოუწედ ქალაქად მღდელსა ქრისტეანეთასა.“¹ ბერძნულშია: „თუ გწამს ჩემი, წადი ქალაქში და მიდი ქრისტეანთა მღვდელთან“ **Ei/ pisteu/ eij eij eñe/ apel qe eij thñ pol in, kai\ prosel qe t%=iñrei/**

1 მოცემულ მაგალითში ბოლდით აღნიშნულია H ხელნაწერის ჩვენება, რომელიც მხარს უჭერს ბერძნულ ვერსიას, ხოლო იტალიკით მოცემულია Ath. ხელნაწერის ჩვენება.

twā Xristianwā (PG. 105. col. 384 C).

II. ბერძნულს მხარს უჭერს მე-11 ს-ის ხელნაწერი:
აქაც თითქმის იგივე შემთხვევები უნდა გამოვყოთ:

1. ნუსხური განსხვავებულობა საერთო სემანტიკურ ველს (შეიძლება ეს იყოს სინონიმებიც ან სემანტიკურად ახლოს მდგომი სიტყვები) ან გრამატიკული ფუნქციის საერთო სფეროს არ სცილდება და ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს Ath. ხელნაწერის ჩვენება:

შვილთა // ძეთა **toij tek/noij** (PG. 105. col. 413 C);
თვისი // მისი **autou** (PG. 105. col. 392

D); წარიტაცნეს // შეიტამნეს **ghrial wta gegohasi** (PG. 105. col. 409 D);

2. ნუსხური განსხვავებულობა ამ ფარგლებს მიღმაა:

ზიარებისაგან // შეუგინებელად **apo \ thj twā a**
lloful wn koinwniaj... (PG. 105. col. 396 D);

მეორე იგი ყრმაჲ // ძმაჲ ჩემი **eter/ou paidiou** (PG. 105. col. 405 D – 408 C);

3. Ath. ხელნაწერში რომელიმე სიტყვა ან სიტყვები ზედმეტადაა გამოყენებული H ხელნაწერთან მიმართებით ბერძნულის გავლენით:

„ხოლო მან იხილა მწედრობაჲ, რამეთუ არა კმა-
იყო ბრძოლად ბარბარობთა“ **Kai**

episkeyamenoj toh straton (PG. 105. col. 404 C); „აღიხუნეს
ყრმანი იგი და აღზარდნეს

(აღზარდნეს იგინი).“ ბერძნულშია: „აიყვანეს ყრმები და
თავად აღზარდეს“ **labontej ta\paidia, ahaqreyanto par**
ea(outoij) (PG. 105. col. 393 D);

4. H ნუსხაში ზედმეტად ხმარებულ სიტყვას ან
ფრაზას მხარს არ უჭერს ბერძნული ტექსტი:

„მოვედ და აღვიხუნეთ ორნი ესე ჩჩკლნი“; „ვითარცა არაჲ
აქუნდა მათ“; „ვითარმედ სთქუ: თუ „ჯერ-არს გამოცდაჲ“;
„რომელ აქუნდა მათ“;

5. ხელნაწერები ერთსა და იმავე ზმნას

სხვადასხვა ფორმით წარმოადგენენ და ბერძნულის ჩვენებას იმეორებს Ath. ხელნაწერი:

„ხოლო ყოველი იყო // ყო რადთამცა ჰყვა“ **h** (PG. 105. col. 392 D);

6. სხვაობა სიტყვათა რიგის მიხედვით ფიქსირდება:

„თვსა ქუეყანასა“ // „ქუეყანასა თვსსა“; „არა არს სხუად“ // „სხუად არა არს“ (**buk eſtin al l o j**) (PG. 105. col. 417 C);

III. ქართულ თარგმანში დასტურდება ცალკეული სიტყვები, ფრაზები ან იშვიათად აბზაცებიც, რომელთაც შესაბამისი ეკვივალენტები არ ეძებნებათ ბერძნულში.

მაგალითად, ძეგლის სათაურშივე, წმინდანთა სახელების შემდეგ, ერთ ნუსხაში იკითხება „გვაკურთხენ, მამაო“, მეორეში - „კირიელეისონ“, თუმცა ბერძნულში სათაური წმინდანთა სახელებთან მთავრდება და სხვ.

IV. გარკვეულწილად ორივე ხელნაწერი ავლენს მსგავსებას კონკრეტული ფრაზების ფარგლებში. აქაც რამდენიმე შემთხვევას გამოვყოფთ:

ა) როდესაც ხელნაწერებში საერთო სიტყვა ან სიტყვებია გამოყენებული, მაგრამ ბერძნულში მათ შესაბამისი ეკვივალენტი არ მოეპოვება;

ბ) როდესაც ხელნაწერებისეულ ლექსიკურ ერთეულს ბერძნულში სხვა სიტყვა ან სიტყვები შეესაბამება;

გ) საერთო ვითარებას გვიჩვენებს წინადადების კლების მაგალითიც;

დ) თითოეულ ხელნაწერში მოცემული სიტყვა შეიძლება გამართლებული იყოს ბერძნულთან მიმართებით.

ხელნაწერების ბერძნულთან შედარებამ საკმაოდ საინტერესო სურათი გამოკვეთა: H ხელნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნისა და 7 საუკუნით ჩამორჩება Ath. ხელნაწერს, მეტ თანხვედრას ამჟღავნებს ბერძნულ

ტექსტთან, ვიდრე ეს უკანასკნელი. ეს გვაზარაუდებინებს, რომ H ხელნაწერის გადამწერი, რომელიც, ანდერძის მიხედვით, ყოფილა სვეტიცხოვლის დეკანოზი, ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი ალექსი მესხიშვილი, ეყრდნობოდა სხვა ვერსიას, სავარაუდოდ, უფრო ძველს, რომელიც დღეისათვის დაკარგულად მოჩანს და სადაც მცირე მოცულობის დამატებითი ტექსტი უნდა არსებულებოდა. რაც შეეხება მე-11 საუკუნის ხელნაწერს, აქ აღნიშნული ტექსტი გადამწერს ან მექანიკურად უნდა ჰქონდეს გამორჩენილი, ან მისი ჩარევის შედეგი უნდა იყოს. გამოვრიცხავთ მთარგმნელის როლს ამ ნაწილში, რადგან ფრაზა შუაზეა განწყვეტილი და იგრძნობა, რომ ტექსტის ნაწილი აკლია. Ath. ხელნაწერის თანხვედრა ბერძნულთან კი (მართალია, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც) გვიდასტურებს, რომ მისმა გადამწერმა საკუთარი ინიციატივით შეიტანა ცვლილებები ტექსტში: ზოგიერთი სიტყვა სინონიმით ან მასთან ახლოს მდგომი სიტყვით ჩაანაცვლა, გარკვეულ შემთხვევებში შეცვალა სიტყვათა რიგი, სხვაგან სიტყვა თუ ფრაზა დაამატა ან დააკლო და ა. შ. ბერძნულ ტექსტთან ხელნაწერთა შედარებამ გვიჩვენა, რომ მათ შორის სხვაობები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მისი გავლენით აიხსნება.

Ketevan Gigashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Irakli Orzhonia

Teaching-Scientific Institute
of Interdisciplinary Humanities

THE RELATION BETWEEN THE MANUSCRIPTS OF “THE LIFE AND MARTYRDOM OF EUSTATHIUS” AND THE GREEK TEXT

The paper focuses on the comparison of the manuscripts of the hagiographic work “Life and Martyrdom of Eustathius”, translated by Ekvtime Atonite, and the Greek text. The text is found in two versions. The time interval between the two is 7 centuries. The first, Atonite manuscript is dated by the 11th century and included in the Cod. Ivron georg-17 collection, registered by the National Centre of Manuscripts as Ath-17. The second manuscript is dated by the 18th century and forms part of the H-2077 collection.

Both manuscripts of “The Life and Martyrdom of Eustathius” represent one and the same edition. The manuscript of the 18th century contains a small supplementary text, which is either mechanically omitted in the 11th century manuscript or is added by the copier. This can be concluded based on the Greek version.

Taking into account the fact that neither of the manuscripts is original, it is interesting to find out which of the

two is closer to the Greek original text. It is well known that the old age of a manuscript does not always mean that it has formed grounds for later versions of the same text. The later version may be based on some other, even earlier source.

The fact that manuscript H coincided with the Greek text regarding the omission of the sentence made the research process interesting. We tried to find out whether this version was fully similar to the Greek text and whether it was closer to the original than manuscript Ath.

Identification of the chronological relations of manuscripts of translated texts is easier in case there exists an original text. The original helps find out which manuscript follows it more closely i.e. which manuscript is older or reflects earlier situation. However, even in this case the issue may remain unclear, because, due to various editions, the source changes with time, like the translated text.

Comparison of the manuscripts with the Greek text has revealed that the following:

- I. 18th century manuscript (H) follows the Greek text (more often);
- II. 11th century (Ath) manuscript follows the Greek text (less frequently);
- III. None of the manuscripts follow the Greek text;
- IV. Both manuscripts follow the Greek text within a concrete phrase.

It should be noted that the difference between the manuscripts of any translated text may be explained on the basis of the original text only on the morphosyntactic and lexical levels. The phonetic and orthographic data do not provide interesting information in this regard.

- I. The research has proved that the manuscript

of the 18th century is far more similar to the Greek text than that of the 11th century. The differences between the editions can also be explained based on the original text. The diverse coincidences between manuscript H and the Greek original provide the following information:

1. The differences between the editions do not exceed a common semantic field (there may be synonyms or semantically similar words) or grammatical function. Manuscript H supports the Greek texts.

In this regard, we should distinguish two kinds of phenomena: a) when manuscripts choose synonyms or different variants of words from a common semantic field b) when manuscripts use words of a common grammatical function. In both cases, there is coincidence between the Greek version and manuscript H.

In the parallel forms represented in the examples below, manuscript Ath is given first and Manuscript H is given in the second place.

a) ღმერთმან // უფალმან (God/Lord) (cf. Greek: **ο Κριος** (PG. 105. col. 380 D); ძენი // შვილნიცა (sons/children) **tekna hōn** (PG. 105. col. 409 D);

b) მახლობელად // მსახურად (servants/close **people**) **ei** ... **uphresan** (PG. 105. col. 404 D); იხილნა // იცნნა (saw/recognized)

egon (PG. 105. col. 400 C); იგიინი // ყოველნი (they/all) **pataj kattacen** (PG. 105. col. 404 D);

2. The differences between the editions are beyond these limits:

მის // მარადის (him/eternally) **o(patote** (PG. 105. col. 377 D); ვითარმედ // ფრიად (so that/rather) **pamu** (PG. 105. col. 401 C); მისწავიეს // მრწამს (I have learnt/I believe). In the Greek version, there is a verb *se/bomai* which has

the following meanings: I worship, I adore.

3. Under the influence of Greek, in manuscript H there are more words than in manuscript Ath:

„ტყუე-ყო ყოველი გარემო სოფლები“ (occupied all the surrounding villages)(kuḳl% (PG. 105. col. 412 C); „გევედრები შენ, უფალო“ (I beg you, my Lord) **ϑ(Kurie** (PG. 105. col. 385 D), and so on.

4. Only some of the words found in manuscript H and not found in Manuscript Ath coincide with Greek. Others are peculiar of manuscript H:

„მოვედ უკუე და მივიდეთ ამას ღამესა.“ (I have already arrived and let us go tonight). In the Greek version, there is no conjunction and: **prosl qomen** (PG. 105. col. 384 D); „ხრწნილი იგი კაცი.“ (that decayed man). In Greek, the word man is used, but there is no pronoun that **ἄνθρωπον** (PG. 105. col. 388 C);

5. In the manuscript Ath, there are extra words not found in the Greek version.

The words given in bold in the examples reflect the data of manuscript Ath but are not found in the Greek text: „შენუხნა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი მისთვის“; (the King was worried and all his chief servants were worried about him) „მოიქცა მეორისა მის შვილისა მიმართ“ (behaved with regard to his second son); „და კუალად“ (and again); „და მისდევდეს მას“ (and follows him); „და (მო) იჯსენებდა პლაკიდა“ (and Placidus mentioned);

6. The manuscripts represent one and the same verb in different forms. Manuscript H follows the Greek text in this regard:

„მოვედით სადგურად ჩემდა და განისუენეთ (განგისუწნო თქუენ)“ **come to my place and have a rest** **ἰζομαι** (PG. 105. col. 400 D); „ანუ რად მოიწნია (მოწვენილ

არს) მათ ზედა.“ (so what has happened to them). In the Greek text, the participle of the verb is used: მოწევნილი (happened) (sumbahta (PG. 105. col. 409 D);

7. There is a difference in the word order:

„წარვედ ქალაქად და მოუწედ ქალაქად მღვდელსა ქრისტიანეთასა.“¹ (go to town and visit a Christian priest). The Greek version says: „თუ გნამს ჩემი, წადი ქალაქში და მიდი ქრისტიანთა მღვდელთან“ (if you trust in me, go to town and visit a Christian priest) **Ei/pistewij eij emepel qe eij th pol in, ka**~~prsel qe t%erei/twa Xristiama~~ (PG. 105. col. 384 C).

// The manuscript of the 11th century follows the Greek text:

Almost similar cases will be distinguished here:

1. The differences between the editions do not go beyond a common semantic field (there may be synonyms and semantically close words) or a common grammatical function. The manuscript Ath follows the Greek text:

შვილთა // ძეთა (children/sons) **toj teknoij** (PG. 105. col. 413 C); თვისი // მისი (his) **eautou** (PG. 105. col. 392 D); წარიტაცნეს // შეიჭამნეს ~~seized atchrid wta gegonasi~~ (PG. 105. col. 409 D);

2. The difference between the editions is within the limits:

ზიარებისაგან // შეუგინებელად (in communion/impeccably) **apthj twal l oful wnkoimwaj**... (PG. 105. col. 396 D);

მეორე იგი ყრმაჲ // ძმაჲ ჩემი (the second fellow/my brother) **(eterou padiou)** (PG. 105. col. 405 D – 408 C);

3. As compared to manuscript H, in Manu-

1 in this example, the data of manuscript H are given in bold. This manuscript follows the Greek version. The data of manuscript Ath are given in italics.

script Ath there are some extra words, under the influence of the Greek text:

„ხოლო მან იხილა მწვედრობად, რამეთუ არა კმანიყო ბრძოლად ბარბაროზთა“ (and he saw the army insufficient for the battle with Barbarians) (Kai\ e)psiskeya)meno j to h strato h (PG. 105. col. 404 C); „აღიხუნეს ყრმანი იგი და აღზარდნეს (They adopted and brought up children).“ The Greek version says: “They adopted children and brought them up “ **I abo)nte j ta)paida, a)hagry)anto par)e)houto j** (PG. 105. col. 393 D);

4. The Greek text does not support the extra words found in manuscript H:

„მოვედ და აღვიხუნეთ ორნი ესე ჩჩვლნი“; (let us go and adopt these two babies) „ვითარცა არაა აქუნდა მათ“ (as they had nothing); „ვითარმედ სთქუ: თუ „ჯერარს გამოცდად“ (because you said: if it is a trial); „რომელ აქუნდა მათ“ (which they had);

5. The manuscripts represent different forms of one and the same verb. Manuscript Ath agrees with the Greek text:

„ხოლო ყოველი იყო // ყო რადთამცა ჰყვა“ (everything was as it was) **h** (PG. 105. col. 392 D);

6. There is difference in the word order:

„თვსა ქუეყანასა“ // „ქუეყანასა თვსსა“ (his country/country of his); „არა არს სხუად “ // „სხუად არა არს“ (there is no other/no other is there) **(uk estin a)lo j** (PG. 105. col. 417 C);

III. In the Georgian translation, there are certain words, phrases and, in some rare cases, even paragraphs that do not have their equivalents in the Greek text.

For instance, in the title of the literary monument,

after the names of saints, one edition says „გვაკურთხენ, მამათ“ (bless us, Father), while another editions says - „Kyrie Eleison “; although the Greek title ends at the names of saints.

IV. To a certain extent, both manuscripts reveal similarities within concrete phrases. We will distinguish several cases:

a) When manuscripts use the same words, but there is no equivalent word in the Greek version;

b) When the lexical unit used in the manuscripts is represented by another word in the Greek version;

c) There are fewer sentences in the Greek text;

d) The words given in both versions are justified with regard to the Greek text.

Thus, comparison of the manuscripts with the Greek text has yielded interesting data: manuscript H, although created in the 18th century i.e. 7 centuries later than manuscript Ath, is closer to the Greek text. This makes us think that the creator of Manuscript H (who, according to the preface, was a priest of Svetitskhoveli, one of the best writers of Georgian Nuskhuri manuscripts, Aleksi Meskhishvili) followed a different version, probably an earlier one, which is lost today and which must have contained a small additional text. As for the manuscript of the 11th century, its copier either mechanically omitted the above-mentioned text or changed it on purpose. We exclude the role of the translator in the omission, because the phrase lacks the second half and it is felt that some part of the text is missing. The coincidence of manuscript Ath with the Greek text (to a certain extent) proves that its copier made changes in the text by his own initiative: he replaced some words with synonyms or semantically close words. In certain cases, he changed the word order, added or deducted some words and so on.

Comparison of the manuscripts with the Greek text has proved that the differences between the two manuscripts are, in the majority of cases, due to the copiers.

ნინო თავართქილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ღონის რეკონსტრუქცია

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტების კვლევითი გრანტის ფარგლებში. კვლევაში გამოყენებულია ანთროპოლოგიური მასალა, რომელიც დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

კვლევის მიზანია გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური კვლევა. კვლევა მოიცავს საქართველოს სხვადასხვა ძეგლებიდან (სამთავრო, ბაიათხევი, წიწამური, მარტაზისხევი, მოგვთაკარი, სვეტიცხოველი, კარნისხევი, ნიჭბისი, ურბნისი, არმაზი, ორჭოსანი, კლდე, არდისუბანი, მაწანწარა, არაგვისპირი, თალთები, ჟინვალი, ქვემო არანისი, ნეძიხი, ჯეთი) მოპოვებულ თავის ქალებზე ანთროპოლოგიურ ანალიზს. შესაბამისად, ჩატარდა დემოგრაფიული კვლევები, ასაკის განსაზღვრა მო-

ხერხდა გვიანანტიკური მოსახლეობის 99 ქალზე და 167 მამაკაცზე. აქედან შევადგინე სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, რის საშუალებითაც გაირკვა, რომ მამაკაცების ყველაზე დიდი რაოდენობა (32 ინდივიდი) გარდაცვლილია 50-55 წლის ასაკში, ხოლო ქალებში გარდაცვალების რიცხვი ყველაზე მაღალია 20-25 წლის ასაკში. ზოგადად, სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის სურათი შემდეგნაირია: ქალთა გარდაცვალების რიცხვი მეტია I-II ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო მამაკაცების, პირიქით, იმატებს III ასაკობრივ კატეგორიაში, რისი მეშვეობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა I-III საუკუნეებში ნაკლები იყო, ვიდრე მამაკაცებისა. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან, რადგან იმ პერიოდში ნაკლებად იყო დაცული ჰიგიენის ნორმები, არ იყო მედიცინა განვითარებული, სავარაუდოდ, კვებით ხელშეწყობასაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა და, შესაბამისად, მშობიარობა ქალებზე უარყოფითად აისახებოდა. გარდა ამისა, გვიანანტიკური პერიოდის თავის ქალებზე განხორციელდა „ფიზიოლოგიური სტრესის“ მარკერების განსაზღვრა. ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების შესწავლა გვეხმარება პალეომოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქციაში. როგორც წესი, მარკერები ფიქსირდება ზრდასრულ ინდივიდებში, თუმცა იმ სტრესულ მოქმედებებზე მიგვითითებენ, რომლებიც ამა თუ იმ ინდივიდს გადატანილი აქვს ბავშვობაში. მაგალითად, შიმშილობა, ციებ-ცხელების სხვადასხვა ფორმა, ინფექციები, არახელსაყრელი გარემო-პირობები და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გვიანანტიკური მოსახლეობის ქალებში ორჯერ ნაკლებია კარიესი. სამჯერ ნაკლებია ჰიპეროსტოზი შუბლის არეში, უმნიშვნელოდ ნაკლებია ფორთოხლის ქერქის სინდრომი. მამაკაცებში და ქალებში თითქმის იდენტურია კბილების ატროფიის გავრცელება, ემალის ჰიპოპლაზია და კბილების ცვეთის შემთხვევები. მამაკაცებში უფრო მეტადაა გამოხატული ჰიპეროსტოზები თხემსა და წარბზედა რკალზე. საინტერესო მაჩვენებელი მოგვცა ფორთოხლის ქერქის სინდრომის კვლევაში. ეს სინდრომი მიუთითებს კლიმატზე, ანუ ისეთ გარემოში ვლინდება, სადაც იმ პერიოდში კლიმატი ცივი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, მოხდა ძვლის გადაცივება. გვიანანტიკური პერიოდის ძეგლებიდან ფორთოხლის ქერქის სინდრომი კი გვხდება შემდეგ ძეგლებზე: ქვემო არანისი, ჟინ-

ვალი, ჯიეთი, არაგვისპირი, თალთები, კარნისხევი, მოგვთაკარი, მაწანწარა, ნეძიხი. გვიანანტიკური მოსახლეობის დონის რეკონსტრუქციისთვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჰიპეროსტოზის კვლევა. ჰიპეროსტოზი ხშირ შემთხვევაში კვებითი სტრესის შედეგია და დაკავშირებულია სხვადასხვა დაავადებასთან, როგორცაა მაღარია და სხვადასხვა ანემია. ქრონიკული კვებითი სტრესის დროს, ორგანიზმი განიცდის რკინის ნაკლებობას. გარდა ამისა, ეს მარკერი მიუთითებს ანტისანიტარიზზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გვიანანტიკური მოსახლეობის 41.3%-ს აღენიშნება ჰიპეროსტოზები სხვადასხვა მიდამოებში, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და ამის ფონზე შეგვიძლია დასკვნების გაკეთება. უპირველესად აღსანიშნავია კვებითი ფაქტორი, რაც ასევე აისახება კარიესზე, ცვეთაზე და ატროფიაზე. გარდა ამისა, გვიანანტიკური მოსახლეობის თავის ქალების ანაზომების ცხრილი გაკეთდა, რისი მეშვეობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტად გავრცელებული ყოფილა თავის ქალას დოლიქოკრანული ტიპი, სწორი შუბლი და კეფა, საშუალო სიმაღლის და სიგანის სახე, რაც დამახასიათებელია როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის. რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებს, გაკეთდა ბაზა, სადაც აღნიშნულია სამარხის ტიპები და ნომრები. ძირითადად გვხდება ორმოსამარხები და ქვაყუთები. თუმცაღა უმეტესობას ორმოსამარხები წარმოადგენს. სამწუხაროდ, ბევრია ისეთი სამარხი, რომლის ტიპიც უცნობია, რაც, შესაბამისად, სტატისტიკურ მონაცემთა სრულყოფაში გვიშლის ხელს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განხილულ სამარხთა შორის შედის მხოლოდ ისინი, რომელთა ოსტეოლოგიური მასალაცაა შემორჩენილი. ანუ მიზანს წარმოადგენს ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემების ერთიანი კვლევა. ჯერჯერობით არ გვაქვს ოსტეოლოგიური მასალები დასავლეთ საქართველოდან, ამიტომ დასავლეთ საქართველოში სამარხთა გავრცელების ტიპებს არ ვეხებით. რაც შეეხება არტეფაქტებს, ძირითადად გვხდება ხელაღები, მონეტები, მშვილდსაკინძები, სასმისები, მძივები, ბეჭდები. აღსანიშნავია, რომ მინის ჭურჭლის ჩატანება ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილად იქცა პირველი საუკუნიდან. დიდი რაოდენობით გვხდება რომაული დენარები და პართული დრაქმები, იშვიათად გვხდება ვერცხლის ჭურჭელი. ძირითადად მიცვალებული დაკრძალულია გულადმა, გამოტილი ან კიდურებ-

მოკეცილი. უმეტეს შემთხვევაში გვხვდება ინდივიდუალური სამარხები, იშვიათია კოლექტიური სამარხები. ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევა განხორციელდა, სულ 259 ინდივიდზე. აქედან 93 ქალია, ხოლო 166 მამაკაცი. ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 27-32 წელია, ხოლო მამაკაცების 37-42 წელი. 60 წელს ზემოთ ქალებში მხოლოდ 7 ინდივიდი გვხვდება, ხოლო მამაკაცებში 38. თითქმის იდენტური სურათი გვაქვს გვიანანტიკური ხანის საქართველოს მოსახლეობაშიც. ამ პერიოდშიც კაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტია ქალების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ყველაზე გავრცელებული ფიზიოლოგიური სტრესის მარკერია ჰიპეროსტოზი წარბზედა რკალზე (მამაკაცებში 75%, ხოლო ქალებში 65%). გვიანანტიკურ ხანაში ის შედარებით ნაკლებ გავრცელებულია. თუმცა, შუბლზე გავრცელებული ჰიპეროსტოზი პროცენტულად მეტია გვიანანტიკურ ხანაში, ვიდრე ადრეულ შუასაუკუნეებში. ორივე სქესისთვის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდება კბილების ცვეთა (მამაკაცებში 59.4%, ქალებში 51.7%). აღსანიშნავია, რომ კბილების ცვეთა გვიანანტიკური ხანის ქალებში მეტია, ვიდრე ადრე შუასაუკუნეების ქალებში და პირიქით, გვიანანტიკური ხანის მამაკაცებში ნაკლებია, ვიდრე ადრე შუასაუკუნეების მამაკაცებში. კბილების ატროფია მეტადაა განვითარებული გვიანანტიკურ მოსახლეობაში. რაც შეეხება ადრეულ შუასაუკუნეებს, სამარხის ძირითადი ტიპი ქვასამარხი და ქვაცუთი გახლავთ. ორმოსამარხები გვხვდება მხოლოდ ჟინვალის სამაროვანზე. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, კიდურებგადაჯვარედინებულები, ზურგზე გამოტილნი არიან დაკრძალულები. რაც გვიანანტიკურ ხანაში არ გვხვდება. ასევე განსხვავებულია სამარხეული ინვენტარიც, აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს მინის ჭურჭელი, თუმცა ასევე გვხვდება კერამიკული ჭურჭელიც და მცირე რაოდენობით სამკაულიც.

დემოგრაფიული ანალიზის თვალსაზრისით და არა მხოლოდ, საინტერესო ფენომენია თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია. ხელოვნური დეფორმაციის ჩვეულების პრაქტიკა გავრცელებულია გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად დაშორებულ მრავალ კულტურაში. ყველაზე ადრეული დეფორმაციები ცნობილია ძვ.წ X-IX ათასწლეულში შანიდარის გამოქვაბულიდან (ერაყი) და წინააზიის ზოგიერთი ნეოლითური

კულტურებიდან. თავის ქალის ხელოვნური დეფორმაცია არის სხეულის მოდიფიკაციის ერთ-ერთი სახეობა ისევე, როგორც ტატუ, პირსინგი, სკარიფიკაცია და სხეულის მოდიფიკაციის სხვა ფორმები. ჩვილობის ასაკიდან ხდებოდა ხელოვნურად თავის ქალის ფორმის შეცვლა, ნაჭრის ან რაიმე მყარი მასალის გამოყენებით. თუმცა უცნობია ფაქტი, თუ საიდან მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე ამ პრაქტიკის გავრცელება, ან რატომ მიმართავდნენ ამ პრაქტიკას. ამის დასადგენად საჭიროა გენეტიკური კვლევა. იყო თუ არა ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობა ეთნიკურად ქართველი, თუ ისინი წარმოდგენდნენ მიგრირებულ მოსახლეობას. ამ ეტაპზე, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანიოლოგიური მასალის მიხედვით, ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები გვხდება გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან. ადრე ანტიკურ ხანაში სულ აღმოჩენილია 15 ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა, რომელთაგან 5 ქალბატონია, ხოლო 10 მამაკაცი. ელინისტურ პერიოდში გვხდება 10 ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა, საიდანაც 6 ქალბატონია, ხოლო 4 მამაკაცი. გვიანანტიკურში კი - 32 ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალაა აღმოჩენილი, საიდანაც 12 ქალბატონი, 18 მამაკაცი, ერთი ბავშვია, ერთის სქესი არ განისაზღვრება. ზოგადად, განათხარი მასალის მიხედვით ანტიკურ პერიოდში მთლიანობაში მოგვეპოვება 57 ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა, რომელიც სხვადასხვა ძეგლებიდან არის წარმოდგენილი. ადრე შუასაუკუნეების საქართველოს სხვადასხვა ძეგლიდან წარმოდგენილი თავის ქალებიდან 126 არის დეფორმირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დეფორმანტთა რაოდენობა 21,7% შეადგენს. ასევე, კვლევის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკა არ აისახებოდა უარყოფითად მათ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ მიმართავდნენ ამ პრაქტიკას ან იყვნენ თუ არა ისინი ეთნიკურად ქართველები, ამისათვის სამთავროს სამაროვნის „დეფორმირებული“ მოსახლეობა შევისწავლე, როგორც ანთროპოლოგიური, ასევე არქეოლოგიური თვალსაზრისით. რისი მეშვეობითაც, შემიძლია დავასკვნა, რომ დაკრძალვის წესი და სამარხული ინვენტარი იდენტურია ნორმალური

თავის ქალებისა და დეფორმირებული თავის ქალების, რაც გვავარაუდებინებს იმას, რომ ისინი კულტურულად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ასევე გვხდება კოლექტიური სამარხები, სადაც ერთად არიან დაკრძალულნი ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკის მატარებელი ინდივიდები და ინდივიდები, რომელთაც ნორმალური თავის ქალა ჰქონდათ, შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთ ეთნოსს განეკუთვნებოდნენ. თუმცადა, როგორც აღვნიშნე, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემებით შეუძლებელია.

Nino Tavartkiladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RECONSTRUCTION OF THE STANDARD OF LIFE OF GEORGIA'S POPULATION IN THE LATE ANTIQUE AND EARLY MEDIEVAL EPOCHS

The research has been implemented within the doctoral research grant of Shota Rustaveli National Science Foundation. The research is based on the anthropological material preserved at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

The aim of the given paper is to carry out anthropological research of Georgia's population in the late antique – early medieval epochs. The research implies anthropological analysis of skulls obtained at different monuments of Georgia (Samtavro, Baiatkhevi, Tsitsamuri, Martaziskhevi, Mogvtakari, Svetitskhoveli, Karniskhevi, Nichbisi, Urbnisi, Armazi, Orchosani, Klde, Ardisubani, Matsantsara, Aragvispiri, Taltebi, Zhinvali, Kvemo Aranisi, Nedzikhi, Jieti). Demographic research has been imple-

mented. The age was identified in case of 99 women and 167 men of the late ancient period. I have compiled sex-age pyramid, based on which it turned out that the majority of men (32 individuals) died at the age of 50-55, whereas the majority of women died at the age of 20-25. The general picture of the sex-age pyramid is as follows: more women die within the I-II age category, and more men die in the III age category. Thus, we can conclude that the average lifespan of women in the I-III centuries was shorter than that of men. This may be due to reproductive health problems, because in that period the norms of hygiene were not observed, medicine was not developed, the quality of food was low and childbirth affected women's health. Besides, the markers of "physiological stress" have been identified based on the skulls of the late antique period. The study of physiological stress markers helps us reconstruct the standard of life of the population of the Paleolithic period. As a rule, markers are found in adults, although they point to the stress undergone by these individuals in their childhood. For instance, hunger, various forms of fever, infections, unfavourable environment and living conditions and so on. It should be noted that dental caries is twice less in women of the late antique period. Craniosclerosis in the forehead area is three times less. The syndrome of orange peel is slightly less. Dental atrophy, enamel hypoplasia and dental decay are almost equally widespread among men and women. Male skulls are more frequently affected by craniosclerosis on the crown and over the brow. Research of the orange peel syndrome has yielded interesting data. This syndrome points to the peculiarities of the climate. It is revealed in the environment of cold climate which affects bones. Orange peel syndrome has been found in the following antique monuments: Kvemo Arani, Zhinvali, Jieti, Aragvispiri, Taltebi, Karniskhevi, Mogvtakari, Matsantsara and Nedzikh. Research of craniosclerosis is also important for the reconstruction of the life standard of the late antique period. Craniosclerosis is often a result of nutritional stress. It is related to various diseases like malaria and different types of anaemia. During chronic nutritional stress, the organism suffers from iron deficiency. This marker also points

to the lack of sanitation. Research has proved that 41.3% of the population of the late antique period suffered from craniosclerosis in different parts of the body. This is a significant index which enables us make important conclusions. Above all, mention should be made of the nutrition factor, which causes dental caries, dental decay and atrophy. We also made a table of measurements of skulls of the late antique people. The table proves that the most widespread type of skull was dolichocranial skull, with straight forehead and back of the head, face of average proportions. These features are characteristic of both men and women.

As for the archeological data, we compiled a database with types and numbers of tombs. The most frequent types are tombs made of holes and stone boxes, although the holes are more widespread. Unfortunately, there are many tombs of unknown type. This hampers us from obtaining complete statistical data. It should be noted that we have analyzed only those tombs which provide osteological material, as our aim is to carry out unified research of anthropological and archeological data. So far, we have not obtained osteological material from Western Georgia. Therefore, we will not focus on the types of tombs in Western Georgia. As for artefacts, the most widespread ones are: jugs, coins, fibulas, cups, glasses, beads and rings. It should be noted that burying the vessels made of glass together with the deceased was popular in the first century. There are numerous Roman denarius coins and Parthian drachms. Silverware is rare. The dead are usually buried lying on their backs, in straight position or with folded limbs. The tombs are mostly individual, collective ones are rare.

The demographic research of the early medieval Georgian population embraced 259 individuals, out of which 93 are women and 166 are men. The average lifespan of women is 27-32 years, that of men is 37-42 years. There were only 7 women aged above 60, whereas the number of men of this age was 38. The situation is almost identical in Georgia's population of the late antique period. In this period, men lived longer than women. The most widespread marker of physiological stress is craniosclerosis above the brow (75% in men, 65% in wom-

en). In the late antique period, this marker is less widespread. However, forehead craniosclerosis is more widespread in the late antique period than in early Middle Ages. There is high percentage of dental decay in both sexes (59.4% in men, 511.7% in women). It should be noted that dental decay is more widespread among women in late antique age than in the early Middle Ages. In case of men, the situation is contrary: dental decay is less in men of the late antique age and more in men of the early Middle Ages, dental atrophy is more widespread in the population of the late antique period. As for the tombs of the early Middle Ages, the main type is stone and stone box. Holes are found only in Zhinvali. The burial rites are Christian, the hands are crossed, the corpses lie straight on the back. This is not the case in the late antique epoch. The burial inventory is also different, consisting mostly of glass vessels, although ceramic vessels and jewellery are found in small amount.

An interesting phenomenon from the viewpoint of demographic analysis is an artificial deformation of the skull. Artificial deformation is found in cultures that are geographically and culturally alien. The earliest deformations (X-IX millennia) have been found in Shanidar cave (Iraq) and some Neolithic cultures of Asia Minor. Artificial deformation of the skull is a type of modification of the body similar to tattoo, piercing, scarification and other forms of modification. The skull was modified from a very young age. Cloth or some hard material was used for this purpose. Yet, it is unknown why this practice was applied or how it became widespread on the Georgian territory. This issue will be clarified based on genetic research. At this stage, it is difficult to find out whether the population applying the practice of artificial deformation was ethnically Georgian or they were migrants.

The craniological material obtained on the Georgian territory proves that skulls were artificially deformed beginning from the late Bronze and early Iron age. Only 15 artificially deformed skulls of the early antique period have been discovered, comprising 5 female skulls and 10 male ones. There are 10 artificially deformed skulls of the Hellenistic period, out of which 6 are women and 4 - men. There are 32 artificially

deformed skulls of the late antique period, out of which 12 are women and 18 are men, one is a child, and the sex of the last one is unidentified. In general, there are 57 artificially deformed skulls of the antique period, obtained as a result of excavations at various monuments. Out of the skulls obtained as a result of excavations of early medieval Georgian monuments, 126 are deformed comprising 21,7%. Research has also proved that the practice of artificial deformation of skulls did not affect longevity. In order to find out the reason for applying the practice of artificial deformation and identify whether these people were ethnically Georgians, I studied the “deformed” population from the anthropological and archeological viewpoints. I have concluded that the burial rites and inventory are identical in case of normal and deformed skulls. This proves that these people did not differ culturally. There are some collective tombs where individuals with normal skulls and those with artificially deformed skulls are buried together. Thus, we can assume that they belonged to the same ethnic group. However, as I have already mentioned, only archeological and anthropological data are insufficient for finding a precise answer to the above question.

ნიკოლოზ ჟღენტი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

მამნე ოქრომჭადლის უცნობი ნამუშევარი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან და მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე „მთასაყდარის“ სახელწოდებებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თარიღდება დაახლოებით IX ს-ის II ნახევრიდან X ს-ის I ნახევრით, მთავარი ნავის ჩრდილოეთ მინაშენი X ს-ის დასასრულით ან XI ს-ის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით. მონასტრის კოორდინატებია – 42°26'10.45"; 42°58'32.15" (სურ. 1).

მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიის კვლევისას გამოიკვეთა მონასტრის კუთვნილი ძალზედ საინტერესო საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების სიძველეები, რომელთა საერთო რაოდენობა 14-ამდეა. დღეისათვის მათი უმრავლესობა დაკარგულად ითვლება. მათ შესახებ ინფორმაციას ვხვდებით მთის წმ. გიორგის მონასტრის საისტორიო საბუთებსა და გიორგი ბოჭორიძის ნაშრომებში, რომელმაც აღნიშნული სიძველეები 1923-26 წლებში რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში მოგზაურობისას მოინახულა და აღწერა. ეს სიძველეები მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა როგორც უშუალოდ მონასტრის ისტორიისათვის, ასევე შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო, ასევე ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.

ამ ეტაპზე განვიხილავ ერთ-ერთ ასეთ სიძველეს _

ოდესლაც მონასტრის კუთვნილ წმ. გიორგის ხატს, რომელიც დღეისათვის, წყნორის წმ. გიორგის ხატის სახელით, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება ნომრით #3168/565 (ძვ. #2872) (სურ. 2).

ეს ძვირფასი ძველი ქართული ხელოვნების ნიმუში გ. ბოჭორიძეს ოკრიბის სოფ. წყნორის წმ. გიორგის ეკლესიაში უნახავს, სავარაუდოდ, 1925-26 წლებში. სოფელი მთის წმ. გიორგის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით დაახლ. 5 კმ-ში მდებარეობს. სოფელი წყნორი, უფრო ადრე თუ არა, დავით IV აღმაშენებლის პერიოდიდან მოყოლებული მთის წმ. გიორგისადმი იყო შეწირული. აქვე მდებარეობდა მონასტრის მეურნეობის ზედამხედველის – „მებართლომეს“ რეზიდენციაც. ადგილობრივმა მოსახლეობამაც დაუდასტურა გ. ბოჭორიძეს, რომ სოფ. წყნორში დაცული საეკლესიო სიძველეები სწორედ ამ მონასტრიდან ყოფილა ჩატანილი. სწორედ გ. ბოჭორიძის წყალობით აღმოჩნდა ეს სიძველე ქუთაისის მუზეუმში და გადაურჩა განადგურებას.

ხატის ტექნიკური აღწერილობა:

ზომა: 24X20,5 სმ, წონა: 1121 გრ. მასალად გამოყენებულია მოოქრული ვერცხლის ფირფიტა. ფირფიტა ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ბუდეში. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, პირით მარჯვენა მხარესაა მიმართული და შუბით განგმირავს ცხენის ფეხებთან მყოფ გველეშაპს. ხატის მარჯვენა ზედა ნაწილში გამოსახულია მაკურთხეველი მარჯვენა, რომელიც ოთხად გახსნილი ზეცის ბოლო შრიდან გამოდის. წმ. გიორგის თავი სამი მეოთხედითაა მოტრიალებული და მაკურთხეველი მარჯვენისადმი მონიწებით ოდნავ დახრილია. ხატს აგლეჯილი აქვს წმ. გიორგის ტანის ქვედა და ცხენის დიდი ნაწილი. აგლეჯილია ასევე გველეშაპის თავი და კუდი. შემორჩენილ ნაწილზე კი ჩანს, რომ წმ. გიორგის შუბის წვერი გველეშაპის კეფიდანაა გამოსული. გველეშაპის ტანზე, ფეხთან ახლოს დაშვებულ ფრთაზე გამოსახულია ადამიანის პროფილი. როგორც ჩანს, ხატს კიდევებზე შემოუყვებოდა დეკორატიული არშია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი ხატის ქვედა მარცხენა ნაწილში, ისიც არა თავის ადგილზე, არამედ ცხენის უკანა ფეხების ადგილ-

ზეა მიჭედებული. ხატის ზედაპირზე შეიმჩნევა რამდენიმე ნახვრეტი. როგორც ჩანს, ამ ადგილებზე ოდესღაც ძვირფასი თვლები იყო დამაგრებული. გველეშაპის ზემოთ გაურკვეველი გამოსახულების ფრაგმენტია, რადგან ეს ნაწილი, ხატის ზოგადი ბრტყელი ფონისგან განსხვავებით უფრო ამობურცულია. აგლეჯილი თავის მარცხნივ ასევე გაურკვეველი გამოსახულებაა, თითქოს ჰგავს იმავე ხატზე ცხენის უზანგს და ლაგამს.

გ. ბოჭორიძე ამ ხატს არ უთითებს თარიღს, თუმცა, ხატის როგორც ზოგადი სტილის, ისე მისი დეტალებისა და წარწერის პალეოგრაფიული შედარება სხვა ჭედურ ნამუშევრებთან შესაძლებლობას გვაძლევს არა მხოლოდ დავათარილოთ ეს ხატი, არამედ მისი ოსტატის ვინაობაც კი დავადგინოთ.

პალეოგრაფიული შედარებით მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) ხატი ძალზედ ახლოს დგას სადგერისა და ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვრების წარწერებთან, რომელთა მომჭედელი ოსტატი XVI საუკუნის ცნობილი ოქრომჭედელი მამნეა.

მამნე XVI საუკუნის პირველ მესამედში სამცხე-საათაბაგოში მოღვაწეობდა, მოგვიანებით კი იმერეთის სამეფოში გადადის და, სავარაუდოდ, გელათში მკვიდრდება. დღეისათვის მისი ნამუშევრებიდან გამოვლენილი იყო სულ 6 ჭედური ერთეული. თუმცა, ეს ბრწყინვალე ნამუშევრებიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ მამნე არა მხოლოდ საკუთარი ნამუშევრებით შეეცადა გაეცოცხლებინა ძველი ქართული ჭედური ხელოვნების ის უმდიდრესი კულტურა, რაც XII საუკუნიდან მოყოლებული დაცემას განიცდიდა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის ხელმეორედ აღორძინებას როგორც იმერეთში, ისევე სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებშიც. სწორედ ამ ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო მამნე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ძველი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

პალეოგრაფიული მსგავსების გარდა, მამნეს ნამუშევრებსა და მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) ხატს შორის გამოვლინდა აშკარა ვიზუალური და სტილისტური მსგავსებებიც, განსაკუთრებით კი დეტალებში. ეს განსაკუთრებით ითქმის სადგერის საკურთხევლიწინა

ჯვრის სულ ქვედა ნაწილში გამოსახული წმ. გიორგის სასწაულების ამსახველ სცენებში. მსგავსებები ისეთი დეტალებისა, როგორებიცაა წმ. გიორგის მოსასხამი, აბჯარი, სახე (განსაკუთრებით თვალები, ცხვირი და პირი), ცხენის ფაფარი, ლაგამი, ოთხად გახსნილი ზეცა და მაკურთხეველი მარჯვენა, იმდენად დიდი იყო, ამან უკვე შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელი იყო მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატიც მამნე ოქრომჭედლის მოჭედილი ყოფილიყო. ეს ვარაუდი კი უკვე დასკვნად აქცია წმ. გიორგის მიერ ბოლღარული ყრმის დახსნის სცენაზე (სურ. 3) გველეშაპის ვიზუალმა და იმ გამორჩეულმა იკონოგრაფიულმა დეტალმა, რაც მას ახლავს: გველეშაპის ტანზე, ფრთაში შერწყმული ადამიანის პროფილი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) ხატზეც გვხვდება (სურ. 4-5).

ორივე შემთხვევაში გველეშაპის სხეულზე, ფეხებს ზემოთ დაშვებულ ფრთაზე გამოსახულია ადამიანის სახის პროფილი, პირით მარჯვნივ. ეს დეტალი იმდენად ოსტატურადაა შერწყმული გველეშაპის ტორსთან, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ვერც შეამჩნიოთ. მსგავსი იკონოგრაფიული დეტალის მქონე სხვა ნიმუში, არც ქართულ და არც უცხოურ იკონოგრაფიაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აღარ გვხვდება. როგორც ჩანს, ეს უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი, რომელიც სხვა მკვლევრებს საერთოდ გამორჩათ, უშუალოდ მამნეს ხელწერა იყო.

ამგვარად, ჩემი აზრით, ყველა ზემოთ დასახელებული მსგავსებისა და განსაკუთრებით გველეშაპის ფრთაში შერწყმული ადამიანის პროფილების იდენტური გამოსახულებები ამტკიცებს, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) წმ. გიორგის ხატი მამნე ოქრომჭედლის კიდეც ერთი ნამუშევარია, რომელიც დღემდე უცნობი იყო. შესაბამისად, დღეისათვის უკვე ცნობილია ქართული ქედური ხელოვნების ამ ბრწყინვალე ოსტატის არა 6, არამედ 7 ნამუშევარი. ესენია:

1. სადგერის საკურთხეველისწინა ჯვარი, 1520-იანი წწ.;
2. შემოქმედის მიძინების ხატი და კუბო-კარედი

- 1520-იანი წწ-ის შემდგომ;
3. ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვარი, 1520-იანი წწ-ის შემდგომ;
 4. კულაშის კუბო (კიოტი), 1520-იანი წწ-ის შემდგომ;
 5. ხონის საწინამძღვრო ჯვარი, 1565-1583 წწ.;
 6. გელათის საწინამძღვრო ჯვარი, 1568-1572 წწ.;
 7. მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ხატი.

რაც შეეხება ხატის დათარიღებას: მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) ხატი და სადგერის 1520-იანი წლების საკურთხევლისწინა ჯვარი, რომელზეც გვხვდება ანალოგიური სცენა, თითქმის იდენტურია და შეიძლება მის თანადროულადაც ჩაითვალოს. თუმცა, ჩემი დაკვირვებით, მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატი შედარებით უფრო დახვეწილი ხელობითაა ნაჭედი და სადგერის ჯვარზე გვიან უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად, მის თარიღად XVI საუკუნის შუა პერიოდი უნდა განისაზღვროს.

რთულია ბუსტად განისაზღვროს მთის წმ. გიორგის მონასტრის (წყნორის) წმ. გიორგის ამ ხატის შექმნის ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, თუმცა, მისი შექმნის თარიღისა და ადგილსამყოფელი მონასტრის გათვალისწინებით, რომელსაც გელათის მონასტერთან დოკუმენტურად დადასტურებული ინსტიტუციური კავშირი ჰქონდა, ვვარაუდობ, რომ ეს ხატიც მამნეს იმერეთში მოღვაწეობისას შეუქმნია.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა შინაარსობრივ დატვირთვას შეიძლება ატარებდეს მამნეს მოჭედილ ამ ორ ხატში გველეშაპზე გამოსახული ადამიანის პროფილი?

ძველი ქართული ხელოვნების ისტორიაში კარგადაა ცნობილი ერთი უნიკალური იკონოგრაფიული მოტივი: წმ. გიორგის მიერ დიოკლეთიანეს დამარცხების სცენა, რაც მხოლოდ ქართული კულტურული სივრცისათვის იყო დამახასიათებელი და VII-XVII საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში მეტ-ნაკლები სიხშირით ცირკულირებდა. ამ მოტივის ნიმუშები გვხვდება ქართულ ქვაზე კვეთილობის ნიმუშებზე, ქედურ და ფერწერულ ხატებზე, ხელნაწერთა მინიატურებსა და ნუმისმატიკურ მასალაზეც კი. ამის გათვალისწინებით, მთის წმ. გიორგის მონა-

სტრის კუთვნილ წმ. გიორგის ხატსა და სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის სცენაზე გამოსახული გველეშაპის ტორსზე არსებული ადამიანის სახის პროფილი, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა იმპერატორ დიოკლეთიანეს გამოსახულება. მითუმეტეს შუასაუკუნეების ქრისტიანულ იკონოგრაფიაში პროფილში, ძირითადად, უარყოფით ან მეორეხარისხოვან ადამიანებს გამოსახავდნენ.



სურ. 1: მთის წმ. გიორგის მონასტერი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. მ. დვალის ფოტო, 1954 წ.



სურ. 2: წყნორის წმ. გიორგის ხატი. ქუთაისის
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი #3168/565 (ძვ. #2872)



სურ. 3: სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი. 1520-იანი წწ. წმ. გიორგის მიერ ბოლღარელი ყრმის გამოსხნის სცენა. ოსტატი: მამნე.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (სხმ-1173-76)



სურ. 4: წყნორის წმ. გიორგის ხატის დეტალი: გველეშაპის ფრთაზე გამოსახული ადამიანის პროფილი



სურ. 5: სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წმ. გიორგის ხატის დეტალი: გველეშაპის ფრთაზე გამოსახული ადამიანის პროფილი

**THE UNKNOWN WORK OF GOLDSMITH MAMNE AT
ST GEORGE MONASTERY AND ITS PECULIAR UNIQUE
ICONOGRAPHIC DETAIL**

Mtis St. George Monastery, also known in scholarly literature as the monastery of Leknari and “Mtasakdari” is located in Lower Racha on the Southern slope of the Racha ridge. The monastery stands on a high rock and is dated approximately by the second half of the IX century and the first half of the X century. The Northern annexe to the main nave is dated by the end of the X century and the beginning of the XI century, The Western annexe is dated by later period. The coordinates of the monastery are 4232.15'58° 42 ;"10.45'26°“ (picture 1).

Research of the St. George monastery has made it possible to identify interesting ancient ritual objects belonging to the monastery, 14 objects in all. Currently their majority are considered lost. Information about them is found in the historical documents of the monastery and in Giorgi Bochoridze's works. The latter scholar visited the monastery in 1923-1926 while travelling to Racha-Lechkhumi and Imereti and gave a detailed description of the above-mentioned objects. The objects are important not only for the history of the monastery but also for the political, religious and art history of medieval Georgia.

In the given paper I will analyze one of the above-mentioned ancient objects – the icon of St. George which once belonged to the monastery. Currently, under the name of Tsknori St. George icon, it is preserved at Kutaisi State Museum of History, with the number #3168/565 (old number #2872) (Picture

2).

G. Bochoridze saw this precious example of Georgian art in St. George church of the village Tsknori, Okriba, supposedly in 1925-1926. This village is located at about 5 kilometers to the South-West of Mtis St. George Monastery. The village was sacrificed to Mtis St. George beginning from the period of Davit IV, if not earlier. In the village, there was a residence of the monastery's supervisor – "Mebartlome". The locals told G. Bochoridze that the ancient religious objects preserved in Tsknori had been brought to the village from the monastery. Thanks to G. Bochoridze, the ancient objects were brought to Kutaisi museum. Thus they were saved from being destroyed.

Technical Description of the Icon:

Size: 24X20.5 cm. Weight: 1121 grams. The icon is made of gilded silver plate. The plate is placed in a leather holder. St. George is mounted on a horse, his face is directed to the right, and with his spear he pierces the dragon lying at the feet of his horse. In the upper right part of the icon, there is a right hand that gives a blessing. The hand appears from the upper layer of the sky which is divided into four parts. The head of St. George is turned by three fourths and slightly bent respectfully towards the blessing right hand. The lower part of St. George's body and a major portion of the horse are torn off. The dragon's head and tail are also torn off. On the remaining part, we can see that the blade of the saint's spear has pierced the dragon's head. On the dragon's body, on the wing beside the foot, we can see a human profile. It seems, the icon had a decorative border, only a small fragment of which has remained in the lower left part of the icon. However, the border is not in its proper place, it has been displaced to the hind legs of the horse. There are several holes on the surface of the icon. It is obvious that gemstones were once fixed to these places. Above the dragon, there is a fragment, which is obscure because this part, unlike the general flat surface of the icon,

is protuberant. To the left of the torn head, there is another obscure image which resembles the horse stirrup and bridle.

G. Bochoridze did not date this icon. However, paleographic comparison of the style of the icon, its details and inscription to other works of smithery enables us not only date the icon but also identify the goldsmith that created it.

According to paleographic comparison, Mtis St. George icon (Tsknori icon) is close to the inscriptions on the crosses in front of the altars of Sadgeri and Barakoni churches. These crosses are made by Mamne – an outstanding goldsmith of the XVI century.

Mamne lived and worked in Samtskhe-Saatabago in the first third of the XVI century. Later he moved to Imereti and, supposedly, settled in Gelati. Currently only 6 of his works have been identified, but even this small number of his works proves that Mamne not only revived the ancient Georgian culture of smithery, which had been degrading since the XII century, but formed grounds for the revival of smithery in Imereti and other Georgian kingdoms. Due to these fruitful activities, Mamne is considered the most significant figure in the history of old Georgian art.

Apart from paleographic similarity, there are obvious visual and stylistic similarities between Mamne's works and Mtis St. Georgia (Tsknori) icon. These similarities are especially obvious in the details. There are obvious similarities between the given icon and the lower part of the cross in Sadgeri church, depicting the miracles performed by St. George. The similarities are found in details like St. George's robe, armour, face (especially eyes, nose and mouth), the horse's mane, the bridle, the sky which is divided into four parts, the blessing right hand. Due to these similarities, I assumed that Mtis St. George icon was also created by goldsmith Mamne. This assumption turned into a firm conclusion when I studied the dragon in the scene of salvation of the Bulgarian boy (Picture 3). This image has a unique iconographic detail: there is a human profile in

the dragon's wing. The same feature is found in Mtis St. George icon (Picture 4-5).

In both cases, on the dragon's wing, above the feet, there is a human profile, turned to the right. This detail is so masterfully combined with the dragon's torso that one may fail to notice it. As far as I know, there is no similar iconographic detail in other works of Georgian or foreign iconography. This unique iconographic detail, which other scholars failed to notice, is a marker of Mamne's style.

Thus, in my opinion, all the above-mentioned similarities, especially the human profile in the dragon's wing, prove that Mtis (Tsknori) St. George icon is another masterpiece by Mamne, and it was unknown to the public until today. Thus, currently we are familiar with 7 (instead of the above-mentioned 6) brilliant works by goldsmith Mamne. These works are:

8. The cross in front of the altar of Sadgeri church, created in the 1520s;
9. Dormition icon with doors in Shemokmedi church, created after the 1520s;
10. The cross in front of the altar in Barakoni church, created after the 1520s;
11. Kulashi coffin (Kyoto), created after the 1520s;
12. The Abbot's cross of Khoni, 1565-1583;
13. The Abbot's cross of Gelati, 1568-1572;
14. St. George icon of Mtis St. George Monastery.

As for the date of creation of the icon in question: Mtis St. George (Tsknori) icon and the cross in front of the altar

in Sadgeri church, dated by the 1520s, are almost identical. Hence, the two objects may be considered to have been created in the same period. However, based on my observation, the icon under analysis is more refined. Therefore, it must have been created later than Sadgeri cross, most probably in the middle of the XVI century.

It is hard to precisely define the historical-geographical area where Mtis St. George icon was created. However, taking into account the date of its creation and the monastery where it was kept, as well as the documentarily proved institutional links between Mtis St. George monastery and Gelati, it can be concluded that Mamne created the icon in question while he lived in Imereti.

Naturally, there is a question regarding the meaning of the human profile on the dragon's wing.

In the history of old Georgian art, there is a well-known unique iconographic motive: the scene in which St. George defeats Diocletian. This scene was peculiar of the Georgian cultural space and widespread in the Georgian art in the VII-XVII centuries. This motive is often carved on stones. It is also found on the works of goldsmiths and painters, as well as miniatures on manuscripts and even coins. Based on the above-mentioned, we can conclude that the human profile on the dragon's torso, found on Mtis St. George icon and the cross in front of the altar in Sadgeri, is an image of Emperor Diocletian. We should also take into account that fact that in the medieval Christian iconography it was a widespread practice to draw the images of negative or insignificant people in profile.



Picture 1: Mtis St. George Monastery. The view from North-West. Photograph by M. Dvali, 1954.



Picture 2: Tsknori St. George Icon. Kutaisi State Museum of History #3168/565 (old number #2872)



Picture 3: The cross in front of the altar in Sadgeri church. 1520s. The scene of salvation of the Bulgarian boy by St. George. Created by Mamne.

Georgian Museum of Arts (GMA-1173-76)



Picture 4: Detail of Tsknori St. George Icon: the human profile on the dragon's wing.



Picture 5: Detail of the icon of St. George on the cross in front of the altar of Sadgeri church: the human profile on the dragon's wing.

ირაკლი ფაღავა

გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუასაუკუნოვანი ქართული მონეტა ბაგრატ მეფის მადიდებელი ზღწერილით

წინამდებარე ნაშრომის **მიზანია**, ჩამოვყალიბოთ ჩვენი მოსაზრებები არაბული დირჰემების ერთ გამორჩეულ ქართულ მინაბაძზე ბაგრატ „აფხაზთა მეფის“ მადიდებელი ლეგენდით. ამ სამონეტო ტიპს ტრადიციულად ბაგრატ III ბაგრატიდს მიაწერდნენ (Пахомов 1970, 55-57); ბოლო დროს კი გოჩა ჯაფარიძემ ბაგრატ I ლეონიდს მიაწერა (ჯაფარიძე 2012); მას დაეთანხმა ვიჩესლავ კულეშოვიც (ნაშრომში მრავალი რამ სადისკუსიოა) (Кулешов 2013).

ორივენი აღნიშნავენ (იქვე მონეტის აღწერილობაც), რომ ბაგრატის მონეტა (ბმ) არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების ჯგუფს მიეკუთვნება; მის დასათარიღებლად (და, შესაბამისად, ბაგრატის ვინაობის დასადგენად) სწორედ ამ მინაბაძების ემისიის სავარაუდო დროს ითვალისწინებენ. მინაბაძებს კი მათი პროტოტიპების მიხედვით ათარიღებენ - „სწორედ პროტოტიპის თარიღი და სხვა მახასიათებლები, მიახლოებით მაინც, განსაზღვრავენ მინაბაძების მოჭრის დროს“. (ძირითადად, გ. ჯაფარიძის) არგუმენტაციაა:

- 1) ქართული მინაბაძების პროტოტიპია ‘აბასიანთა დირჰემები, მათ შორის, წებელდის განძის მინაბაძებზე იმიტირებული თარიღებით თუ ვიმსჯელებთ - ჰ. 156 (772/3) და 157 (773/4) წწ. დირჰემები; ასევე, ჰ. 145 (762/3)-155 (771/2) წწ. მოჭრილი დირჰემები (ერთ-ერთ მინაბაძზე იკითხება *მახთღმომხწმუნეთა ამიხას ძე*,

აღ-მაჰდი - ამგვარად ეს პიროვნება სწორედ მითითებულ პერიოდში მოიხსენიებოდა); უფრო გვიანდელი პერიოდით არცერთი მინაბადის პროტოტიპი არ თარიღდება. ყველა პროტოტიპი ხალიფა ალ-მამუნის ზეობაში განხორციელებულ რეფორმაზე უფრო ადრეული პერიოდისაა - ალ-მამუნის განკარგულებით, განხორციელდა სამონეტო ტიპების უნიფიცირება, შეიცვალა დირჰემების დიზაინი - შუბლზე გაჩნდა მეორე წრიული ლეგენდა, ყურანიდან აღებული ტექსტი (XXX სურის მე-3 და მე-4 აიას ნაწილები) - რეფორმა კი განხორციელდა ჰ. 198 (813/4) – 217 (832/3) წწ. შუალედში. ყველა ქართული მინაბადის (თუნდაც, გაურჩევადი „მოჭრის თარიღით“) შუბლზე მხოლოდ ერთი წრიული ზედწერილია. „თარიღიანი“ მინაბადების არაბული ზედწერილების პალეოგრაფიაც შეესაბამება რეფორმამდელ დირჰემებს. ამრიგად, ქართული მინაბადების პროტოტიპია სწორედ რეფორმამდელი დირჰემები, რომელთა ემისიაც განხორციელდა „არა უგვიანეს IX ს-ის 20-იანი წლებისა“;

- 2) თითქმის ექსკლუზიურად ქართული მინაბადებისგან შემდგარი წებელდის განძის შეგროვება განძში შემავალი ერთადერთი არა-მინაბადი მონეტით, კერძოდ ჰ. 163 წ. (779/80) ალ-მაჰდის დირჰემით 779/80 წ. შემდგომი *ღხოით* თარიღდება; წებელდის განძი დაფლეს არა უგვიანეს IX ს-ა. გამოდის, რომ მკვლევრები მინაბადების ემისიასაც ათარიღებენ დროით IX ს-ის დასასრულამდე: „მინაბადების ემისია IX-X სს. მიჯნაზე ახლოსაა რეალობასთან“; X-XI სს. მიჯნით ამ მინაბადების ემისიის დათარიღება კი „მიუღებელია“; ვინაიდან, „ამ დროისთვის მათი მომჭრელებისთვის უფრო მოსახერხებელი და ადვილი იყო გამოეყენებინათ არა აბასიანთა ადრეული დირჰემები, არამედ სხვა, მოგვიანო ხანის პროტოტიპები, თუნდაც თბილისში მოჭრილი დირჰემები“, მაგრამ ამ გვიანდელმა დირჰემებმა არ შეასრულა პროტოტიპის როლი „მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მინაბადების ერთი ნაწილის ემისია, არაბული პროტოტიპებისა და, შესაბამისად, მინაბადების მახასიათებლების მიხედვით, ძირითა-

დად განხორციელდა გაცილებით ადრე, სახელდობრ, უწინარეს IX ს-ის 20-იანი წლებისა.“; გ. ჯაფარიძის ვარაუდით, „IX ს-ის მანძილზე, საფიქრებელია, მიმდინარეობდა **მინაბაძთა მინაბაძების** ემისიაც“;

- 3) წებელდის განძის აღმოჩენის ადგილის მიხედვით, გ. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ „მინაბაძების ემისია ... ხორციელდებოდა **აფხაზთა სამეფოში**“; ვ. კულეშოვიც ემიტენტ სახელმწიფოდ აფხაზთა სამეფოს მიიჩნევს;
- 4) ბმ არაბული დირჰემების ხსენებული ქართული მინაბაძების განვითარების შემდგომი ეტაპია - „ბაგრატის **მონეტის პროტოტიპები აშკარად იყო ზემოგანხილული არაბული მინაბაძები და ამ მინაბაძების მინაბაძებიც, რომლებიც იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო IX ს-ის მანძილზე**“;
- 5) ბმ-ის სინჯი არ შეესაბამება ვერცხლის კრიზისის პერიოდს: არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სინჯი, ორი გამონაკლისის გარდა, >90%-ზე, 98%-მდე; მინაბაძებზე მსჯელობისას „ვერ ვიტყვი, რომ ისინი მოიჭრა ვერცხლის კრიზისის დროს, X-XI სს. მიჯნაზე“; ბმ-ის სინჯი კი არის 97.18% - გ. ჯაფარიძე გამორიცხავს ბმ-ისა და მინაბაძების „მოჭრის თარიღებს შორის არსებობდეს ორსაუკუნოვანი შუალედი“;
- 6) „ბაგრატის მონეტის წონა (1.78 გ) არაბული მონეტების ქართული მინაბაძების წონითი მაჩვენებლების ჯგუფში ჯდება“, ხოლო „მინაბაძების წონით მაჩვენებლებს საერთო არა აქვთ XI ს. დაბალწონიან ქართულ მონეტებთან“ (“XI ს. დაბალწონიან ქართულ მონეტებში“ გ. ჯაფარიძე აშკარად ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და დავით IV-ის ბიზანტიური ყაიდის მონეტებს გულისხმობს);
- 7) აქედან გამომდინარე, გ. ჯაფარიძემ ბმ-ის ემიტენტი „ბაგრატ, აფხაზთა მეფის“ ძიება IX ს-ში დაიწყო და მოძებნა კიდევაც, ბაგრატ I-ის, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს“) მონარქის სახით (ზეობის წლები - სხვადასხვა ავტორის მიხედვით, 887-906, ან 861-873, ან 887-899, ან 881-893, ან 80-იანი წწ. ბოლო - 893).

რამდენად სარწმუნოა ზემოთ რეპროდუცირებული არგუმენტაცია? ვთვლით, რომ მასში ხარვეზებია; მოგვყავს ჩვენი არგუმენტაცია, რომლითაც ბმ-ის IX ს-ით დათარიღება და ბაგრატ I-ისადმი მიკუთვნება ირიცხება.

ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბმ-ის სინჯი (Ag 97.18%) არ შეესაბამება ვერცხლის კრიზისის პერიოდს (რომლის ინტენსიურობაც კავკასიის სხვადასხვა რეგიონში, სხვათა შორის, განსხვავებული იყო) და XI ს-ეს. ცნობილია ბაგრატ IV-ის მონეტის (სევასტოსის ტიტულით) შენადნობი (ზედაპირზე): Ag 89.4-94.3% (საშუალოდ Ag 91.9%, რაც მეტია ზოგიერთი მინაბადის სინჯზედაც) (Пагава, Спандерашвили 2017, 62-63). ფაქტია, სხვაობა არ აღემატება 5.3%-ს, რაც არ არის არსებითი.

ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბმ-ის წონა (1.78 გ) არ შეესაბამება XI ს-ის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების წონით მაჩვენებლებს. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ადრეულად არის მიჩნეული ბაგრატ IV-ის მონეტები ნოვედისიმოსის ტიტულით. ლიხნის განძში ამგვარი 9 მონეტაა, წონით (გ): 1.80, 1.47 (შემოტეხილი ეგზემპლარი), 1.96, 1.87, 1.85, 1.87, 1.95, 1.80, 2.20 (Шамба 1987, 108-109); კაპანაძე უთითებს წონას 1.56 გ (კაპანაძე 1969, 62). ბმ-ის წონა სავსებით შეესაბამება XI ს-ის ბაგრატ IV-ის ადრეული მონეტების წონით სტანდარტს.

უდავოა, რომ ბმ არაბული დირჰემების იმ ქართული მინაბადების ევოლუციის ნაყოფია, რომლებიც დასავლურ-ქართულ სახელმწიფოში იჭრებოდა, და რომ ამ ქართული მინაბადების პროტოტიპს წარმოადგენს *ხეფოხმამდეღი* (პ. 198 (813/4)-217 (832/3) წწ. წინარე) დირჰემები, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ მინაბადები პროტოტიპების მოჭრის (მეტ-ნაკლებად) პარალელურად იჭრებოდეს. მთავარია, პროტოტიპების არა ემისიის პერიოდი, არამედ მიმოქცევის დრო. მინაბადები შეიძლება გაჩნდეს იმ სამონეტო ბაზრის შესავსებად, რომელიც დატოვეს (ტოვებენ) პროტოტიპებმა, ან, სადაც, ისინი ჯერ კიდევ აქტიურად მიმოიქცევა, თუნდაც ემისიიდან საკმაო დროის შემდეგ (გ. ჯაფარიძეს გააზრებული ჰქონდა, თუნდაც ბაგრატ I-ის ვერსიის ფარგლებში, რომ ბმ პროტოტიპების ემისიის შეწყვეტიდან 60-80 წელიწადში

მოიჭრა; თუმცა, თვლიდა, რომ მინაბაძების მოჭრა ჯერ კიდევ რეფორმამდე დაიწყო). კონკრეტულ მაგალითსაც მოვიყვანთ იმავე რეგიონის ნუმისმატიკური ისტორიიდან. ტრაპიზონის იმპერიაში წმ. ევგენისა და მანუილის ქვეითი ფიგურების გამოსახულებიანი ასპრი იჭრებოდა 1297 წლამდე; შემდგომი პერიოდის ასპრზე ორივე უკვე ამხედრებულია. დასავლეთ საქართველოში კი XIV ს-ის დასასრულამდე მაინც იჭრებოდა ქართული მინაბაძები, ე.წ. *კიხმანუდი*, რომელზედაც კვლავინდებურად ქვეითი ფიგურებია (შეად. პატარიძე 2020, 95-98).

გ. ჭაფარიძეც და ვ. კულეშოვიც არ ითვალისწინებენ IX-X სს. საქართველოს სამონეტო მიმოქცევის თავისებურებებს. „უპასპორტო“ და ფიჩხოვანის განძები (ჭალალანია 1976, 133-146, 155-184) - ტეზავრაციის ტყ ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით არის ჰ. 236 (850/1) და ჰ. 237 წ. (851/2) - ფაქტია, რომ 'აბასიანთა რეფორმამდელი დირჰემები (და უფრო ადრეული ვერცხლის საფასეც კი!) რჩება მიმოქცევაში რეფორმის ჩატარების შემდეგაც; უფრო მეტიც - IX ს-ის შუა წლებისთვის საქართველოს მიმოქცევაში მყოფი მონეტარული ვერცხლის უმეგეს წილსაც შეადგენს („უპასპორტო“ განძში რეფორმის შემდგომი მონეტების ხვედრითი წილია მხოლოდ 9.6%; რეფორმამდელი 'აბასიანთა - 61.5%; კიდევ უფრო ადრეული, ომაიანთა - 28.8%; ფიჩხოვანის განძში რეფორმის შემდგომი მონეტების ხვედრითი წილია მხოლოდ 7.6%; რეფორმამდელი 'აბასიანთა - 75.4%, ესპანეთის ომაიანთა - 0.8% და იდრისიანთა - 1.7%; კიდევ უფრო ადრეული, ომაიანთა და სასანური ტიპის ვერცხლის - 14.4%). რაკი 'აბასიანთა რეფორმამდელი დირჰემები (მინაბაძების პროტოტიპები) მიმოიქცევა საქართველოში, ყველაზე ცოტა, IX ს-ის II ნახევარშიც და, საფიქრებელია, X ს-შიც, არ არის გამართლებული - 1) მინაბაძების ნებელდის განძის ტეზავრაცია მასში შემავალი ჰ. 163 წ. (779/80) რეფორმამდელი მონეტის მიხედვით მაინცდამაინც IX ს-ით დავათარილოთ, 2) საზოგადოდ, გამოვრიცხოთ მინაბაძების ემისია X ს-ში.

X ს-ში (XI ს-ის დასაწყისშიც!) მინაბაძების პროტოტიპად 832 წლამდე მოჭრილი მონეტების აღება არ არის „მიუღებელი“, ვინაიდან, 1) რეფორმამდელი მონეტები

მიმოქცევაშია, ყველაზე ცოტა, IX ს-ის II ნახევარშიც, და 2) ის „მოგვიანო ხანის პროტოტიპები, თუნდაც თბილისში მოჭრილი დირჰემები“, რომლებზედაც გ. ჯაფარიძე წერდა, საქართველოში ნაკლებად მიმოიქცეოდა: X ს-ის თბილისურ დირჰემები, ადგილობრივ ფულად მიმოქცევაში, საზოგადოდ, ძალიან შეზღუდულ როლს თამაშობდა; იწყება უფრო დაჭრილი ვერცხლის მიმოქცევა (დღივისა და ბოტანიკური ბალის განძები) (ჯალალანია 1976, 16-17) (შესაძლოა, სწორედ დაუჭრელი დირჰემის დეფიციტის შესავსებად გამოუშვეს კიდევაც არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები).

საზოგადოდ, სამონეტო ტიპის ევოლუციური განვითარების გზას რომ გადავხედოთ, ბმ-ის ბაგრატ I-ისადმი მიკუთვნება უცნაურად გამოიყურება. ნაჩვენები გვაქვს, რომ ბაგრატ IV-ის ბიზანტიურ-ტიტულიანი ვერცხლის საფასე ტიპოლოგიურად ორი ტრადიციის ნაყოფია: ბიზანტიური - ვლადიმერის ღვთისმშობლის გამოსახულება (შემოიღო კონსტანტინე IX-მ, 1050), და ბმ-ით წარდგენილი არაბულ-ქართულის (არაბული დირჰემის ქართული მინაბაძის ევოლუციის შედეგი) - რასაც ამტკიცებს დიზაინი: წრიული ლეგენდა ბმ-ის იდენტური ტექსტით: „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“ და ცენტრში ტექსტის გაგრძელება რამდენიმე სტრიქონად, ოღონდ, არა დამახინჯებული არაბული, არამედ, ასომთავრული ასოებით (ფალავა 2016, 253-254). ვეთანხმებით, ბმ არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების ევოლუციის შემდგომი საფეხურია, მაგრამ ბაგრატ IV-ის მონეტა, თავის მხრივ, ცალსახად, ბმ-ის ევოლუციის შედეგია, მაგრამ რა იჭრებოდა, დაუშვავთ, 880-890-იან წწ. გამოშვებულ ბმ-ასა და 1050-იან წწ. გამოშვებულ ბაგრატ IV-ის მონეტას შორის? როგორ მოხდა, რომ ამ საუკუნე-ნახევარმა არ დაგვიტოვა კიდევ რაღაცა ნუმისმატიკური კვალი, შუალედური / გარდამავალი საფეხური - რომ ბაგრატ I-ის მემკვიდრე არცერთ მეფეს არ მოუჭრია მონეტა საკუთარი სახელით, ქართული ლეგენდების ხვედრითი წილის გაზრდაზე რომ აღარაფერი ვთქვათ და რამდენად რეალურია საუკუნე-ნახევრიანი პაუზის შემდეგ ბაგრატ IV-ის მონეტაზე ზუსტად იგივე ადგილას პრაქტიკულად იმავენაირი

ლეგენდის გამოსახვა და თან, იდენტური პალეოგრაფიული ნიშნებით?

ბმ-აზე ქართული ასომთავრული ზედწერილი ხომ სპეციფიკური პალეოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება, კერძოდ, სწრაფვით დეკორატიულობისადმი, რაც უფრო X-XI სს. არის დამახასიათებელი. სახეზეა, ერთი მხრივ, უმნიშვნელოდ გამოხატული, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც, კიდურწერტილოვნება (სილოგავა 1972, 83-89), მეორე მხრივ კი - განის და ენის სპეციფიკური მოხაზულობა - ზედა შვეულთან დამატებითი ჰორიზონტალური ხაზებით (სილოგავა 1972, 57). ამგვარი მოხაზულობა „ამ პერიოდის ლაპიდარული დამწერლობის განვითარების ბოლო ეტაპებს განეკუთვნება და საშუალებას გვაძლევს წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X ს-ით განვსაზღვროთ“ (იქვე). კიდურწერტილოვანი დამწერლობით შესრულებული უძველესი დათარიღებული ძეგლი კი არის გურგენ მეფეთა მეფის 1006 წ. სამშენებლო წარწერა (იშხნის მცირე ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე) (იქვე, 83); იშხნის დიდი საყდრის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილ ბაგრატ IV-ის 1032 წ. წარწერაში კი „ასოთა კიდურწერტილოვნება მკაფიო და მეტი თვალსაჩინოებით არის წარმოდგენილი“ (იქვე, 84), ხოლო 1006 წ. წარწერაში „კიდურწერტილოვნება ჯერ არ არის ისე მკაფიოდ წარმოდგენილი, როგორც ამას 1032 წ., და საერთოდ, XI ს-ის შუახანებით დათარიღებულ წარწერებში ვხვდებით“ (იქვე). შესაბამისად, ვალერი სილოგავას მიხედვით, კიდურწერტილოვანი დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XI ს-ის დასაწყისია (იქვე, 85). ეს მსჯელობა ლაპიდარული წარწერების პალეოგრაფიული კვლევის შედეგებს ეყრდნობა, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ პალეოგრაფიული მახასიათებლებით სამონეტო ზედწერილებიც ეპოქის შესაბამისი იქნებოდა, ან, სულაც, პალეოგრაფიული სიახლეები სამონეტო ზედწერილებში დაგვიანებით აისახებოდა (ვაგრძელებთ ქართული ნუმისმატიკური პალეოგრაფიის კვლევას). ამრიგად, ბმ-ის ასომთავრული ლეგენდის პალეოგრაფიული ნიშნები მას ცალსახად ათარიღებს XI ს-ით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, X ს-ის დასასრულით (და არა 1-1.5 ს-ით წი-

ნანდელი დროით).

სქოლიოში გ. ჯაფარიძე გამოთქვამს მოსაზრებას (ჯაფარიძე 2012, 215, სქოლიო 61), რომ ბაგრატ I-ის მონეტაზე „მეფე აფხაზთა“ წოდების მითითება ეწინააღმდეგება ღია ახალაძის დაკვირვებას, რომლის თანახმადაც, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს მონარქები ატარებდნენ ტიტულს „მეფე“, ხოლო „მეფე აფხაზთა“ კი წოდებულებაში ჩნდება მხოლოდ ბაგრატ III-ის დროიდან. ჩვენი აზრით კი, სწორედ ღია ახალაძის კონცეფციის (ახალაძე 2004) გათვალისწინებით, რომელსაც სავსებით ვიზიარებთ, ამ მონეტაზე „მეფე აფხაზთა“ წოდების მითითება ცალსახად გამორიცხავს მონეტის მიკუთვნებას ბაგრატ I-ისადმი და ადასტურებს მის მიკუთვნებას ბაგრატ III-ისა ან IV-ისადმი.

ამრიგად, ბმ-ის ბაგრატ I-ისადმი მიკუთვნებას გამოვირიცხავთ. **ბაგრატის მონეტის ემიტენტია ან ბაგრატ III** (გიორგი I-ს კი საკუთარი სახელით საფასე არ გამოუშვია? თუ ჩვენამდე არ მოღწეულა?), **ან, უფრო მოსალოდნელია, ბაგრატ IV**, რომელმაც არაბული დირჰემების (დასავლურ-)ქართულ მინაბაძებზე საკუთარი სახელი ჯერ წრიულ ლეგენდაში შეიტანა, შემდეგ კი, ბიზანტიური 2/3 მილიარესების ზეგავლენით, სამონეტო ტიპი არსებითად გადაახალისა (ის მხარე, სადაც ისლამური რელიგიური ფორმულა იწყებოდა, ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებით ჩაანაცვლა; მეორე მხარეს კი ასომთავრული ლეგენდა არაბულის ხარჯზე განავრცო და, ამგვარად, მონეტის ცენტრიც გააქართულა).

დამოწმებანი:

ახალაძე ღია. 2004. „ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფის ტიტულატურის შესახებ“. საისტორიო ძიებანი, ტ. VII: 26-33.

კაპანაძე დავითი. 1969. ქართული ნუმისმატიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გ-ბა.

პატარიძე მია. 2020. სვანეთის ნუმისმატიკური საგანძური. თბილისი.

სილოგავა ვალერი. 1972. დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.

ფაღავა ირაკლი. 2016. „საქართველოს გაერთიანება და ნუმისმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო IX: 247-270, 344-345.

ჯალალანია ირინე. 1971. საქართველოს სამონეტო განძები. I. თბილისი: მეცნიერება.

ჯაფარიძე გოჩა. 2012. „აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები და ბაგრატ III-ის ვერცხლის მონეტის ხელახალი ატრიბუცია“. საისტორიო კრებული, 2: 197-219.

Кулешов Вячеслав. 2013. “О грузинских подражаниях ‘Аббāсидам и о так называемой “монете Баграта III” из собрания Эрмитажа”. Византия в контексте мировой культуры. Труды ГЭ, LXIX: 370-382.

Пагава Иракли, Спандерашвили Роланд. Ү·IV. “Монетный сплав редчайших грузинских монет XI в.” Девятнадцатая всероссийская нумизматическая конференция. Великий Новгород. ҮҮ-IV апреля Ү·IV года. Тезисы докладов и сообщений. Москва.

Пахомов Евгений. 1970. Монеты Грузии. Тбилиси: Мецниереба.

Шамба Сергей. 1977. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э. – XIII в. н. э.). Тбилиси: Мецниереба.

THE MEDIEVAL GEORGIAN COIN WITH THE INSCRIPTION GLORIFYING KING BAGRAT

The goal of the this paper is to express our opinion regarding a remarkable Georgian imitation of the Arabic dirhams with the legend glorifying Bagrat “King of the Abkhazs”. This coin type was traditionally attributed to Bagrat III Bagratid (Pakhomov 1970, 55-57). Recently, Gocha Japaridze attributed this coin type to Bagrat I Leonid (Japaridze 2012); Vyacheslav Kuleshov agreed with G. Japaridze (although there are many debatable issues in his work) (Kuleshov 2013).

Both the above-mentioned scholars note (following the description of the coin) that Bagrat’s coin belongs to the group of Georgian imitations of Arabic dirhams; the conjectured time of emission of these dirhams is used for dating the Georgian coin in question (and, correspondingly, for identifying the identity of Bagrat). The imitations are dated based on their prototypes – “the emission date of prototypes, as well as other characteristic features, define the date of emission of imitations“. The arguments (mostly by G. Japaridze) are as follows:

1) The prototypes of Georgian imitations are ‘Abbasid dirhams, including the dirhams issued in H. 156 (772/3) and 157 (773/4), considering the dates imitated on coins from Tsebelda hoard; also dirhams issued in H. 145 (762/3) - 155 (771/2) (on one of the imitations, we can read the following: Al-Mahdi, the son of the Emir of the True Believers – this person was mentioned in the above-noted manner in the given period). None of the prototypes of the imitations bear later dates. All prototypes were issued prior to the reform implemented during the reign

on Caliph Al-Mamun. Upon Al-Mamun's order, all coin types were standardized, and the design of dirhams was changed – a second circular legend appeared on the obverse, consisting of the text of the Quran (parts of the third and fourth Ayahs of Verse XXX). The reform was implemented in H. 198 (813/4) – 217 (832/3). On the obverse of all Georgian imitations (even those with unidentified “date of emission”), there is only one circular inscription. The paleography of Arabic inscriptions of “dated” imitations also corresponds to the dirhams issued prior to the reform. Thus, the dirhams issued prior to the reform are the prototypes of the Georgian imitations. These dirhams were issued “not later than the 20s of the 9th century”;

2) Tsebelda hoard, almost exclusively consisting of Georgian imitations (there is only one unimitated coin in the hoard, namely, Al-Mahdi's dirham dated H. 163 (779/80)), was accumulated in the later period. Tsebelda hoard was deposited not later than the ninth century. It turns out that scholars date the emission of imitations by the period up to the end of the 9th century: “The emission of the imitations on the cusp of the IX-X centuries is close to reality”. However, it is “unacceptable” to date the emission of imitations by the time on the cusp of the X-XI centuries, because “in this period, it was more convenient for the issuers of coins to abstain from using the early ‘Abbasid dirhams and, instead, use later prototypes like the dirhams issued in Tbilisi”. Yet, the later dirhams failed to perform the role of prototypes, and “the sole reason was that according to the peculiarities of the Arabic prototypes and, correspondingly, their imitations, the emission of some imitations took place much earlier, namely, prior to the 20s of the IX century.” According to G. Japaridze, “in the IX century, the imitations of imitations were also issued.”

3) Based on the place of discovery of Tsebelda hoard, G. Japaridze assumes that “the imitations were issued ... in the Abkhaz Kingdom”; V. Kuleshov also considers the Abkhaz Kingdom as the issuer state;

4) King Bagrat's coins represent a later stage of evolution of the above-mentioned imitations of the Arabic dirhams – “the prototypes of Bagrat's coin were the above-mentioned

Arabic imitations as well as imitations of these imitations that were issued and circulated in the ninth century.“;

5) The standard of Bagrat's coin does not correspond to the silver crisis period: the standard of the Georgian imitations of the Arabic dirhams, apart from two exceptions, is above 90%, up to 98%. The analysis of the imitations proves that “they were not issued during the silver crisis period, on the cusp of the X-XI centuries“; the standard of Bagrat's coin is 97.18%: G. Japaridze excludes “two centuries' gap between the dates of issuance of Bagrat's coin and the imitations“;

6) “The weight of Bagrat's coin (1.78 g) falls within the weight indices of the Georgian imitations of Arabic coins.“; whereas „the weight indices of the imitations have nothing in common with the low-weight Georgian coins of the XI century“ (by “the low-weight Georgian coins of the XI century“, G. Japaridze definitely implies the coins of Byzantine style issued by Bagrat IV, Giorgi II and Davit IV;

7) Thus, according to G. Japaridze, “Bagrat, King of the Abkhaz“, who issued the coin in question, lived in the IX century. This was Bagrat I, the monarch of the Western Georgian State („Abkhaz Kingdom“) (according to different authors, the years of his reign were: 887-906, 861-873, 887-899, 881-893, or the 80s, the final year being 893).

To what extent is the above-mentioned argumentation reliable? In my opinion, it has certain shortcomings. I consider that Bagrat's coin cannot be dated to IX century and be issued by Bagrat I.

I do not share the opinion that the standard of Bagrat's coin (Ag 97.18%) does not correspond to the silver crisis period (which developed with different intensity in different regions of the Caucasus) i.e. the 11th century. An alloy of one coin issued by Bagrat IV (with the title of Sevastos) (on the surface) was Ag 89.4-94.3% (average Ag 91.9%, which is higher than the standard of some imitations) (Paghava, Spanderashvili 2017, 62-63). In fact, the difference does not exceed 5.3% i.e. is not essential.

I cannot share the opinion that the weight of Bagrat's coin (1.78 g) does not correspond to the weight indices of Georgian

coins of Byzantine style issued in the 11th century. The earliest of these coins were issued by Bagrat IV with the title of *Novelisimos*. In Likhni hoard, there are 9 coins of this kind, weighing (in grams): 1.80, 1.47 (a fragment), 1.96, 1.87, 1.85, 1.87, 1.95, 1.80, 2.20 (Shamba 1987, 108-109). Kapanadze mentions yet another specimen of 1.56 g (Kapanadze 1969, 62). The weight of Bagrat's coin fully corresponds to the weight standard of the coins issued earlier in the XI century by Bagrat IV.

It is clear that Bagrat's coin is the result of evolution of the Georgian imitations of the Arabic dirhams issued in the Western Georgian State. It is also certain that the prototypes of these Georgian imitations were the dirhams issued prior to the reform (prior to the period - H. 198 (813/4) – 217 (832/3)). However, the imitations are not necessarily issued (more or less) parallel to the issuance of the prototypes. We should take into consideration not the period of emission of the prototypes but the period of their circulation. Imitations could be issued in order to fill the monetary market devoid of the prototypes, or the market where they still actively circulated, even long after the emission (supporting the version of Bagrat I being the issuer of the coin in question, G. Japaridze argued that Bagrat's coin was issued 60-80 years after the emission of the prototypes was ceased. Yet, he considered that the imitations were issued prior to the reform). I will bring a specific example from the numismatic history of the same region. In the Trebizond Empire, silver aspers with the unmounted figures of St. Eugene and the emperor were issued until 1297. On the coins issued later, the two were already mounted on horses. In Western Georgia, at least until the end of the XIV century, Georgian imitations called Kirmaneuli were issued with unmounted figures (cf. Pataridze 2020, 95-98).

Neither G. Japaridze nor V. Kuleshov take into account the peculiarities of monetary circulation in Georgia in the IX-X centuries. Based on the latest coin, the *tpq* of two hoard, the one "without a passport" and that from Pichkhovani (Jalaghania 1976, 133-146, 155-184) was H. 236 (850/1) and H. 237 (851/2). Thus, the dirhams issued prior to the 'Abbasid reform (and even earlier silver coins!) remained in circulation long after

the reform. Moreover, these coins formed a major portion of the monetary silver circulating in Georgia in the middle of the IX century (in the treasure “without a passport”, the share of post-reform coins was only 9.6%; that of pre-reform ‘Abbasid coins was - 61.5%; that of even earlier Umayyad coins was 28.8%. In Pichkhovani hoard, the share of post-reform coins was only 7.6%; that of pre-reform Abbasid coins was 75.4%, that of Spanish Umayyad coins was 0.8% and the share of Idrisid coins equaled 1.7%; the share of the earlier silver of Umayyad and Sassanid type was 14.4%). Since the dirhams issued prior to the ‘Abbasid reform (prototypes of imitations) were in circulation in Georgia in the second half of the 9th century, and, most probably, in the 10th century as well, it is wrong: 1) to date the hoarding of the Tsebelda complex of the imitations to the 9th century, based on the sole pre-reform coin issued in H. 163 (779/80) from this hoard; 2) to exclude the emission of imitations in the 10th century.

It is quite acceptable to consider the coins issued before 832 as the prototypes of imitations issued in the 10th century (and even in the beginning of the 11th century!), because 1) the pre-reform coins were in circulation as late as the second half of the IX century, and 2) the “later prototypes like the dirhams issued in Tbilisi”, mentioned by G. Japaridze, only rarely circulated in Georgia: the tenth century dirhams issued in Tbilisi played a limited role in the local monetary circulation. Fragmented silver was more popular (the treasures of Dlivı and Botanical Garden) (Jalaghania 1976, 16-17) (the Georgian imitations of Arabian dirhams may have been issued in order to fill the deficit of integral (not fragmented) dirhams).

In general, taking into consideration the evolution of monetary types, it seems strange to argue that Bagrat’s coin was issued by Bagrat I. Typologically, the silver coins with the Byzantine title issued by Bagrat IV constitute a fruit of two traditions: Byzantine - with the image of Virgin Mary of Vlacherna (introduced by Konstantine IX, 1050?), and Arabic-Georgian, represented by Bagrat’s coin (a result of evolution of the Georgian imitation of Arabic dirhams). The above-mentioned is proved by the design of the coins: a circular legend with a text

identical to that of Bagrat's coin: „Christ, Glorify Bagrat, King of Abkhazs“, the continuation of the text in several lines at the centre, not in corrupted Arabic but in Georgian Asomtavruli letters (Paghava 2016, 253-254). I agree that Bagrat's coin is a later stage of evolution of Georgian imitations of Arabic dirhams, but the coin issued by Bagrat IV is itself a result of evolution of Bagrat's coin. The question is: what kind of coins were issued in the period between Bagrat's coin, supposedly issued in 880-890, and the coin issued by Bagrat IV in 1050? How did it happen that this period of a century and a half left no numismatic trace, intermediate/transition stage? Why did the heirs of Bagrat I fail to issue coins in their name, to say nothing of the increase in the share of Georgian legends? Can it be realistic that, after a pause of a century and a half, the same legend with identical paleographic marks appeared in the same place on the coins issued by Bagrat IV?

The Georgian Asomtavruli inscription on Bagrat's coin is characterized by peculiar paleographic features, namely, aspiration to decoration, which was a widespread trend in the X-XI centuries. The graphemes have round enlargements at the extreme points, although weakly expressed (Silogava 1972, 83-89); on the other hand, we can see a specific shape of the letters g and , with additional horizontal lines at the upper end (Silogava 1972, 57). Such shapes pertain to “the final stage of developing lapidary writing in that period and enable us identify the lower chronological limit of the inscription by the tenth century“ (ibid). The most ancient dated monument written with round enlargements is the 1006 inscription of Gurgen King of Kings (on the tympanum of the Southern entrance of the Minor Church in Ishkhani) (idem, 83); on the inscription of Bagrat IV, dated 1032 and located on the Southern wall of the Major Church of Ishkhani , “the rounding of the extreme parts is more vivid“ (idem, 84). In the inscription dated 1006 “the rounding of the extreme parts is not as vivid as in the inscription of 1032 and, generally, those of the middle of the XI century“ (ibid). Thus, according to Valeri Silogava, the lower chronological limit for this phenomenon is the beginning of the XI century (idem, 85). This argumentation is based on the results

of paleographic research of lapidary inscriptions. However, we can assume that the inscriptions on coins would have had the same features in that very epoch, or, paleographic novelties would be reflected on the coin inscriptions later (we continue the research of Georgian numismatic paleography). Thus, the paleographic marks of the Asomtavruli legend on Bagrat's coin prove that this coin type must be dated to the XI century, or, at least, the end of the X century (and not to the 1-1.5 century earlier period).

In the footnotes, G. Japaridze notes (Japaridze 2012, 215, footnote 61) that mentioning of the title "King of Abkhazs" on the coin of Bagrat I contradicts Lia Akhaladze's observation, according to which, the kings of Western Georgian State had the simple title „King“, whereas the title „King of Abkhazs“ appeared only from the period of Bagrat III. In my opinion, we should share Lia Akhaladze's viewpoint (Akhaladze 2004) and argue that the mention of "King of Abkhazs" on the coin excludes the possibility of issuance of this coin by Bagrat I and proves that the coin pertains to either Bagrat III or Bagrat IV.

Thus, we exclude the possibility of the coin being issued by Bagrat I. Bagrat's coin was issued either by Bagrat III (Giorgi I did not issue coinage in his name, or his coins have not survived?), or, more probably, Bagrat IV, who placed his name on the circular legend of the (Western) Georgian imitations of Arabic dirhams and, later, under the influence of Byzantine 2/3 miliaresion coinage, altered the monetary type (the side beginning with the Islamic religious formula was replaced by the image of the Virgin Mary of Vlacherna; the Asomtavruli legend on the other side was expanded at the expense of Arabic and, in this way, the centre of the coin became Georgian as well).

References:

- Akhaladze Lia. 2004. „Georgian and Armenian Sources regarding the Title “King of Abkhazs”“. Papers in History, v. VII: 26-33. (In Georgian).
- Jalaghania Irine. 1976. Georgian Monetary Hoards. I. Tbilisi. “Metsniereba”. (In Georgian).
- Japaridze Gocha. 2012. „Georgian Imitations of Abbasid Dirhams and New Attribution of the Silver Coin Issued by Bagrat III“. Collection of Papers in History, 2: 197-219. (In Georgian).
- Kapanadze Davit. 1969. Georgian Numismatics. Tbilisi: Tbilisi University Publishing House. (In Georgian).
- Kuleshov Vyacheslav. 2013. “The Georgian Imitations of Abbasid Coins and the So-called “Bagrat III Coin” from the Hermitage Collection. Byzantium in the Context of World Culture. Collection of Papers, ГЭ, LXIX: 370-382. (In Russian)
- Paghava Irakli. 2016. „Unification of Georgia and the Vectors of the Numismatic Evolution (End of the X century – Beginning of the XII Century““. The Middle East and Georgia, IX: 247-270, 344-345. (In Georgian).
- Paghava Irakli, Spanderashvili Roland. 2017. “The Alloy of Rare Georgian Coins of the XI Century”. The 19th All-Russian Numismatic Conference. Velikiy Novgorod. April 18-22, 2017. Abstracts of Papers. Moscow. (In Russian)
- Pakhomov Yevgeny. 1970. Georgian Coins. Tbilisi. Metsniereba. (In Russian)
- Pataridze Maia. 2020. The Numismatic Treasury of Svaneti. Tbilisi. (In Georgian).
- Shamba Sergey. 1987. Monetary Circulation on the Territory of Abkhazia (V Century BC – XIII Century AD). Tbilisi. Metsniereba. (In Russian).
- Silogava Valeri. 1972. Western Georgian Lapidary Inscriptions of the X-XVIII centuries as a Historical Source. Dissertation Thesis. Tbilisi. (In Georgian).

ელენე გიუნაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ძველი არამეული ეპიგრაფიკა: შენახვის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები

ეძღვნება აკადემიკოს გიორგი წერეთლის (1904-1973) და
აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის (1921-2004) ნათელ
ხსოვნას

1. საქართველოს ძველი არამეული წარწერები: ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორიაზე, უმთავრესად მის აღმოსავლეთ ნაწილში – ქართლში, ხანგრძლივი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არამეული (არამეოგრაფიული) წარწერები. მათი დიდი ნაწილი მოპოვებულია მცხეთასა და მის შემოგარენში – არმაზში, ბაგინეთსა და სამთავროში. არამეული (არამეოგრაფიული) წარწერები ასევე ნაპოვნია ცენტრალური და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებში, როგორებიცაა უფლისციხე, ურბნისი, დედოფლის გორა (მინდორი), ზღუდერი, ბორი, ძალისა, ვანი.

არამეული ეპიგრაფიკის თვითმყოფადი ძეგლები შესრულებულია სხვადასხვა ნივთებზე: ქვის სტელებზე, ქვებზე, თასებზე, ფირფიტებზე, ქვევრებზე, ჭურჭელზე, სამკაულებზე და სხვ.

საქართველოს არამეოგრაფიკული წარწერები ენობრივი თვალსაზრისით არაჰომოგენურია და, შესაბამისად, ნივთები, რომლებზეც ეს წარწერებია, წარმომავლობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია: მათგან

ერთი ნაწილი შემოტანილია უცხოეთიდან (უმთავრესად ირანიდან), ხოლო დანარჩენი განიხილება როგორც მკვიდრი.

არამეული გრაფიკით შესრულებული ირანულენოვანი წარწერები დასტურდება ნუმისმატიკის, ტორევიტიკის და გლიპტიკის სხვადასხვა ნიმუშებზე, რომლებიც ძირითადად სასანელთა (ახ. წ. III-VII სს.) ხანას განეკუთვნება (მხოლოდ ერთი პართული წარწერა დასტურდება სამთავროში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე, წარწერა დათარიღებულია ახ. წ. I ს-თი).

მკვიდრი არამეული (არამეოგრაფიკული) წარწერების საერთო ოდენობა 100-მდე ნიმუშს შეადგენს და მოიცავს ძვ. წ-მდე III-II სს. – ახ. წ. III საუკუნეებს.

საქართველოს არამეული წარწერების უმრავლესობა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვადასხვა ფონდებში. ისინი სხვადასხვა ფორმის და შინაარსისაა. მათგან ყველაზე ვრცელია I-II საუკუნეების ქვის სტელებზე ამოკვეთილი წარწერები – არმაზში აღმოჩენილი გამარჯვების სტელა და ეპიტაფია; ასევე მიძღვნილი წარწერები, რომლებიც ოქროს სამაჯურებზეა და ასევე ნაპოვნია არმაზში, იბერიის პიტიახშთა ნეკროპოლისებში. დანარჩენი წარწერები მოკლეა: ერთ ან რამდენიმე სიტყვას შეიცავს, რომლებიც ან ნივთის მფლობელის სახელის, ან ტიტულის აღმნიშვნელია, ან გამოხატავს ნივთის ატრიბუტს (მის წონას, ზომას, დანიშნულებას და სხვ.).

საქართველოს მკვიდრი არამეული (არამეოგრაფიკული) წარწერების ნაწილი დღემდე გამოუცემელია.

2. საქართველოს არამეული ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლის ძირითადი ეტაპები

საქართველოს არამეოგრაფიკული წარწერების კვლევის ტრადიცია, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, უკავშირდება გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, ქართული სემიტოლოგიის სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გ. წერეთლის სახელს.

“სემიტოლოგიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება გ. წერეთლის მიერ წამოწყებული სამუშაო არ-108

მაზში აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვისა და კვლევის საქმეში, ამ დარგს მან მიუძღვნა ბრწყინვალე გამოკვლევა “არმაზის ბილინგვა” (1941) და “არმაზული წარწერა მითრიდატე იბერიელის ხანის“ (1962) ” (თ. გამყრელიძე).

1940 წელს მცხეთა-არმაზისხევის წარწერათა პალეოგრაფიული კვლევის შედეგად, გ. წერეთელმა დაადგინა ძველი არამეული დამწერლობის სახეობა, რომელსაც პირობითად უწოდა “არმაზული”.

გ. წერეთელმა გამოყო არმაზული დამწერლობის რიგი ლინგვისტური და პალეოგრაფიული თავისებურებები, რომლებიც ერთი მხრივ, არამეულ-ირანულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირით იყო განპირობებული, ხოლო მეორე მხრივ, ელინისტურ კულტურასთან.

ბილინგვის ენა ხასიათდება, როგორც ეს გ. წერეთელმა აღნიშნა თავდაპირველად, მთელი რიგი გრამატიკული თავისებურებებითა და დარღვევებით (არ გამოიყენება განსაზღვრული არტიკლი, აღრეულია სქესის კატეგორია, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება, ფიგურირებს არქაული ნაცვალსახელი zy), რომლებიც ტექსტის შექმნის და არამეულად წერის ადგილობრივ ტრადიციაზე მიუთითებს.

არმაზული დამწერლობა, როგორც ეს შემდეგ აღნიშნა გ. წერეთელმა, წარმოშობილია “არამეული დამწერლობის იმ სახეობიდან, რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ მესოპოტამიაში (ასური, ჰატრა, ჰასან-ქეფე, სარი) ელინისტურ ეპოქაში” (გ. წერეთელი, 1962, გვ. 376).

გ. წერეთლის ეს თვალსაზრისი ფართოდ აღიარეს უკვე მისმა თანამედროვე მკვლევრებმა. არმაზული დამწერლობის წარმომავლობის შესახებ იგივე მოსაზრება წარმოდგენილია ფრანც ალტჰაიმის, რუთ შტილისა და იოჰან ელსნერის ნაშრომებში.

არმაზული დამწერლობის დახასიათებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთში – გარნისა და სისიანში აღმოჩენილ არამეულ წარწერებს. აქედან პირველი, ქვაზე შესრულებული გარნის წარწერა, 1961 წელს აღმოჩნდა, ხოლო ვერცხლის თასზე შესრულებული სისიანის წარწერა – 1970 წელს. ორივე წარწერა

შეისწავლა და გამოსცა ანაჰიტ ფერიხანიანი. გარნის წარწერა, რომელიც ახ. წ. II საუკუნით თარიღდება (ხოლო სისიანის – ძვ.წ. I ს-ით), პალეოგრაფიულად მეტად ახლოს დგას არმაზულ წარწერებთან (განსაკუთრებით, მის თანადროულ ბილინგვასთან).

ანაჰიტ ფერიხანიანი თვლიდა, რომ არმაზის და სომხეთის წარწერები ერთი და იმავე ჩრდილო-მესოპოტამიურიდან მომდინარე არამეული დამწერლობით იყო შესრულებული, მაგრამ როგორც ეს გამოჩენილმა პალეოგრაფმა იოსებ ნავემ აჩვენა 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “ჩრდილო-მესოპოტამიური არამეული დამწერლობის ტიპი გვიან პართულ ხანაში”, არმაზის ბილინგვასა და მასთან ახლოს მდგომი გარნის დამწერლობა განსხვავებული ნაირსახეობებია ამ პერიოდის სხვა წარწერათა (ჰატრას, დურა-ევროპოსის, ჰასან-ქეფის და სხვ.) ევოლუციის საერთო ტიპოლოგიურ სქემაში. არმაზის სტელები (განსაკუთრებით, მონოლინგვა) პალეოგრაფიულად ყველაზე ახლოს ჰატრას წარწერებთან დგას.

შემდგომ ი. ნავეს შრომას მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა გ. წერეთლის მოწაფე, აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი თავის ნაშრომში “არმაზული დამწერლობა (1991).

ამრიგად, გ. წერეთლის თვალსაზრისი ამ დამწერლობის წარმომავლობის შესახებ სავსებით მართებული იყო.

80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების დასაწყისი ძველი არამეული ეპიგრაფიკის ინტენსიური კვლევის პერიოდი გახდა საქართველოში.

აკადემიკოს გ. წერეთლის შემდეგ არმაზული დამწერლობის და საქართველოს არამეული ეპიგრაფიკის კვლევის ტრადიცია განაგრძო მისმა მოწაფემ, აკადემიკოსმა კ. წერეთელმა. საქართველოში გამოვლენილი ახალი არამეული წარწერების (უფლისციხის, დედოფლის გორის) შესწავლას მან მიუძღვნა შრომები, რომლებშიც მნიშვნელოვანი თეორიული დასკვნებია წარმოდგენილი (2001).

მდიდარი ფაქტობრივი მასალის განხილვის საფუძველზე კ. წერეთელმა წარმოაჩინა ქრისტიანობა-

მდელ საქართველოსა და სომხეთში არმაზული ტიპის დამწერლობის განვითარების საერთო სქემა.

ასევე მეტად ღირებულია კ. წერეთლის არმაზული ბილინგვისადმი მიძღვნილი ნაშრომი (1992), რომელშიც წარმოდგენილია წარწერის ენის შესახებ ახალი დებულებები.

1991 წელს აკადემიკოსმა გ. გიორგაძემ გამოსცა შრომა “ტოპონიმები არმაზის ერთენოვან არამეოგრაფიულ წარწერაში”, ხოლო 1995 წელს – “არმაზის მონოლინგვის რამდენიმე ადგილის ინტერპრეტაცია”.

1991 წელსვე გამოვიდა ი. გაგოშიძისა და მ. ნონელიას შრომა “არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან”, ასევე მ. ქელიძის “ეპიგრაფიკული შენიშვნები”, რომელშიც განხილულია ზღუდერში აღმოჩენილი არამეულწარწერიანი ვერცხლის ნივთები და ამ წარწერების ლინგვისტურ-პალეოგრაფიული ანალიზი.

3. არამეული ეპიგრაფიკის კვლევის თანამედროვე საკითხები

დღეისათვის არსებული საქართველოს არამეული ეპიგრაფიკული ნიმუშების კორპუსი მოითხოვს კომპლექსურ, ინტერდისციპლინარულ შესწავლას “არმაზულის”, როგორც არამეული დამწერლობის ორიგინალური ნაირსახეობისა და “ქართველი ხალხის კულტურული მოღვაწეობის პროდუქტების” (გ. წერეთელი) ფართო წარმოჩენისთვის ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ კავკასიის კულტურულ-ლინგვისტური ინტერფერენციის შუქზე.

Elene Giunashvili

G. Tsereteli Institute of Oriental Studies,
Ilia State University

**THE OLD ARAMAIC EPIGRAPHIC MONUMENTS IN
GEORGIA:
THE HISTORY OF STUDY AND THE ISSUES OF
CONTEMPORARY RESEARCH**

Dedicated to the memory of Academician
Giorgi Tsereteli (1904-1973)
And Academician Konstan-
tine Tsereteli (1921-2004)

1. Old Aramaic Inscriptions of Georgia: General Survey

As a result of longstanding archeological excavations, numerous and diverse Aramaic (Arameographic) inscriptions have been found on the Georgian territory, mostly in its Eastern part - Kartli. Their majority have been found in Mtskheta and its adjacent territories – Armazi, Bagineti and Samtavro. Aramaic (Arameographic) inscriptions have also been found in diverse places of central and Western Georgia, for instance, Uplistsikhe, Urnisi, Dedoplist Gora (Mindori), Zghuderi, Bori, Dzalisa and Vani.

The unique Aramaic epigraphic monuments are made on diverse objects: stone stelae, stones, cups, tablets, wine-pots, different vessels, jewellery and so on.

The Arameographic inscriptions of Georgia are linguistically diverse. Hence, the objects on which they are written are of different origin: some have been brought from abroad (mostly Iran), while others are viewed as native.

The Iranian inscriptions made in Aramaic graphic are found on numismatic, toreutic and glyptic objects mostly pertaining

to the Sassanid period (III- VII centuries AD). Only one Parthian inscription is found on a silver tray discovered in Samtavro, dated by the first century AD.

The total amount of native Aramaic (Arameographic) inscriptions is about 100, pertaining to the period between III-II centuries BC – III century AD.

The majority of Georgia's Aramaic inscriptions are preserved in diverse funds of the National Museum of Georgia. They vary in form and content. The largest ones are the I-II century Victory Stela and Epitaph, carved on stone stelas and discovered in Armazi. Other texts include dedications made on gold bracelets, also found in Armazi, in the necropolis of the Pitiakhshi of Iberia. Other inscriptions are brief, consisting of one or several words, denoting the owner of the object or his/her title or some attribute of the object (weight, size, function etc.).

Some of Georgia's native Aramaic (Arameographic) inscriptions are still unpublished.

2. Key stages of Scientific Study of Georgia's Aramaic Epigraphic Monuments

It is widely known that the tradition of research of Georgia's Arameographic inscriptions is related to the outstanding orientalist, the founder of the school of Georgian semitology, Academician G. Tsereteli.

"The most important event in semitology was the research initiated by G. Tsereteli regarding the deciphering and analysis of the inscriptions found in Armazi. G. Tsereteli's brilliant works in this field include "Armazi Bilingua" (1941) and "Armazi Inscription of the Period of Mithridates of Iberia" (1962)" (T. Gamkrelidze).

In 1940, as a result of paleographic research of Mtskheta-Armaziskhevi inscriptions, G. Tsereteli identified a type of old Aramaic writing, arbitrarily termed "Armazian".

G. Tsereteli distinguished certain linguistic and paleographic features of Armazian writing. On the one hand, these features were due to close links with the Aramaic-Iranian culture. On the other hand, these features were conditioned by close links

with the Hellenistic culture.

The language of the Bilingua embraces a number of grammatical peculiarities (there is no definite article, the category of gender is mixed, there is no concord between the attribute and the corresponding noun, there is an archaic pronoun *zy*). All this points to the local tradition of text-formation and Aramaic writing.

Armazian script, as it was later noted by G. Tsereteli, differs from “the type of Aramaic writing which was widespread in the North-Eastern Mesopotamia (Assyria, Hatra, Hasankeyf, Sar) in the Hellenist epoch” (G. Tsereteli, 1962: 376).

This viewpoint of G. Tsereteli was widely recognized by his contemporary scholars. The same opinion regarding the origin of Armazian writing was expressed by Franz Altheim, Ruth Still and Johan Elsner.

The Aramaic inscriptions discovered in Garni and Sisian, Armenia, have played an important role in the analysis of Armazian writing. The inscription on a stone was discovered in Garni in 1961. The inscription on a silver cup was found in Sisian in 1970. Both these inscriptions were analyzed and published by Anahit Ferikhanyan. Garni inscription, dated by II century AD (whereas Sisian inscription is dated by the first century BC), is paleographically closer to the inscriptions of Armazi (especially to its contemporary Bilingua).

According to Anahit Ferikhanyan, both Armazian and Armenian inscriptions are performed in the same Aramaic script descended from Northern Mesopotamia.

However, as a famous paleographer Joseph Nave noted in his work published in 1972 under the title “The Type of Northern Mesopotamian Aramaic Script in the Late Parthian Epoch”, Armazi Bilingua and Garni script belong to different types within the entire typological scheme of evolution of scripts of this period (Hatra, Dura-Europos, Hasankeyf, and so on). Armazi stelas (especially the Monolingua) are paleographically closer to Hatra inscriptions.

G. Tsereteli’s pupil, Academician Konstantine Tsereteli, agreed with J. Nave’s opinion in his work “Armazian Script” (1991).

Thus, G. Tsereteli's opinion regarding the origin of the script in question was absolutely correct.

The end of the 80s and beginning of the 90s of the past century was a period of active research of Aramaic epigraphic monuments in Georgia.

The tradition of research of Armazian inscriptions of Georgia was continued by Giorgi Tsereteli's pupil – Academician Konstantine Tsereteli. He dedicated his works to the study of new Aramaic inscriptions discovered in Georgia (those of Uplistsikhe and Dedoplis Gora). These works embrace important theoretical conclusions (2001).

Based on the analysis of the rich empirical material, K. Tsereteli revealed a common scheme of development of Armazian script in the Pre-Christian Georgia and Armenia.

Another valuable work by K. Tsereteli is a research dedicated to Armazi Bilingua (1992), which presents new ideas regarding the language of the inscription.

In 1991, Academician G. Giorgadze published a research: "Toponyms in the Monolingual Arameographic Inscription of Armazi", and in 1995 he published a research "Interpretation of Some Parts of Armazi Monolingua".

In 1991, I. Gagoshidze and M. Tsotselia published a research "Aramaic Inscriptions on the Tablets Discovered in Dedoplis Gora". In the same year, M. Chelidze published "Epigraphic Notes", analyzing the silver objects found in Zghuderi and the linguistic-paleographic peculiarities of their inscriptions.

3. Contemporary Research of the Aramaic Epigraphic Monuments

The current corpus of Georgia's Aramaic epigraphic works requires a complex, interdisciplinary research for the promotion of "Armazian" as an original type of Aramaic script and "the product of cultural heritage of the Georgian people" (G. Tsereteli) in the light of cultural-linguistic interference of the Orient and South Caucasus.

თეა გოგოლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

GESTA FRANCORUM-ის დათარიღების საკითხისათვის

ჯვაროსნული ლაშქრობები შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთულად შესასწავლი საკითხია. მეცნიერები დღემდე მსჯელობენ და აგრძელებენ კვლევას ამ საკითხის ირგვლივ. თემატიკის შესახებ მდიდარი საისტორიო მასალა არსებობს. ისტრიოკსები გამოყოფენ ლათინი, ბიზანტიელი და არაბი მემატიანეების პირველწყაროებს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია XI საუკუნის ანონიმ ავტორს, რომლის კალამსაც მიაკუთვნებენ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ წყაროს Gesta Francorum et aliorum Hierosolimitanorum-ს იგივე Gesta Francorum-ს. წყაროს სათაური ქართულად შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც ფრანკებისა და სხვათა საქმენი იერუსალიმში, ან მოკლედ ფრანკთა საქმენი.

მოცემულ ნაშრომში ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი არის გესტას დათარიღების საკითხი. საკითხის დამუშავებისას გამოვიყენეთ ფრანკთა საქმეების ორიგინალი ტექსტი, რომელიც ლათინურ ენაზე არის შემქნლი. წყაროს მეშვეობით შევეცდებით გავცეთ პასუხები ისეთ კითხვებს როგორებიცაა: იყო თუ არა ავტორი მის მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვე? როდის დაიწერა ქრონიკა? გვაძლევს თუ არა წყარო იმის საშუალებას, რომ მისი დაწერის ქრონოლოგიური ჩარჩო შევქმნათ? რაზე დაყრდნობით შეიძლება კონკრეტული თარიღი დავასახელოთ?

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი, მოცემული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის არ არის შესწავლილი, ჩვენ არ

მოგვეპოვება მეცნიერული სტატიები და მონოგრაფიები არც გესტას და არც მისი ავტორის შესახებ. ასევე, საკთხი მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყანაში ჯვაროსანთა ისტორიის კვლევების განვითარებისათვის.

წყაროს კომპლექსურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ანონიმი ავტორი უშუალო თვითმხილველი და მონაწილე იყო იმ მოღვენების. ის პირველ პირშიც გადმოგვცემს ლაშქრობის ისტორიას. წყაროში ხშირად ვხვდებით მონაკვეთს სადაც, ის ბრძოლებში თუ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობაზე საუბრობს. მაგალითისთვის, ავტორი მონაწილეობას იღებს სამხედრო თათბირებში. მართალია, გადაწყვეტილებებს ჯვაროსანთა მეთაურები იღებენ.

ქრონიკის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა ძალიან ძნელია, რადგან თვითონ წყაროში არ ვხვდებით ამგვარ ინფორმაციას. ჩვენ მხოლოდ სავარაუდო თარიღების დასახელება შეგვიძლია. აქვე, გაურკვეველია ერთიანად წერდა ავტორი ისტორიას, თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩაიწერა მის თვალწინ მომხდარი ამბები.

გესტას დაწერის ქვედა თარიღად უნდა მივიღოთ 1089 წელი, ჯვაროსნების მიერ ანტიოქიის აღების წელი, ვინაიდან და რადგანაც გესტას, მეცხრე წიგნში მოთხრობილია (წყარო სულ ათი წიგნისან შედგება) ანტიოქიის აღყის (1097-1098) და შემდეგ ქალაქის აღების შესახებ. აქედან გამომდინარე ნაშრომს 1098 წლამდე ვერანაირად ვერ დაასრულებდა ავტორი.

ზედა ზღვართან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერების აზრი გაიყო ამასთან დაკავშირებით.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქრონიკის შექმნა შესაძლოა 1101 წელს დასრულებულიყო. საქმე იმაშია, რომ კიდევ ერთი მემატიანე, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ წერს ეკეჰარდი აურის აბატი (1085-1125) თავის წყაროში ამბობს, რომ მას ნანახი აქვს პატარა წიგნი, რომელშიც მოყოლილი არის პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის და იერუსალიმის აღების ისტორია. არის ვარაუდი, რომ ეს „პატარა წიგნი“ გესტა ფრანკორუმია. და თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ,

მაშინ 1101 წელი იქნება ზედა ზღავრი ნაშრომის შექმნის. რადგან ამ წლით ათარიღებენ ეკეპარდის ნაშრომს. ამ მოსაზრებას იზიარებდა ფრანგი მეცნიერი ლუი ბრეიერი (1865-1951). არგუმენტად კი ამ ორ ნაშრომს შორის მსგავსება მოჰყავდა.

სხვა ვერსიის მიხევით გესტას შექმნა უნდა დასრულებულიყო 1106 წელს. დაახლებით ამ წლით ათარიღებენ რობერტ რეიმსელის (1055-1122) ნაშრომს ჯვაროსნებზე. თავის წყაროში ის ამბობს, რომ მისი მონასტრის აბატმა დაავალა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორია გადაეწერა, რადგან „ამ (ერთ) ისტორიაში,“ რომელიც ჰქონდათ სააბატოში, ძალიან მოკლედ იყო აღწერილი კლერმონის კრების ამბავი. რობერტი ასევე აღნიშნავს „ამ ისტორიის“ წერის უხეშ და უბრალო სტილს. უნდა ვთქვათ, რომ გესტაში ძალიან მოკლედაა აღწერილი კლერმონის კრების ამბავი და წერის საკმაოდ უცნაური სტილი აქვს ანონიმ ავტორს. განსხვავებით შუა საუკუნეების სხვა წყაროებისაგან, გეტაში არ ვხვდებით რიტორიკას.

საინტერესოა, რომ მსგავსი დამოკიდებუება აქვს ბალდერიკს, ბურგუილის აბატს (150-1130) „რომელიღაცა“ ქრონიკის წერის სტილისადმი. 1108 წლით დათარიღებულ ნაშრომში ის ამბობს, რომ იძულებლი იყო გადაეწერა წყარო ჯვაროსნულ ლაშქრობაზე და ამასთანავე გამოეხსნორებინა ნაშრომის უხეში სტილი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბალდერიკის ნაშრომი და გესტა ძალიან ჰგავს ერთმანეთს შინაარსობრივად.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება, რომელიც ლორა და ჯონ ჰილეს ეკუთვნით. მათი აზრით შესაძლოა იყოს ერთი, სხვა საერთო წყარო, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია და რომელსაც ყველა: გესტას ავტორი, ეკეპარდი, რობერტ რეიმსელი და ბალდერიკი იყენებდნენ და ამიტომაც მათი ნაშრომები მსგავსი. და შესაძლოა ის „პატარა წიგნი,“ რომელსაც ეკეპარდი ახსენებდა, ან ის „ერთი წიგნი“, რომლის შესახებაც რობერტ რეიმსელი მოგვითხრობს საუთარ ნაშრომში ზუსტად ის წყაროა. თუმცა ამას ვერსოდეს ვერ გავარკვევთ.

ერთი კი რისი თქმაც შეგვიძლია დაბეჭდვით,

არის ის, რომ გესტა ფრანკორუმი შექმნილია XII საუკუნეში, იტალიელი რაინდის მიერ, რომელიც ლაშქრობაში უშუალოდ მონაწილეობდა. ამიტომ მისი წყარო ჩვენთვის ფასდაუდებელი და მნიშვნელოვანია.

Tea Gogolishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FOR THE ISSUE OF DATING GESTA FRANCORUM

The Crusades are one of the most interesting and difficult subjects to study in medieval history. Scientists are still debating and continuing research on this issue. There is a wealth of historical material on the subject. Historians distinguish the first sources of Latin, Byzantine, and Arab chroniclers. A special place among them is occupied by the anonymous author of the XI century, whose pen is attributed to Gesta Francorum et aliorum Hierosolimitanorum, one of the most distinguished sources of the First Crusade, the same Gesta Francorum. The title of the source can be translated into Georgian as the case of the Franks and others in Jerusalem, or briefly the case of the Franks.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

1991 წლის „აგვისტოს კუთრი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისადმი (ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების მიხედვით)

საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკური მოვლენების მიმართ დასავლური საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წყაროა ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალები. პუბლიკაციებში ვხდებით საინტერესო შეხედულებებსა და მოსაზრებებს საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხზე.

„ცივი ომის“ დასასრულს, როდესაც გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დაშლის რეალური პერსპექტივა, განსაკუთრებით მოიმატა დასავლური საზოგადოების ინტერესმა, საბჭოთა კავშირში, არსებული ვითარებით. ამ მხრივ გამორჩეულად აქტიურობდა ბრიტანული და ირლანდიური პრესა, რის დადასტურებასაც წარმოადგენს, ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიებში არსებული, მასალები. მრავალრიცხოვანი გამოცემა ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდა ინფორმაციას მკითხველს სსრ კავშირში არსებულ ვითარებაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებოდნენ მოსკოვის დიქტატს, კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო.

1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი მოვლენები ძალიან რთული დაკომპლექსურია, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ გადატრიალების მცდელობა მხოლოდ სამი დღე მიმდინარეობდა, მის შესახებ დღემდე გრძელდება დავა. ვინაიდან ე.წ. „აგვისტოს პუტჩის“ ირგვლივ არსებობს მრავალი სხვადასხვა შეხედულება, მათ

შორის მიხეილ გორბაჩოვის ჩართულობაზე აღნიშნულ პროცესში და ასევე საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობის პოზიციებზე, მოსკოვში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ქართული მხარის პოზიციების გაშუქებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, გამომდინარე იქიდან, რომ გადატრიალების მცდელობის ხელმძღვანელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის დაშლის შეჩერება და მისგან გამოყოფის მოსურნე რესპუბლიკების კვლავ საბჭოთა იმპერიაში დაბრუნება. ამისთვის არ გამოირიცხავდნენ ძალის გამოყენებასაც, თუკი რომელიმე რესპუბლიკა არ დაემორჩილებოდა მათ დიქტატს. მომდევნო პერიოდში, ხშირად, აზრთა სხვადასხვაობასა და პოლიტიკურ დაპირისპირებას იწვევდა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დამოკიდებულება მოსკოვში მიმდინარე პროცესებისადმი.

განსახილველი პუბლიკაციები პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში და ამდენად, მას გარკვეული წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობაც ენიჭება, საქართველოს უახლესი ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ გაშუქდა ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში საქართველოს რესპუბლიკის პოზიცია და როგორ აისახა საქართველოზე აღნიშნული პროცესი. დასავლური პრესა აქტიურად წერდა სსრ კავშირის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებზე, ამავე კონტექსტში, საინტერესო ცნობებს ვხდებით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. გამოცემები მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდნენ მკითხველს ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესზე, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულად მოქმედებდა ბრიტანული და ირლანდიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრისი ფორმირებაზე საქართველოს მიმართ. განვიხილავთ შემდეგ გამოცემებში არსებულ პუბლიკაციებს: „Aberdeen Evening Express“, „Aberdeen Press and Journal“, „The Courier and Advertiser“, „Irish Independent“, „Sunday Tribune“, და სხვ.

საქართველოს ხელისუფლების პოზიციებთან მი-

მართებით დღემდე გრძელდება კამათი, ჩვენს ნაშრომში ვეცდებით მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ცნობები გამოვკვეთოთ. პუბლიკაციების მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ კორესპონდენტთა ნაწილი, მოსკოვში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, იმყოფებოდა თბილისში და უშუალოდ წერდნენ ინტერვიუებს, როგორც საქართველოს ხელისუფლების მეთაურთან, ასევე მთავრობისა და უზენაესი საბჭოს წევრებთან.

ვაპირებთ მთავარი აქცენტი გავაკეთოთ იმაზე, თუ რომელ ასპექტებს გამოყოფდნენ განსაკუთრებით და როგორ იყო წარმოჩენილი მათი პოზიციები აღნიშნულ გამოცემებში. ასევე მოკლედ განვიხილავთ მოსკოვის „აგვისტოს პუტჩის“ მცდელობის შედეგების ასახვის საკითხს საქართველოს საშინაო პოლიტიკურ პროცესებზე, ვინაიდან ეროვნული გვარდიის სტატუსის ცვლილებამ გამოიწვია, გვარდიის სარდლის, თენგიზ კიტოვანის განდგომა ხელისუფლებისგან, რის შემდეგაც მან ეროვნული გვარდიის ნაწილთან ერთად გამოაცხადა დაუმორჩილებლობა და პრეზიდენტის ოპონენტთა მხარეს გადავიდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირების საქმეში.

ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების შეჯერებით თანამედროვეთა მოგონებებთან, ქართულ პრესასთან და ასევე საკითხზე არსებულ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურასთან, საინტერესოდ იკვეთება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულება ისეთი რთული და საკამათო საკითხის მიმართ, როგორც არის 1991 წლის 18-21 აგვისტოს მოვლენები მოსკოვში, ე.წ. „აგვისტოს პუტჩი“.

**1991 "AUGUST PUTSCH" IN MOSCOW AND THE
ATTITUDE OF THE GEORGIAN AUTHORITIES (BASED ON
THE MATERIALS OF THE BRITISH AND IRISH PRESS)**

The materials of the British and Irish press represent an important source for the research of the Western social and political opinions regarding Georgia's recent history and political events. The publications contain interesting opinions regarding the issues of internal and external policy of Georgia.

At the end of the "Cold War", when the prospects of disintegration of the Soviet Union became quite obvious, the interest of the West towards the situation in the USSR increased. In this respect, the British and Irish press was especially active. This can be proved by the abundant material found in printed media and on television. Numerous information channels gave broad coverage of the situation in the Soviet union on daily basis. Special attention was paid to the countries that actively opposed Moscow's dictate, in particular, the Baltic states and Georgia.

The events that took place in Moscow on August 18-21, 1991 are quite complex. Although the attempt of the coup lasted for only three days, the issue is still actively discussed. There are different opinions regarding the so-called "August Putsch", including the involvement of Mikhail Gorbachev and the positions of the authorities of the Soviet republics regarding the events taking place in Moscow.

The coverage of the position of the Georgian side was of special importance, because the aim of the organizers of the Putsch was to prevent the disintegration of the Soviet Union and return the republics aspiring for independence back to the Soviet Empire. The organizers even intended to use military force if some republic refused to obey their dictate. Even

in the later period, there was a diversity of opinions regarding the decisions taken by the Georgian authorities and their attitude to Moscow events.

The British and Irish editions under analysis are new to the Georgian scientific space. Hence, they play an important role as source study material referring to various issues of Georgia's recent history. The paper analyzes how British and Irish press covered the position of the Republic of Georgia and how this process influenced the country. The Western press actively covered the events taking place in the capital of the USSR. In the same context, we find interesting information regarding the position of the Georgian authorities. The editions provided important information regarding diverse processes in the country. This, in its turn, influenced the formation of the British and Irish public opinion with reference to Georgia. Within the research framework, I have analyzed the following editions: Aberdeen Evening Express, Aberdeen Press and Journal, The Courier and Advertiser, Irish Independent, Sunday Tribune etc.

The debates regarding the position of Georgian authorities are still under way. The given paper is an attempt to analyze information regarding the issue. Interestingly enough, some reporters were in Tbilisi at the time of the August Putsch. They recorded interviews with the Head of the Georgian State as well as members of the Parliament and the Supreme Council.

The paper focuses on the following issues: which aspects were especially significant and how were the positions of the Georgian authorities reflected in the above-mentioned editions. The paper also dwells on the influence of the August Putsch on Georgia's internal political processes. The change in the status of the National Guards led to the resignation of the Commander Tenghiz Kitovani. After this, Kitovani and a certain part of the National Guards declared disobedience and started to support the President's opponents. This group played an important role in the military confrontation against the legitimate authorities.

Comparison of the British and Irish press materials

with the memories of the witnesses, the Georgian press materials, Georgian and foreign scholarly literature on the given issue has yielded interesting material regarding the attitude of the Georgian authorities to 1991 August events in Moscow.

თეიმურაზ ქარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

საბჭოეთის კოლაფსის საისტორიო პარადიგმები რუსისტიკაში

1989 წელს საბჭოთა ბლოკის და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა კარდინალურად შეცვალა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და აზიის ზოგიერთი ქვეყნის ისტორიაში კი სათავე დაედო ე.წ. პოსტსაბჭოთა პერიოდს. კომუნიზმის კრახს და საბჭოთა კავშირის დაშლას მკვლევრებიდან ბევრი ისტორიის მიერ კომუნისტური ექსპერიმენტისთვის (კაპიტალისტურის ალტერნატიული სისტემის აგებისთვის) ტოტალიტარული სახელმწიფოს და მრავალფეროვანი იმპერიის არსებობისთვის გამოტანილ განაჩენად აღიქვამს. მეცნიერები საბჭოთა ისტორიას ჩაკეტილ და დასრულებულ პროცესად, საბჭოთა კავშირის განვითარებას კი შინაგანად მთლიან და თანმიმდევრულ ექსპერიმენტად განიხილავენ. საბჭოთა წარსულის ასეთი გააზრების შედეგად საბჭოთა ისტორიის და მის შესახებ სამეცნიერო

დისკუსიების „შედეგების შეჯამების“ ჟანრში დაწერილი წიგნების მთელი სერია გამოიცა [1]. მკვლევართა მეორე ნაწილი არ ეთანხმება დისკრეტული ისტორიული განვითარების თეზისს და მიუთითებს ისტორიის საბჭოთა პერიოდის შინაგან სირთულესა და წინააღმდეგობრიობაზე, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა დროში საბჭოთა სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პრაქტიკების არსებობაზე. ეს მხოლოდ პერიოდიზაციის ბანალურ საკითხზე აკადემიური კამათი როდია, მასში სარკისებურად აისახება ძირითადი ხედვები საბჭოთა კავშირის ფენომენზე. ამიტომ, ამ დისკუსიის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი პოსტსაბჭოთა ისტორიისადმი მიდგომების ჩამოყალიბებაში. და ბოლოს, ამ პოლემიკის ფრაგმენტებში ჩნდება კვლევითი დისტანციის, ცივი ომის თანამედროვე და მისი მონაწილე თაობის მიერ უახლოესი წარსულის ადეკვატური შეფასების შესაძლებლობა.

დასავლელი მკვლევრების მიერ საბჭოთა კავშირისადმი მიდგომების გამოყენების მრავალგვარობა სამ პარადიგმად იყოფა. ესენია: „ტოტალიტარული“, „მოდერნიზაციული“ და „ნიშპერიული“ პარადიგმები[2]. ეს საინტერპრეტაციო პარადიგმები 1991 წლამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა, მათ ფორმირებაზე გავლენა მოახდინა ცივი ომის წლებში დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე იდეოლოგიურმა დებატებმა, აგრეთვე, რუსისტიკის (სოვეტოლოგიის), როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების სოციალურ-პოლიტიკურმა კონტექსტმა [3].

ისტორიულად პირველი იყო „ტოტალიტარული“ პარადიგმა. ამ პარადიგმის ფარგლებში მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ საბჭოთა კავშირის ისტორიის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ასპექტებზე, რომლის აღწერის მთავარი ტერმინებია ერთპარტიული დიქტატურა, იდეოკრატია (კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობა), რეპრესიების და საზოგადოებრივი ინიციატივების ჩახშობის სისტემა. ამ პარადიგმას ახასიათებს „დიდი ტოტალიტარიზმის“ (სტალინის მმართველობის) პერიოდის მიმართ საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური გამოცდი-

ლების მრავალფეროვნების რედუქცია. ამგვარი რედუქციონიზმის კარგი მაგალითია 1994 წელს ნიუ-იორკში გამოცემული მარტინ მალის ნაშრომი „The Soviet Tragedy: A History of Socializm in Russia, 1917-1991“ [4]. ამ წიგნში საბჭოთა ისტორიის ძირითადი შინაარსი განისაზღვრება როგორც „ჩვენი ასწლეულის უდიდესი უტოპიური ავანტიურა“, „სრული და ინტეგრირებული სოციალიზმის“, „სრული არაკაპიტალიზმის“ აშენების მცდელობა; რიჩარდ პაიფსი, ამერიკული რუსისტიკის „ტოტალიტარული“ პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოთა ისტორიის ასახსნელად იზიარებს მალის მოსაზრებას იდეოლოგიის და რეპრესიული სახელმწიფოს მნიშვნელობაზე, იმავედროულად კი ხაზგასმით მიუთითებს საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული და ისტორიულად (თანამედროვე საისტორიო ჟარგონით - ცივილიზაციურად) წინასწარ განსაზღვრულ ხასიათზე [5]. პაიფსის თეზისის თანახმად, საბჭოთა ტოტალიტარიზმი ამოზრდილია რუსული თვითმპყრობელობის უნიკალურ-ნაციონალური ტრადიციიდან, ინტელიგენტური ორთოდოქსიის ნაციონალური ტრადიციიდან და, ამდენად, ის რუსეთის ისტორიის ხანგრძლივ პერსპექტივაშია განსახილველი. ამ შემთხვევაში კი მთავარია, სსრკ-ს „ძირეული ტრავმა“ – 1917 წლის პოლიტიკური გადატრიალება, რომელიც პოლიტიკურად აქტიურმა უმცირესობამ განახორციელა. პაიფსის ტრადიციონალისტურ ინტერპრეტაციას უპირისპირდება საბჭოთა ტოტალიტარიზმის მოდერნისტული გაგება. ეს უკანასკნელი უარს ამბობს რუსეთის პოლიტიკური კულტურის ესენციალიზაციაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც ნაცისტურ გერმანიას, ლიბერალიზმის, დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის ევროპული მოდელის დევიაციად განიხილავს [6].

„ტოტალიტარულ“ პარადიგმაში საბჭოთა კავშირის დაშლა მცდარ (ანტილიბერალურ) პრინციპებზე აგებული საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობის უცილობელი შედეგია. საბჭოთა რეჟიმის იდეოკრატიული ხასიათისა და უმცირესობის (ნომენკლატურის) უმრავლესობაზე დიქტატურის თეზისი მკვლევრებს საბჭოთა

კავშირის პრინციპულად არარეფორმირებადობისა და, ამდენად, ე.წ. გამალეული შეიარაღებისადმი, ინფორმაციული საზოგადოებისადმი მის არაადაპტირებულობაზე დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს. ამ თეზისის თანახმად შეუძლებელია საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ რეპრესიის სისტემაზე ხელის აღება, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების კარდინალური ტრანსფორმაციის აუცილებლობა, კომუნისში შეუთავსებელია ეკონომიკურ ლიბერალიზმთან, მრავალპარტიულობასა და პოლიტიკურ თავისუფლებასთან [7].

„მოდერნიზაციული“ პარადიგმის ფარგლებში იკვლევდნენ სოციალურ ურთიერთობებს, სტრუქტურებს და კულტურას, მათთვის უფრო დამახასიათებელი იყო მიკროდონის ანალიზი (ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიით “history from below”). მაქს ვებერის სოციოლოგიურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობამ ასეთ მკვლევრებს მარქსისტული ინტელექტუალური ტრადიციისგან დისტანცირების, იმავდროულად, სოციალური ცვლილების საკვლევი ანალიტიკური აპარატის შენარჩუნების საშუალება მისცა. ასეთი მიდგომა იმთავითვე ოპოზიციაში ჩაუდგა ტოტალიტარულ ამხსნელ მოდელს, ამიტომაც უნოდებენ მას „რევიზიონისტულს“. ლეოპოლდ ჰეიმსონმა სათავე დაუდო 1917 წლის რევოლუციის სოციალური ისტორიის შესწავლას, რასაც რუსეთის ისტორიის „ტოტალიტარული“ ინტერპრეტაციისთვის საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა. რევიზიონისტული პარადიგმის წარმომადგენელი ისტორიკოსები სოციალურ კონფლიქტებს თვითმპყრობელობის პოლიტიკურ კრიზისს უკავშირებდნენ და ასე ხსნიდნენ პოლიტიკური რადიკალიზმისა და საზოგადოებრივი უკმაყოფილებისთვის სოციალური ბაზის შექმნას [8].

რევიზიონიზმის ისტორიაში განსაკუთრებით საყურადღებოა ორთოდოქსული კომუნისმის სოციალისტური ალტერნატივების კვლევები, რომელთა შორის გამოიყოფა ბუხარინზე სტ. კოენის, აგრეთვე, ნეპის ლენინური გაგების შესახებ მ.ლ. ლევინის შრომები [9]. თუმცა, რევიზიონისტების მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს

საბჭოთა კავშირის ისტორიის მიმართება მოდერნიზაციის ზოგადმსოფლიურ პროცესთან, ე.ი. ინდუსტრალიზაციასთან, ურბანიზაციასთან, განათლების გავრცელებასთან, სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს (social welfare state) შექმნასთან, თანამედროვე ტიპის ოჯახის გაჩენასა და სოციალურად მნიშვნელოვანი პრაქტიკის პროფესიონალიზაციასთან (პედაგოგიკა, ჯანდაცვა და ა.შ.) [10]. მოდერნიზაციის პროცესის პერსპექტივაში საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის სპეციფიკური ფორმა განხილულია არა ავტორიტარული პოლიტიკური კულტურის ნიადაგზე აღმოცენებულ, არამედ კანონზომიერ მოვლენად და, ამავდროულად, მოდერნიზაციის განხორციელების მცდელობის დროებით შედეგად, ისეთ სოციალურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც იყო რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში. რევიზიონისტების მიერ საბჭოთა საზოგადოების განვითარების დინამიკის გაგებამ წარმოშვა საბჭოთა კავშირის შიგნიდან რეფორმირების შესაძლებლობის ვარაუდები, შექმნა 1953 წლის შემდეგ საბჭოთა ისტორიის ადეკვატური ახსნის შესაძლებლობა, წამოსწია ორი მსოფლიო სისტემის კონვერგენციის ჰიპოთეზა, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაცია და მასში ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნა. საბჭოთა კავშირის ევოლუციური ტრანსფორმაციის ჩავარდნამ „მოდერნიზაციული“ პარადიგმის, განსაკუთრებით მისი კონვერგენციული ნაწილის კრიზისი გამოიწვია, მიუხედავად ამისა, ის მაინც ინარჩუნებს მეცნიერულ აქტუალობას. მკვლევარ-„მოდერნისტების“ დამსახურებად ითვლება საკითხის დასმა ისეთი ცნებების იდენტობის შესახებ, როგორებიცაა „საბჭოთა რეჟიმის რეფორმა“ და „საბჭოთა კავშირის დაშლა“ (ე.ი. ფედერაციული სახელმწიფოს დაშლა). დ. როულის და რ. დანიელსის შრომებში ხაზგასმულია 1991 წლისთვის საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში განხორციელებული კარდინალური ცვლილებები [11]. ამ მკვლევართა თვალთახედვით, 1989 წლის შემდეგ დემოკრატიზაციის და დეცენტრალიზაციის პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო, თუმცა სსრკ ნაციონალურ რესპუბლიკებში ახალი იმპულსი მიეცა ნაციონალური ემანსიპაციის

და სუვერენიტეტისკენ სწრაფვას (ბალტიისპირეთის, „9 აპრილის“ და ა.შ. მოვლენები). ამრიგად, „მოდერნიზაციულმა“ პარადიგმამ საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ კამათში „იმპერიული“ პარადიგმის, როგორც დამოუკიდებელი რეპლიკის გაფორმება მოამზადა.

იმპერიის ისტორიის ცალკეული სიუჟეტების კვლევა „იმპერიის“ პარადიგმის დამოუკიდებელ ამხსნელ მოდელად დამკვიდრებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. მაგალითად, იმპერიის პრობლემები განხილულია ჰაიფსის მონოგრაფიაში *“The Formation of the Soviet Union”* (Cambridge (Mass.), 1964) და ზოგიერთი მისი მოწაფის, მაგალითად, ს. ბეკერის შრომებში, მაგრამ ისინი რუსეთის და საბჭოთა ისტორიის იმპერიულ კომპონენტს აიგივებდნენ რუსეთის და საბჭოთა სახელმწიფოს მრავალეროვანი შემადგენლობის კონსტატაციასთან, არარუსი ეროვნებების და განაპირა რეგიონების მიმართ რეპრესიული პოლიტიკის, იმპერიული (რუსეთთან გაიგივებული) ცენტრის და საგარეო ექსპანსიის კვლევასთან. საბჭოთა კავშირის დაშლის იმპერიული განზომილებისადმი მიძღვნილი შრომები საბაზო დებულებებით ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან და, ცხადია, ან „ტოტალიტარულ“ პარადიგმას ემყარებიან, ან „მოდერნიზაციულს“. ზოგიერთი ავტორი ხაზგასმით მიუთითებს სოციალიზმსა და ნაციონალიზმს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლებს შორის დასაბამიდანვე არსებულ წინააღმდეგობაზე; ასევე, მიუთითებენ ცენტრის პოლიტიკური კონტროლის შესუსტებისას მრავალეროვანი სახელმწიფოს დაშლის წინასწარ განსაზღვრულობას; საბჭოთა ფედერალიზმის არაფუნქციონალურობის მიზეზს ხედავენ საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირებისა და არსებობისთვის ინტერნაციონალიზმით შენიღბული რუსული ნაციონალიზმის დომინანტობაში. სხვა მკვლევრები საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიის კოლაფსს მოდერნიზაციული პროცესით ხსნიან, რამაც ნაციონალურ რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების სოციალური ბაზა წარმოშვა, ემანსიპირებულ რესპუბლიკურ ელიტებში კი ცენტრისკენული ტე-

ნდენციები განაპირობა; პერესტროიკის პერიოდის წარმატებული ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის შემთხვევაში - წარმოაჩინა საბჭოთა მოსახლეობის ნაციონალური ჯგუფების პოლიტიკური ემანსიპაციის უნიკალური გამოცდილება.

The connection between the Georgian chronicles and the key or transitory forms of cultural contacts may be verified by means of observation of narration strategies. The theory of cultural narration forms the theoretical and methodological grounds for this observation. When observing the chronicles, it immediately becomes clear that, like narrative, narration strategies underwent radical changes at different stages of Georgian-Iranian contacts. Parsadan's duality regarding moral issues is more obvious when we observe narration strategies. The reader has the impression that the transitory state between the two forms of cultural contacts is more inclined towards cultural mixture in the given narrative. Parsadan definitely rejected the historiographic tradition of ancient manuscripts of "Kartlis Tskhovreba" (Life of Kartli) and composed his text based on the examples of narratives of Persian historiographers of the Temurid and Safavid periods. This is, above all, proved by the principle of division of the text into chapters and distribution of events, as well as a high degree of self-representation of the narrator. These features were not characteristic of Georgian historiography of the earlier period. Technically, "Georgian History" is an example of Persian historiography, written in Georgian language, albeit with numerous Persian loans, retelling the history of Georgia instead of the

history of Iran. The narration strategies of chronicles of the following period, including Vakhushti's works, are obviously distant from the Iranian culture. Unlike Parsadan, later historiographers based their works on local historiographic tradition and intended to restore and renew this tradition. Naturally, the influence of the Persian historiography could not be avoided. Yet, the main thing is that chronicles of this period shared the Persian peculiarities of narration, but transformed these peculiarities taking into account the local tradition. Authors of the period after Vakhushti, including Papuna Orbeliani and Omar Kherkheulidze, continued this tradition, although their chronicles, unlike the works of Vakhushti and "Learned Men", lack pomposity and scope. It seems, the agitation related to the native and the alien was reflected on the strategies of narration. Historiography, with its strategies of narration, moved to a routine phase, which is peculiar of peaceful cultural relations. All the above-mentioned proves that, in case of an appropriate intellectual basis, historiography flourishes and becomes more diverse as a result of crisis situations.

It is a fact that the authors of Georgian chronicles attached great importance to the "what-dimension" of the text as well as "how-dimension". Alongside with their narrative of the opposition between "we-group" and alien Iranians, the latter represented a radical statement related to the issue of identity. Analysis of the strategies of narration enables enrich the information acquired on the basis of observation of the narrative. Thus, based on the theory of cultural narration, the strategies of chronicles, as well as literary texts in general, create new perspectives and renewal impulses for cultural-historical research. This can be vividly observed on the example of the Georgian chronicles of the 17th and 18th centuries.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დავით ქელიძე

ილიას უნივერსიტეტი, ბოტანიკის ინსტიტუტი

ს.ს. ორბელიანი „სიტყვის კონაში“ დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“

ძველ ქართულ ლექსიკონებში დასტურდება ფიტონიმები, რომელთა განმარტებები ხშირად შეუძლებელს ხდის მცენარეთა ამოცნობას. „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ ამ რიგის ფიტონიმთათვის კუთვნილი ადგილის მისანიჭებლად აუცილებელია მათი დაზუსტება, დაკონკრეტება, ლათინურ ნომენკლატურასთან მისადაგება (გვარი, სახეობა).

მცენარეთა ქართულ სამეცნიერო (ოფიციალურ) სახელთა შერჩევისას სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ (1961) ერთ-ერთი მთავარი წყაროა, აქ ხელშესახებადაა წარმოდგენილი ფიტონიმები სინონიმურ ნაწილშიც, თუმცა „სიტყვის კონისეული“ მდიდარი და საინტერესო მასალა „ბოტანიკურ ლექსიკონში“ სრულად მაინც ვერ აისახება. მაგალითად, არ ჩანს ფიტონიმები: საგალი და ძირნაოტი, შდრ.: „საგალი - (ბალ.) თევზთათვის სამსალა ZA. თევზის სამსალა B. (ბალ.) ძირნაოტი CD. (ბალ.) E.; ძირნაოტი - (ბალ.) საგალი ZAB.“ (საბა 1993); ეს ფიტონიმები დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: „ძირნაოტი-ი (ძირნაოტისა) ერთგვარი ბალახი - საგალი...; საგალ-ი (საგალისა) ძვ. თევზების საწამლავი

(ბალახი). სდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვავს, ვით თევზთა საგალია“ (დ. გურამ.). (ქეგლ 1958).

ამ განმარტებათა მიხედვით ძნელი ამოსაცნობია, კონკრეტულად რომელი მცენარეა საგალი (ძირნაოტი, თევზის სამსალა), თუმცა დამატებითი მასალის მოძიებისა და სათანადო კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ეს არის ქერიფქლას ერთ-ერთი სახეობა - *Verbascum thapsus* L.

სიტყვა საგალი მყოფადი დროის საობიექტო მიმღობაა და ნაწარმოები ჩანს გალ-/გლ- ზმნური ფუძე-ძირისგან, შდრ.: ძვ. ქართ. „დაგლა დანაყვა, დამსხვრევა, შემუსვრა; „მოგლა“; „მოგლა „დაგლა“; ფქვა, დანაყვა... იხ. გლა“; გლა - ზრუნვა, დარდი“ (აბულაძე 1973); „დაგლა შემუსრვა“ (სარჯველაძე 2001); „გლა - 1. მცირედ განაყვა ZA. განაყა მცირედ B. განაყა CD. 2. ზრუნვა თუ რჯა ZAB. გგლის - გენალვლების(ავით) C. გენალვლების D; დაგლა - (2 მეფე 22, 39) დანაყა ZAa.; მოგლა (11, 8 რიცხ.) დანაყა ZAa. (საბა 1991); „გლა (გლისა) სახელი გლის, აგლის, უგლის ზმნათა მოქმედებისა, - ხლა, მიხეთქება. თავის გლა კედელზე; აგლი-ს (აგალა, უგლია) გრდმ. ახლის, ახეთქებს. თავს რა ქვას აგლის?!“ (ქეგლ 1951); ხევს. „გლის ნაყავს, სრესს, ამსხვრევს (ჭინჭარაული 2005).

სპეციალურ ლიტერატურაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილია *გლ- არქეტიპი (ვ. კლიმოვი 1964). ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ქართული გალ-/გლ- ძირის შესატყვისი უნდა იყოს სვანური გილ-/გლ- ძირი (სვან. ლი-გლ-ე ქართ. „დამტვრევა“) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ფიტონიმი საგალი იმითაც არის საინტერესო, რომ თევზჭერის ხალხურ მეთოდს - დანაყილი მცენარით თევზების მოწამვლას - უკავშირდება (როლოვი 1908). ვფიქრობთ, მცენარის ეს დანიშნულება და სათანადო სემანტიკა („მწარე“, „სანამლავი“) დამაკავშირებელიც კი აღმოჩნდეს გალ-/გლ- ზმნური ძირების განსხვავებული მნიშვნელობებისთვის: 1. „დანაყვა“, „დამსხვრევა“; 2. „დარდი“, „წუხილი“.

„სიტყვის კონაში“ დადასტურებული ფიტონიმი საგალი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ ახალი ერთეულის (მცენარის) შემოტანის საშუალებას იძლევა და ის ამგვარად იქნება წარმოდგენილი:

საგალი *Verbascum thapsus* L.

ქართლ., საგალი (ქდლ);

საბა, თევზის სამსალა;

საბა, რ.ე.(ქართლ.-კახ.), დ.ჩ. ძირნაოტი;

საბა, ვახუშტი, რ.ე. (ქართლ.-კახ.), დ.ჩ. საგალი;

ი.ბ. მეფის სკიპტრა, დიდი ზაგა, სამეფო კვერთხი, დათვისყურა, დიდი საგალი, ზაგაბალახი, სამეფო სკიპტრა, დიდი ზაგაგალი;

რ.ე. თევზის სამსალი (ქართლ.-კახ.), პირბამბა (ქართლ.-კახ., გურ.), საროსყვაკილი (ქართლ.-კახ.);

რ.ე. (ქართლ.-კახ.), დ.ჩ. შავცოცხა;

დ.ჩ. თევზის წამალი, კალმახა ბალახი, პირ-ბამბა, სახალი ბალახი, საროს-ყვაკილი.

Nana Khocholava-Machavariani

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Davit Chelidze

Ilia State University, Institute of Botany

THE PLACE OF CERTAIN PHYTONYMS FOUND IN S. S. ORBELIANI'S „GEORGIAN DICTIONARY“ IN „THE COLLECTIVE DICTIONARY OF PLANT NAMES“

In the old Georgian dictionaries, there are certain phytonyms, the definitions of which often make it impossible to identify the plants. In order to attach a proper place to these phytonyms in the „Collective Dictionary of Plant Names“, they

should be made more precise and concrete and adjusted to the Latin nomenclature (genus, specie).

When selecting the scientific (official) names of plants for his "Botanical Dictionary" (1961), Aleksandre Makashvili used Sulkhan-Saba Orbeliani's "Georgian Dictionary" as the main source. The phytonyms are widely represented in the part referring to synonyms, but the rich and interesting material provided in the "Georgian Dictionary" is not fully reflected in the "Botanical Dictionary". For instance, there are not phytonyms like საგალი (moth mullein) and ძირნაოტი (moth mullein), cf: „საგალი - (grass) poison for fish ZA. Fish poison B. (grass) ძირნაოტი CD. (grass) E.; ძირნაოტი - (grass) საგალი ZAB.“ (Saba 1993); These phytonyms are found in the Explanatory Dictionary of the Georgian language: „ძირნაოტი-ი (ძირნაოტისა) a kind of grass - საგალი...; საგალ-ი (საგალისა) archaic. Fish poison (grass). Tears fall from my eyes, burning me like moth mullein burns fish“ (Davit Guramishvili).“ (EDGL 1958).

Based on the above definitions, it is hard to identify which plant is საგალი (moth mullein, fish poison). However, additional research has proved that the given plant is a specie of ქერიფელა (mullein) -*Verbascum thapsus* L.

The word საგალი is an objective participle of the future tense, supposedly derived from გალ-/გლ- verb stem/root, cf: old Georgian „დაგლა - pounding, smashing, elimination; „მოგლა“; „მოგლა „დაგლა“, grinding, pounding... see. გლა“; გლა - caring, worrying“ (Abuladze 1973); „დაგლა - eliminating“ (Sarjveladze 2001); „გლა - 1. Pounding to small pieces ZA. Pounded into small pieces B. pounded CD. 2. Caring, working ZAB. გგლის - you seem to worry C. It ails you D; დაგლა - (2 King 22, 39) pounded ZAa.; მოგლა (11, 8 number) pounded ZAa. (Saba 1991); „გლა (გლისა) - noun derived from actions denoted by the verbs გლის, აგლის, უგლის, - smashing, throwing. Pounding one's head against the wall; აგლი-ს (აგალა, უგლია) transitive. Smashes, hits. Why does he hit his head against a stone?!“ (EDGL 1951); tears. „გლის - pounds, smashes, breaks (Chincharauli 2005).

In the special literature, on the level of common Kartvelian language, the archetype *გლ- has been reconstructed (V. Klimov 1964). We share the opinion that the correlate of the

Georgian root გალ-/გლ- is the Svan root გილ-/გლ- (Svan. ლი-გლ-ე Georgian „breaking“) (Fenrich, Sarjveladze 2000).

The phytonym საგალი (moth mullein) is also interesting because it provides information about the popular method of fishing – poisoning of fish by means of pounded herb (Rolov 1908). In our opinion, this function of the given plant and corresponding semantics („bitter“, „poison“) might link the different meanings of the verbal roots გალ-/გლ-: 1. „pounding“, „smashing“; 2. „sorrow“, „worrying“.

The phytonym საგალი found in the “Georgian Dictionary” enables introduce a new lexical unit (plant) in „The Collective Dictionary of Plant Names“. This unit will be represented as follows:

საგალი *Verbascum thapsus* L.

Kartlian საგალი (Kartlian dialect);

Saba - fish poison;

Saba (Kartlian-Kakhetian), ძირნაოტი;

Saba, Vakhushto, (Kartlian-Kakhetian),. საგალი;

King’s sceptre, large zaga, King’s mace, bearberry, large moth mullein, zagagrass;

Fish poison (Kartlian-Kakhetian), coltsfoot (Kartlian, Kakhetian, Gurian), borage (Kartlian-Kakhetian);

Sweet wormwood (Kartlian-Kakhetian);

Fish poison, oyster mushroom, coltsfoot, borage.

ნათია კენჭიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რიტორიკის პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი სახელმძღვანელო: „მოკლე რეტორიკა“

რიტორიკის პირველი ქართულენოვანი ნაბეჭდი სახელმძღვანელო „მოკლე რეტორიკა“ გამოიცა 1879 წელს, კონსტანტინოპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს რიტორიკის პირველი ქართულენოვანი ბეჭდური სახელმძღვანელოს „მოკლე რეტორიკის“ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ანალიზსა და ასევე, ნაწილობრივ, ზოგიერთი სხვა პრობლემის შესწავლას, კერძოდ, განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა წიგნის სავარაუდო ავტორის, შემდგენლისა და გამომცემლის შესახებ მეტი ინფორმაციის დადგენა, სახელმძღვანელოს შექმნის წინაპირობები, დაწერის ეპოქა, ისტორიული გარემოებები, იმდროინდელი სასწავლებლები და სტამბა, რომლებშიც, აღნიშნული წიგნის გარდა, სხვა სასწავლო სახელმძღვანელოებიც იბეჭდებოდა და სხვ. კვლევის ძირითადი მისწრაფებაა სახელმძღვანელო წიგნის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის სფეროში არსებული სიცარიელის შეძლებისდაგვარად, ნაწილობრივ შევსება მაინც. ამასთან, ის საკითხები, რომლებიც წარმოდგენილი და განხილულია რიტორიკის ქართულენოვან სახელმძღვანელოში, მიზანშეწონილია, გაანალიზებულ იქნეს იმის გათვალისწინებით, რომ ის სასწავლო მიზნით შეიქმნა. სახელმძღვანელოს შესწავლით უკეთ იქნება შეფასებული XIX სს-ის საქართველოში რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლების საკითხი.

მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური,

რომლებიც XVIII-XIX სს-ს განეკუთვნება. მათ რიცხვში შედის მხითარ სებასტაქის „რიტორიკა“, რომელიც ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761 წელს, ანტონ ბაგრატიონის, ფილიპე ყაითმაზიშვილისა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ და დღემდე ხელნაწერების სახით არსებობს¹; შემდეგი სახელმძღვანელოა სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“, რომელიც დაიწერა 1828 წელს (დოდაშვილი 1989, 179-189). ამას მოსდევს 1879 წელს, კონსტანტინოპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცთა“, რომელიც რიტორიკის პირველი ქართულენოვანი ნაბეჭდი სახელმძღვანელოა (მოკლე რეტორიკა, 1879). ამ სამი წიგნის გარდა, რიტორიკის არც ადრინდელი და არც შემდგომი სახელმძღვანელოები არ მოგვეპოვება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ XVIII-XIX საუკუნეების შემდგომი პერიოდის საგანმანათლებლო სისტემაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რომლის შედეგადაც, სასწავლო საგნებიდან ზოგიერთი ძველი საგანი ამოიღეს², ზოგი ახალი საგანი კი დაამატეს. რიტორიკა, იგივე მჭევრმეტყველება, როგორც საგანი, XVIII-XIX სს-ის პერიოდის ქართული სასწავლებლების განუყოფელი ნაწილი ყოფილა. მაგალითად, ყველაზე ადრეული სახელმძღვანელო მხითარ სებასტაქის „რიტორიკა“ ითარგმნა ტფილისისა და თელავის სემინარიების სასწავლო საჭიროებიდან გამომდინარე. მომდევნო ქართულენოვანი სახელმძღვანელო, სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“ 1828 წელს დაიწერა და მიუხედავად იმისა, რომ არ დაბეჭდილა, მისი შექმნაც სასწავლო მიზნებით იყო განპირობებული; დაბოლოს, „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმა-

1 მხითარ სებასტაქის „რიტორიკის“ ქართულ თარგმანთა შემცველი ხელნაწერების რიცხვი 51-ს აღწევს. ამათგან ყველაზე ნაკლები ტექსტი 67 გვერდს შეიცავს, ხოლო ყველაზე სრული – 426 გვერდს. წიგნი დღემდე ხელნაწერების სახით არსებობს და მისი შექმნის დღიდან მოყოლებული, არც თავის დროზე და არც შემდგომ პერიოდში, არ გამოქვეყნებულა.

2 გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიტორიკა, იგივე მჭევრმეტყველება იყო ერთ-ერთი განუყოფელი საგანი ძველ საგანმანათლებლო ტრადიციაში, რომელიც ცნობილი იყო „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ სახელწოდებით.

წვილ კაცთა“, რომელიც დაიბეჭდა 1879 წელს, ასევე ემსახურებოდა სასწავლო მიზნებს. ამით შემოიფარგლება დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი რიტორიკის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების სია. ხოლო ვითარება მკვეთრად შეიცვალა მომდევნო პერიოდში; რიტორიკა, როგორც საგანი, ფაქტობრივად აღარ გვხვდება XIX საუკუნის შემდგომი პერიოდის სხვა სასწავლო საგნებს შორის. ამ პერიოდიდან, ის გახდა ახალი საგნის – „სიტყვიერების თეორიის“ (არხიმანდრიტი კირიონი, ყიფშიძე (შემდგ.) 1898) შემადგენელი ნაწილი, რომელიც რუსული სასწავლო სახელმძღვანელოების მიხედვით იყო შედგენილი. ამდენად, „მოკლე რეტორიკით“ მთავრდება რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლების ისტორია XIX ს-ის საქართველოში, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მიმართ ინტერესს.

„მოკლე რეტორიკის“ წინასიტყვაობაში განმარტებულია წიგნის დანიშნულება და ადგილი სხვა სასწავლო საგნებისა და სახელმძღვანელოების გვერდით, რომელთა შორის სავარაუდებელია სწორედ ქართული გრამატიკისა და ფილოსოფიის სახელმძღვანელოებიც: „შემდგომ ქართული ღრამატიკის სწავლისა, ფრიად საჭირო და სასარგებლოა მჭევრ მეტყველობის სწავლაც, და მის შემდგომ ფილოსოფიისა, (რომელი ამასთანავე იბეჭდება), ვითარცა ჰყოვენ ევროპიის განათლებულნი საზოგადოებანი, მჭევრ-მეტყველება ასწავლის კაცს მშვენიერს და გამკვეთს ლაპარაკსა, რათა საჭიროების დროს შეიძლოს ნათლად ჩვენება თავისი სიმართლისა და დამტკიცება მისი გამკვეთი ფაქტების მოტანით. ხოლო წრფელი ფილოსოფიის სწავლაც ასწავლის საფუძვლიანათ და ქკუით ლაპარაკს, და გარჩევას ქეშმარიტებისა სიცრუისაგან“ (მოკლე რეტორიკა 1879, ბ). ამ წინასიტყვაობიდან ირკვევა ისიც, რომ „მოკლე რეტორიკის“ გამოცემის მომენტში, ე.ი. 1879 წელს, ჯერ არ ყოფილა დაბეჭდილი ფილოსოფიის სახელმძღვანელო. მართლაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ „მოკლე ფილოსოფია“ 1880 წელს გამოიცა (მოკლე ფილოსოფია, 1880).

რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო ლიტერატურის შესწავლის ვითარების გადახედვა ცხადყოფს,

რომ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის განხილვისას, როგორც წესი, ახსენებენ ხოლმე სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკას“, ხოლო რიტორიკის სხვა სახელმძღვანელოებს ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ამ მხრივ, მოიპოვება მხოლოდ ცალკეული სტატია, რომლებშიც საუბარია ამა თუ იმ სახელმძღვანელოს შესახებ, ასევე არაა შესწავლილი ერთად და ერთმანეთთან მიმართებით თითოეული მათგანი, რათა შეიქმნას საერთო სურათი და უკეთ იქნეს შეფასებული რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლების როლი და მნიშვნელობა XVIII-XIX სს-ის საქართველოში.

„მოკლე რეტორიკა“ არასდროს ყოფილა ფართო მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი. მის მიმართ სამეცნიერო ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პროფ. გ. შერვაშიძემ მიაკვლია მას სტამბულის კათოლიკური ეკლესიის საცავში. ამის შემდგომ, სახელმძღვანელოს ლინგვისტური ღირებულება შეისწავლეს ნ. ცეცხლაძემ და მ. ხახუთაიშვილმა თავიანთ ერთობლივ სტატიაში (ცეცხლაძე, ხახუთაიშვილი 2011, 114-119). მათ გამოთქვეს თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ „მოკლე რეტორიკის“ შემდგენელი შეიძლება იყოს ანტონ კათალიკოსის სკოლის წარმომადგენელი ან უბრალოდ თანამედროვე. იგი იყენებს ტერმინ „სხმითგარდასვლითს“, რომელიც ანტონს გადმოუღია მხითარ სებასტაქის გრამატიკიდან (ცეცხლაძე, ხახუთაიშვილი 2011, 118). არც ისაა გამორიცხული, რომ წიგნის შემდგენელი იყოს ქართველი კათოლიკე, უშუალოდ კონსტანტინოპოლში დაარსებულ სტამბაში მოღვაწე პეტრე ხარისჭირაშვილი (კენჭიაშვილი 2020, 131). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგამომცემლო საქმიანობაში მას დახმარებას უწევდნენ თავისივე აღზრდილი მოწაფეებიც, მათ შორის, მაგალითად, ივანე გვარამაძე (ცნობილი ფსევდონიმით „ვინმე მესხი“), ივანე მამულაშვილი (მამულოვი) და სხვანი. ზ. ჭიჭინაძე ერთ თავის წიგნში წერს შემდეგს: „პეტრე ხარისჭირაშვილმა ევროპაში გადასახლების შემდეგ იტალიაში, ფრანციაში და ოსმალეთში დაარსებულ ქართულ სტამბებში დაბეჭდა შემდეგი წიგნები, ზოგი თავის ნაშრომი და ზოგიც სხვების, კათოლიკეთ მოძღვრის

ივანე გვარამაძის და ივანე მამულოვის“ (ჭიჭინაძე 1895, 66). ამდენად, „მოკლე რეტორიკა“ შეიძლება იყოს კოლექტიური თანაშემოქმედების შედეგიც.

როგორც ცნობილია, XIX ს-ის მეორე ნახევრის სტამბულში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალციხელი კათოლიკე ბერი პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი ბიოგრაფიის დეტალების გაცნობით მით უფრო ცხადი ხდება მისი როლის შესახებ როგორც საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში, რომელიც მიუძღვის საზღვარგარეთის ქართული სტამბების დაარსებით, ისე უშუალოდ წიგნების მომზადება-გამოცემის საქმეში. ამდენად, ქვემოთ ვრცლად იქნება საუბარი როგორც მის მიერ დაფუძნებული სტამბების, ისე იქ გამოცემული წიგნების შესახებ.

საყურადღებოა იმ სასწავლებლებისა და ორგანიზაციების შესახებ მეტი ინფორმაციის დადგენა, რომლებისთვისაც იყო სახელმძღვანელოს დაბეჭდვა და მიწოდება გათვალისწინებული და გამიზნული. მათ შორის, აღსანიშნავია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც დაინტერესებული იყო იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც საზღვარგარეთის ქართულ სტამბებში იბეჭდებოდა. ნიშანდობლივია, გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის რამდენიმე ნომერში თანდართული განცხადებები, რომლებშიც მოყვანილია „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში“ გასაყიდად მიღებული წიგნების სია (ივერია, 1891ა, 4; ივერია, 1891ბ, 4; ივერია, 1891გ, 4; ივერია, 1891დ, 4). სხვა გამოცემების გვერდით, ნახსენებია შემდეგი წიგნები: „მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა“, „მოკლე ფრანგული გრამატიკა“, „მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე“ (მოკლე საყოვლიერო ისტორია, 1877), „მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა“, „მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკულის და ლოლიკურის ანალიზებისა“ (მოკლე ქართული გრამატიკა, 1877), „მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმანვილ-კაცისა“ (მოკლე რეტორიკა, 1879), „მოკლე ფილო-

სოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოლიას, ლოდიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას“ (მოკლე ფილოსოფია, 1880) და ა.შ. აქ ჩამოთვლილ წიგნთა შორის კი, ნახსენებია „მოკლე რეტორიკა“.

ყველა ზემოჩამოთვლილი წიგნი ავლენს ერთმანეთთან მსგავსებას სათაურის აგების მსგავსი სტილის მიხედვით და, რაც მთავარია, ყველა სახელმძღვანელო სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებით იქმნებოდა და ვრცელდებოდა. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს წიგნების საგამომცემლო მონაცემებიც, კერძოდ ის, თუ სად იბეჭდებოდა ეს ლიტერატურა. ესენია სტამბულში ანთუან გვიზალიანის სტამბა (ოსმალეთი) და მონტობანში ენრიკო ჭაბრის სტამბა (საფრანგეთი). სწორედ საზღვარგარეთის ქართველ კათოლიკეთა მიერ დაარსებული ამ ორი სტამბიდან იგზავნებოდა საქართველოში ეს სახელმძღვანელო ლიტერატურა.

„მოკლე რიტორიკის“ შექმნის კონკრეტული ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია ავტორისა და შემდგენლის ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებების გარკვევა. საჭიროა სახელმძღვანელოს ტექსტობრივი, გრამატიკული, ლექსიკურ-ორთოგრაფიული მხარისა და სხვა გარემოებათა დადგენა იმ მუშაობის პირობების შესაბამისად, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა წიგნის სავარაუდო ავტორსა და შემდგენელს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი სიჭრელე შეინიშნება. თითოეულ ავტორს აქვს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები და ორთოგრაფია, რასაც ტექსტოლოგები ხშირად იყენებენ ავტორის იდენტიფიცირებისათვის (ნინიძე, გიგაშვილი 2018, 200). ამ შემთხვევაშიც, ტექსტის ენობრივი ანალიზი დიდ დახმარებას გასწევს წიგნის სავარაუდო შემდგენლის დასადგენად. მაგალითად, „მოკლე რეტორიკის“ ავტორი იყენებს ტერმინს „რეტორიკა“, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს წიგნის უცხოურ წარმომავლობაზე და კერძოდ იმაზე, რომ ის თარგმნილია (რეტორიკა = *Réthorique*) (მოკლე რეტორიკა, 1879).

ასევე საყურადღებოა სახელმძღვანელოს აგებისა და ინფორმაციის გადმოცემის ფორმა. მასში მეტად ჭარბი რაოდენობითაა კითხვები, რომლებსაც შემდეგ მოჰყვება თეორიული პასუხი პრაქტიკული მაგალითების მოყვანით. ამგვარი ფორმა აიხსნება იმით, რომ წიგნი სასწავლო დანიშნულებითაა შექმნილი და აადვილებს ცოდნის გადმოცემისა და ათვისების პროცესს.

ბიბლიოგრაფია:

1. არხიმანდრიტი კირიონი და ყიფშიძე, გრიგოლ. (შემდგ.), 1898. სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშების დამატებით, სახელმძღვანელო წიგნი, სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ. ქ. № 21. ხელმისაწვდომია: <<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6509>>;
2. ივერია, 1891ა. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, 27 მარტი, ოთხშაბათი, №66;
3. ივერია, 1891ბ. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, 29 მარტი, პარასკევი, №68;
4. ივერია, 1891გ. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, 14 მაისი, სამშაბათი, №100;
5. ივერია, 1891დ. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, 24 ივლისი, ოთხშაბათი, №155;
6. კარი ლათინური გრამმატიკისა, 1882. კარი ლათინური გრამმატიკისა, კონსტანტინეპოლი: ანთუან გვიზალიანის სტამბა;
7. კენჭიაშვილი, ნათია, 2020. რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით, Scientia: სამეცნიერო ჟურნალი, №1, გვ. 122-145;

8. მოკლე ქართული გრამატიკა, 1877. მოკლე ქართული გრამატიკა: დამატებით გრამატიკული და ლოდიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონთობანი: ენრიკო ჭაბრის სტამბა;
9. მოკლე რეტორიკა, 1879. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა, კოსტანდინეპოლი: ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315624>>;
10. მოკლე ფილოსოფია, 1880. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცვამს თავისში ფსიხოლოლიას,ლოლიკას,ბუნებითღვთისმეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მორალ) მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმანვილ კაცთათვის, კონსტანტინეპოლი: ანთუან გვიზალიანის სტამბა;
11. მოკლე საყოვლიერო ისტორია, 1877. მოკლე საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მრთელს კაცობრიობასა შინა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე განყოფილი ექვს ნაწილად...: სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონთობანი: ენრიკო ჭაბრის სტამბა;
12. ნინიძე, მაია და გიგაშვილი, ქეთევან, 2011. ტექსტოლოგია: სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის, თბილისი: გამომცემლობა „პრინტჯეო“;
13. ცეცხლაძე, ნანა და ხახუტაიშვილი, მზია, 2011. უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ – სტილისტიკის საკითხები, ენა და კულტურა: სამეცნიერო ჟურნალი, №6,114-119;
14. ჭიჭინაძე, ზაზა, 1895. აბათი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქუჩა № 21.

**THE FIRST PRINTED TEXTBOOK OF RHETORIC IN
GEORGIAN:
“A BRIEF REVIEW OF RHETORIC”**

The first printed textbook of rhetoric “A Brief Review of Rhetoric” was published in 1879 by the Publishing House of Antuan Gvizaliani in Constantinople. The present study aims to research the philological-textological analysis of the first Georgian printed textbook of rhetoric “A Brief Review of Rhetoric” and also, in part, to study some other problems, in particular, to discuss issues such as identifying the probable author, compiler and publisher, the epoch of writing, historical circumstances, schools and publishing house of that time, in which, in addition to the mentioned book, other textbooks were also printed, etc. The main aspiration is to fill the gap in the field of philological-textological research in the textbook as much as possible, at least partially. In addition, the issues presented and discussed in the Georgian textbook of rhetoric, it is advisable to analyze, given that it was created for educational purposes. By studying the textbook it will be better assessed the issue of teaching rhetoric theory and practice in Georgia in the XIX century.

In the centuries-old Georgian literature can be found the first textbooks of rhetoric in Georgian, both translated and original, which belong to the XVIII-XIX centuries. Among them are: Mkhitar Sebastatsi’s “Rhetoric”, which was translated from Armenian around 1761-1764 by Anton Bagrationi, Philipe Kaitmazishvili and Dositheos Cherkezishvili and still exists in the form of manuscripts¹; The next textbook is Solomon Dodash-

¹ The number of manuscripts containing Georgian translations of Mkhitar Sebastatsi’s “Rhetoric” reaches 51. The most incomplete text contains 67 pages, and the most complete – 426 pages. The book still exists in the form of manuscripts and has not been published since its inception, neither in its time nor in the later period.

vili's "Rhetoric", written in 1828 (Dodashvili, 1989: 179-189). This was followed in 1879 by Antuan Gvizaliani in Constantinople, published in Antuan Gvizaliani, "A Brief Review of Rhetoric or Eloquence in Favor of the Young Men", which was the first printed textbook of rhetoric in Georgian (A Brief Review of Rhetoric, 1879). Apart from these three books, it cannot be found neither earlier nor later textbooks of rhetoric.

It should also be noted that some changes took place in the educational system of the post-XVIII-XIX centuries, as a result of which some old subjects¹ were removed from the curriculum and some new subjects were added. Rhetoric was an integral part of Georgian schools of the XVIII-XIX centuries. For example, the earliest textbook Mkhitar Sebastatsi's "Rhetoric" was translated due to the educational needs of the Tbilisi and Telavi Seminaries. The next textbook in Georgian, Solomon Dodashvili's "Rhetoric" was written in 1828 and although it was not published, its creation was for educational purposes; Finally, "A Brief Review of Rhetoric" published in 1879, also served educational purposes. This is the list of Georgian textbooks of rhetoric known to us today. And the situation changed dramatically in the following period; Rhetoric as a subject is in fact no longer found among the other subjects of the post-nineteenth century. From this period, it became an integral part of the new subject "Theory of Speech" (Archimandrite Kirioni & Kipshidze (Eds.). 1898), which was compiled according to Russian textbooks. Thus, the history of teaching the theory and practice of rhetoric in Georgia in the XIX century ends with "A Brief Review of Rhetoric", which further increases the interest and urgency of its study.

In the preface of the "A Brief Review of Rhetoric" is explained the purpose and place of the book alongside with the other subjects and textbooks, among which it should be assumed the textbooks of Georgian grammar and philosophy: "After learning Georgian grammar, it is very necessary and useful to learn fluency, and then the philosophy, (which will also be published), as there are educated societies in Europe, flu-

¹ It should also be noted that rhetoric was one of the inseparable subjects in the ancient educational tradition known as the "Seven liberal arts".

ency teaches people to speak beautifully and to speak clearly so that they can shine when needed and prove it by bringing out the facts. And the teaching of linear philosophy teaches to speak thoroughly and cleverly, and to distinguish truth from falsehood". (A Brief Review of Rhetoric 1879, b). It is clear from this preface, that at the moment of publishing "A Brief Review of Rhetoric", in 1879, a textbook of philosophy had not yet been published. Indeed, it is known that "A Brief Review of Philosophy", was published in 1880 (A Brief Review of Philosophy 1880).

The situation of the study of the first textbooks of rhetoric reveals that when discussing the history of Georgian rhetoric, Solomon Dodashvili's "rhetoric" is usually mentioned, while other textbooks of rhetoric pay less attention. In this regard, there are several articles that talk about individual textbooks, and each of them is not studied together and in relation to each other to create a general picture and better assess the role and importance of teaching rhetoric theory and practice in Georgia in the XVIII-XIX centuries.

"A Brief Review of Rhetoric" has never been the subject of extensive scientific research. Scientific interest in it arose after Prof. G. Shervashidze traced him to the repository of the Istanbul Catholic Church. After that, the linguistic value of the textbook was studied by N. Tsetskhladze & M. Khakhutaishvili in their joint article (Tsetskhladze & Khakhutaishvili 2011, 114-119). They expressed the opinion that the compiler of the "A Brief Review of Rhetoric" could be a representative of the school of Anton the Catholicos or simply his contemporary. He uses the term "transcendence", which was taken from Anton's grammar by Mkhitar Sebastatsi (Tsetskhladze & Khakhutaishvili 2011, 118). It is not excluded that the compiler of the book is Petre Kharistchirashvili, a Georgian Catholic who worked directly in the publishing house established in Constantinople (Kenchiashvili 2020, 131). In addition, it should be noted that he was assisted in publishing by his own students, including, for example, Ivane Gvaramadze (known by the pseudonym "Someone Meskhetian"), Ivane Mamulashvili (Mamulov) and others. Z. Tchitchinadze writes in one of his books: "After emigrating to

Europe, Petre Kharistchirashvili published the following books in Georgian publishing houses established in Italy, France and the Ottoman Empire, some of his works and some of others, of the Catholic teachers Ivane Gvaramadze and Ivane Mamulov" (Tchitchinadze 1895, 66). Thus, "A Brief Review of Rhetoric" may be the result of collective collaboration.

As it is known, Petre Kharistchirashvili, a Catholic Monk from Akhaltsikhe, was especially distinguished for his cultural and educational activities in Istanbul in the second half of the 19th century. Knowing the details of his biography makes it clearer about his role in the development of publishing activities, which leads to the establishment of Georgian publishing houses abroad, as well as in the preparation and publication of books. Thus, the publishing houses founded by him, as well as the books published there will be discussed in detail below.

It is important to find out more about the schools and organizations for which the publishing and delivery of the textbook were provided and targeted. Among them is the "Society for the Promotion of Literacy Among Georgians", which was interested in the textbooks that were printed in Georgian publishing houses abroad. It is noteworthy that the announcements attached to several issues of the newspaper "Iveria" in 1891, which contain a list of books for sale in the "Bookstore of the Literary Society" (Iveria 1891a, 4; Iveria 1891b, 4; Iveria 1891c, 4; Iveria 1891d, 4). In addition to other editions, the following books are mentioned: "A Brief Review of the Textbook of French Language", "A Brief Review of French Grammar", "A Brief Review of World History from the Beginning to the Present Day" (A Brief Review of World History 1877), "A Brief Review of Physical and Civil Geography, in Addition of Old Geography", "A Brief Review of the Georgian Grammar in Addition of the Grammatical and Logical Analyzes" (A Brief Review of the Georgian Grammar 1877), "A Brief Review of Rhetoric or Eloquence in Favor of the Young Men" (A Brief Review of Rhetoric 1879), "A Brief Review of Philosophy, or Love of Wisdom, Which Oncludes Psychology, Logic, the Nature of God's Speech and Morality" (A Brief Review of Philosophy, 1880), etc. Among the books listed here is "A Brief Review of Rhetoric".

All of the above books reveal similarities with each other in terms of similar styles of title building and, most importantly, all textbooks were created and disseminated for teaching and educational purposes. In addition, the publishing data about the books deserve attention, in particular, where this literature was printed. These are the publishing house of Antoine Gvizaliani in Istanbul (Ottoman Empire) and the publishing house of Enrico Fabre in Montauban (France). It was from these two publishing houses founded by Georgian Catholics abroad that this textbook was sent to Georgia.

Given the specific historical circumstances of the creation of the “A Brief Review of Rhetoric”, it is necessary to clarify the linguistic-stylistic features of the author and the compiler. It is necessary to determine the textual, grammatical, lexical-orthographic side of the textbook and other circumstances in accordance with the working conditions in which the alleged author and compiler of the book had to work.

Scholars note that in the 1970s, when the norms of the Georgian literary language had not yet been developed, there was a great deal of linguistic diversity. Each author has his/her own vocabulary, grammatical forms, and spelling, which textologists often use to identify the author (Ninidze, Gigashvili 2018, 200). In this case too, linguistic analysis of the text will be of great help in determining the probable compiler of the book. For example, the author of “A Brief Review of Rhetoric” uses the term “rhetoric”, which once again indicates the foreign origin of the book, and in particular that it is translated (Rhetoric = *Réthorique*) (A Brief Review of Rhetoric 1879).

Also noteworthy is the form of textbook construction and information transmission. It contains a large number of questions, which are then followed by theoretical answers with practical examples. This form is explained by the fact that the book is designed for educational purposes and facilitates the process of knowledge transfer and assimilation.

Bibliography:

1. Archimandrite Kirioni & Kipshidze, Grigol. (Eds.). 1898. Theory of Speech, in Addition to Literary Specimens, a Textbook for the Nobility, Seminaries, and Diocesan Seminaries, Compiled by Archimandrite Kyrion and Gr. Kipshidze, Tbilisi: Publishing House of M. Sharadze & Partnership, Nikea Street №21, Available at: <<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6509>> (in Georgian);
2. A Brief Review of the Georgian Grammar, 1877. A Brief Review of the Georgian Grammar: Additional Grammatical and Logical Analyzes, For the Children of the Newly Formed Rural Schools, Montauban: Publishing House of Enrico Fabre (in Georgian);
3. A Brief Review of Rhetoric, 1879. A Brief Review of Rhetoric or Eloquence in Favor of the Young Men, Constantinople: Publishing House of Antuan Gvizaliani, Available at: <<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315624>> (in Georgian);
4. A Brief Review of Philosophy, 1880. A Brief Review of Philosophy, or Love of Wisdom, Which Includes Psychology, Logic, the Nature of God's Speech and Morality, Constantinople: Publishing House of Antuan Gvizaliani (in Georgian);
5. A Brief Review of World History, 1877. A Brief Review of World History from the Beginning to the Present Day, Which Tells the Story of the Graceful Deeds of the Chief Affairs of Mankind from the Inner Origins of Mankind to the Village Divided Into Six Parts, For the Children of Rural Schools, Montauban: Publishing House of Enrico Fabre (in Georgian);
6. Introduction to Latin Grammar, 1882. Introduction to Latin Grammar, Constantinople: Publishing House of Antuan Gvizaliani (in Georgian);
7. Iveria, 1891a. Political and Literary Newspaper "Iveria", March 27, Wednesday, №66, p. 4 (in Georgian);
8. Iveria, 1891b. Political and Literary Newspaper "Iveria", March 29, Friday, №68, p. 4 (in Georgian);
9. Iveria, 1891c. Political and Literary Newspaper "Iveria", May 14, Tuesday, №100, p. 4 (in Georgian);
10. Iveria, 1891d. Political and Literary Newspaper "Iveria", July 24, Wednesday, №155, p. 4 (in Georgian);
11. Kentchiashvili, Natia, 2020. Rhetorical Theory and Practice in

- the 18th-19th Centuries Georgia According to the First Georgian Textbooks of Rhetoric, *Scientia: Scholarly Journal*, №1, pp. 122-145 (Both in Georgian and English);
12. Ninidze, Maia & Gigashvili, Ketevan, 2018. *Textology: A Guide for Doctoral Students*, Tbilisi: "Printjeo" Publishing House (in Georgian);
 13. Tsetskhladze, Nana & Khakhutaishvili, Mzia, 2011. Unknown Author's "A Brief Review of Rhetoric or Eloquence" – Stylistic Issues, *Language and Culture: Scientific Journal*, №6, 114-119 (in Georgian);
 14. Tchitchinadze, Zaza, 1895. *Abbot Petre Kharistchirashvili*, Tbilisi: Publishing House of M. Sharadze & Partnership, Nikea Street №21 (in Georgian).

გაბუნია ოთარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

NI₁-GE₁₁(GI%GI)-ის მნიშვნელობის დაზუსტება ზიუსუდრას მითში(CBS 1·1V¹) და მისი აქადური შესატყვისის NAMMAŠTŪM/NAMMAŠŠŪM ზოგადი სემანტიკის ხელახალი ინტერპრეტაციისთვის

პირობითად ასე მოვიხსენიებთ წარღვნის შესახებ არსებულ შუმერულ მითს მისი მთავარი მოქმედი გმირის სახელის - ზიუსუდრას მიხედვით. მითის ჩანაწერი, სავარაუდოდ, ძვ.წ. XVIII საუკუნეში შუმერულ ენაზე შეუსრულებია ჩვენთვის უცნობ მწერალს შუმერის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ქალაქში, ქვეყნის რელიგიურ და "საუნივერსიტეტო ცენტრ" ნიფურში (მდებარეობდა დღევანდელი ნუფარის ადგილას ერაყში, ქალაქ ნასირი-იდან ჩრდილოეთით 115 კმ-ზე).

ჩანაწერი გაკეთებულია თიხის მოზრდილ ფირფიტაზე, რომლის მხოლოდ ნაწილმა, დაახლოებით მესამედმა, მოაღწია ჩვენამდე. ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ეს მესამედი ნაწილი ფირფიტის მეორე, ქვედა ნახევარს განეკუთვნება. პირველი, დაახლოებით 2/3 ნაწილი ფირფიტისა ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება.

ფირფიტის შემორჩენილი ნაწილი სიგრძე-სიგანით 17,8X14,4 სანტიმეტრია. იგი აღმოჩენილ იქნა 1904 წლის 19 დეკემბერს, ვ. ჰილპრეხტის მეთაურობით მომუშავე პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ქალაქ ნიფურის ნანგრევების შესწავლის დროს. აღმოჩენის შემდეგ ფირფიტა მოათავსეს აშშ-ს ქალაქ ფილადელფიაში არსებული პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში შემდეგი ნომრით: 10673-Ni 19.12.04. აღნიშნულ მუზეუმში დაცული ლურსმული ტექსტების შესწავლის დროს 1912 წელს იგი გამოავლინა ცნობილმა შუმეროლოგმა არნო პოებელმა, რომელმაც ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნა კიდევ მისი ფოტოგრაფია და ლურსმული ტექსტის ავტოგრაფია თავის წიგნში. იმავე წელს გამოსულ მკვლევრის მეორე წიგნში ა. პოებელმა შეიტანა ვრცელი ნარკვევი სათაურით: «A New Creation and Deluge Text», რომელშიაც წარმოდგენილია აღნიშნული ფირფიტის წარმომავლობა-აღწერილობა და ლურსმული ტექსტის ტრანსლიტერაცია-თარგმანი ვრცელი კომენტარებითურთ.

“შუმერული წარღვნის მითი” (ფირფიტა CBS 10673), პირობითად «ზიუსუდრას მითი,» მიუხედავად მრავალი გამოჩენილი მკვლევრის ძალისხმევისა, როგორცაა ა.პოებელი, ს.ნ. კრამერი, თ. იაკობსენი, მ. სივილი და სხვა, დღემდე შეიცავს რიგ საკამათო საკითხებს. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს “შუმერული წარღვნის მითის” (ფირფიტა CBS 10673) ბუნდოვანი მონაკვეთის ახალ ინტერპრეტაციას. კერძოდ, სიტყვა ni₃-ge₁6(GI%GI)-ის მნიშვნელობის დადგენას მითის 49, 253, 260-ე სტრიქონებში.

აღნიშნული სიტყვის ირგვლივ შესწავლილი წყაროების გაანალიზებით, კერძოდ, “გილგამეშის ეპოსის”

ღვთაება ნინქილიმთან დაკავშირებული შელოცვების ტექსტების (ე.წ. «ზუბურუდაბედას» კორპუსი), ასევე “განწმენდითი” (ე.წ. “შურფუს” კორპუსი) ლიტერატურით მდიდარი აშურბანიფალის ბიბლიოთეკისა და სხვა მასალების გამოყენებით, შევეცდებით არა მარტო წამოვაცენოთ სიტყვის ახლებური წაკითხვა «შუმერულ წარღვნის მითში,» არამედ ფართო სპექტრში წარმოვადგინოთ სიტყვის სემანტიკა და ვიმსჯელოთ, რომ შუამდინარელ ხალხთა აღქმაში არსებობდა «ფლორისა და ფაუნის» და ზოგადად, მთელი ცოცხალი სამყაროს (ადამიანის ჩათვლით) შინაარსის გადმოსაცემად ერთი სიტყვა.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სიტყვის - ni₃-ge₁₆(GI%GI) მნიშვნელობა, რომელიც ა. პოებელს უთარგმნელად დაუტოვებია. მ. სივილი კითხულობს როგორც ni₃-ge₁₆ - «ცხოველები» (Animals), თ. იაკობსენი ni₃-gilim - «პატარა ცხოველები» (small animals), (კერძოდ, მღრნელები), ს.ნ. კრამერი - ni₃-gil - უთარგმნელად ტოვებს.

საკითხავია, რამდენად გვაძლევს თავად ტექსტი ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას? განვიხილოთ მითის ფინალური 260-ე სტრიქონი, სადაც კიდევ ერთხელაა გაჟღერებული ჩვენი საკვლევი სიტყვა - ni₃-ge₁₆(GI%GI). მივდივით ტექსტს:

259. u₄-ba Zi-u₄-sud(BU@g)-ra₂ lugal-am₃(A-AN)

260. mu ni₃-ge₁₆(GI%GI)-ma numun-nam-lu₂-ulu₄ uru₃-ak

261. kur-bal kur-Dilmun(NI-TUK)-na ki-^dUtu-e₃(UD-DU)-še₃ mun-til₃-eš(U-U-U)

259. მაშინ ზიუსუდრა, მეფე (სიტყ. “მეფე (რომ) არის”)

260. ni₃-ge₁₆(GI%GI)-ma სახელისა (და) ადამიანთა მოდგმის თესლის გადამრჩენელი

261. სასაზღვრო ქვეყანაში - დილმუნის ქვეყანაში, მზის ამოსვლის ადგილას, დაასახლეს. უკანასკნელ, 261-ე სტრიქონში, აღწერილია ის უმაღლესი ჯილდო - დილმუნის ქვეყანაში

დასახლება, რაც ზიუსუდრამ გმირობისათვის დამსახურა, მაგრამ რაში გამოიხატება ეს გმირობა? წარღვნის მთავარ გმირ ზიუსუდრას, 259-ე სტრიქონის მიხედვით ორი მთავარი დამსახურება მიეწერება: ერთი,

ადამიანთა მოდგმის თესლის გადარჩენა, რაც უდავოა, ხოლო მეორე, ni₃-ge₁₆(GI%GI)-ma-ს გადარჩენა. თუკი თ. იაკობსენის ვერსიას გავყვებით, გამოვა, რომ ღმერთების თვალში ზიუსუდრა იმ მიზეზით ამადლებულა, რომ მას ყოვლისნამლეკავი წარღვნისაგან, «მღრნელთა» თესლიც გადაურჩენია. შუამდინარული კოსმოგენიის გათვალისწინებით, «მღრნელთა» მიმართ ამგვარი ამადლებული დამოკიდებულება, ბუნებრივია, დააეჭვებს მკითხველს.

სწორედ ამ წინააღმდეგობის ახსნას ემსახურება ჩვენი ნაშრომი, სადაც ასევე ლურსმული წყაროების მაგალითზე, განხილული იქნება შუმერთა ზოგადი დამოკიდებულება „ცოცხალ არსებათა“, ე.წ. „აქტიურ (სულიერ) კლასთან“ მიმართებაში.

Otar Gabunia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**IDENTIFICATION OF THE MEANING OF NI-3
GE16(GI%GI) IN ZIUSUDRA MYTH (CBS 10673) AND A
NEW INTERPRETATION OF THE GENERAL SEMANTICS
OF ITS ACADIAN CORRELATE NAMMAŠTŪM/
NAMMAŠŠŪM**

The Sumerian myth about the deluge is arbitrarily called by the name of its main character - Ziusudra. The myth was recorded presumably in the XVIII century BC by an unknown writer in the most ancient and important city of Sumer, the country's religious and "University Centre" Nippur (located in the place of current Nufar, Iraq, 115 km north of Nasiriyah).

The inscription is made on a large clay tablet, only a part of which (approximately one third) has reached our times.

The text proves that this part belongs to the second, lower half of the tablet. The first part, comprising about two thirds of the tablet, is considered lost so far.

The preserved part of the tablet is 17.8 X 14.4 centimeters in size. It was discovered near the ruins of Nippur on December 19, 1904 by the archeological expedition of Pennsylvania University led by V. Hilprecht. The newly discovered tablet was placed at the Museum of Archeology and Anthropology of Pennsylvania University. The number of this exhibit was: 10673-Ni 19:12.04.

In 1912, while studying the cuneiform texts preserved in the above-mentioned museum, the tablet was analyzed by a famous Sumerologist Arno Poebel. Two years later, he published the photograph of the tablet and the autography of the text in his book. In his next book published in the same year, A. Poebel wrote an ample article under the title: "A New Creation and Deluge Text". The article describes the origin of the tablet and offers transliteration-translation of the cuneiform text with detailed comments.

"The Sumerian Myth of the Deluge" (Tablet CBS 10673), - arbitrarily called "Ziusudra's Myth," still contains numerous debatable issues, despite the efforts of numerous scholars like A. Poebel, S.N. Cramer, T. Jakobsen. M. Civil etc.

The given paper offers a new interpretation of a vague passage from "The Sumerian Myth of the Deluge" (Tablet CBS 10673). In particular, the aim is to identify the meaning of the word **ni₃-ge₁₆(GI%GI)** in the lines 49, 253, 260 of the myth.

The analyzed sources regarding the above-mentioned word are: the texts of magic spells related to the deity Ninkilim from the epic "Gilgamesh" (the so-called "Zuburudabeda" corpus); the "Purifying" (the so-called "Shurfu" corpus) literature of the rich library of Ashurbanipal and other materials. Based on this analysis, the paper offers a new reading of the word in "The Sumerian Myth of the Deluge" and analyzes the semantics of the given word in a broad sense. The paper argues that Mesopotamians had one word denoting "flora and fauna" and all living creatures in general (including human beings).

The opinions of scholars vary regarding the meaning of

the word $ni_3-ge_{16}(GI\%GI)$. A. Poebel leaves this word untranslated. M. Civil reads it as $nig-ge_{16}$ - “Animals”, T. Jakobsen explains it as $nig-gilim$ - “small animals”, (namely, rodents), S.N. Cramer leaves the word $nig-gil$ untranslated.

Does the text allow such interpretation? Let us discuss the final 260th line of the myth, which makes mention of the given word - $ni_3-ge_{16}(GI\%GI)$. Let us follow the text:

259. $u_4-ba Zi-u_4-sud(BU@g)-ra_2 lugal-am_3(A-AN)$

260. $mu ni_3-ge_{16}(GI\%GI)-ma numun-nam-lu_2-ulu_4 uru_3-ak$

261. $kur-bal kur-Dilmun(NI-TUK)-na ki-^dUtu-e_3(UD-DU)-še_3 mu-un-til_3-eš(U-U-U)$

259. Then Ziusudra, King (lit. “who is the King”),

260. $ni_3-ge_{16}(GI\%GI)-ma$ Savior of name (and) seed of the human race

261. was given a residence in the adjacent country of Dilmun, at the place of the sunrise.

The final line 261 describes the highest form of award – residence in the country of Dilmun. This award was given to Ziusidra for his heroism. But what heroic act did he commit? The main character of the myth, Ziusidra committed two courageous acts according to line 259: the first act is that he saved the seed of the human race, which is undoubted. The second act is that he saved $ni_3-ge_{16}(GI\%GI)-ma$. Following the version of T. Jakobsen, it turns out that Gods appreciated Ziusidra because he had saved the seed of “rodents” from the deluge. Taking into account the Mesopotamian cosmogony, it seems strange that Gods had such sublime attitude to rodents.

The paper is an attempt to explain this controversy. Based on the examples of cuneiform sources, the paper analyzes the attitudes of Sumerians to the active, “spiritual” class of living beings.

ნანა ცეცხლაძე

მზია სახუტაიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ქართულის, როგორც აგლუთინაციური ენის,
დიგიტალიზაცია ენობრივ მონაცემთა მართვის
თანამედროვე პროგრამულ პაკეტ FLEX-ის
გამოყენებით**

ენათა და კულტურათა დოკუმენტირება-დიგიტალიზაცია თანამედროვე ლინგვისტიკის ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ერთი მხრივ აქტუალურია ძირძველ, ნაკლებად შესწავლილ, უცნობ თუ საფრთხეში მყოფ ენათა დოკუმენტირება. მეორე მხრივ - რესურსების ღიაობა. მხოლოდ თანამედროვე სტანდარტებით გაციფრულებული ღია რესურსები ქმნის მკვიდრ საფუძველს ინტერდისციპლინური კვლევებისთვის.

საქართველოში ციფრული ჰუმანიტარიის ისტორია XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. გლობალურ ტექნოლოგიურ ქსელში საქართველოს ჩასართავად განუზომლად დიდია სამეცნიერო კოოპერაციული პროექტის ქართული ენის ეროვნული კორპუსის (კოორდინატორები: იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი, პაულ მოირერი) როლი. ეროვნული კორპუსის შექმნით დაგროვდა საკმაოდ გამოცდილება დოკუმენტირების შესახებ. საქართვე-

ლოში დოკუმენტირება-არქივირების ძირითადი პრინციპების დანერგვას ემსახურებოდა 2016-2019 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით ბათუმის შოთა რუსთაველისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიגיტალური არქივი“ (Digiarchive) (საგრანტო ხელშეკრულება: NDI 2016-43), რომლის მიზანი იყო აჭარის რეგიონის ზეპირსიტყვიერი მასალების საფუძველზე ოთხი ტიპის (A, B, C, D) რესურსის მომზადება. რესურსების ღიაობისა (OR-Open-Ressource) და მათი გაცვლისთვის (RE-Ressource Exchange) დღითიდღე იხვეწება ენობრივ მონაცემთა დამუშავების პროგრამული პაკეტები. დასახელებულ პროექტში არქივირებული ვიდეომასალების მულტიმედიური ანოტირების, ტრანსკრიბირების, გლოსირებისა და ინტერლინიალიზებისთვის, ენობრივი მონაცემების დამუშავებისათვის გამოიყენებოდა საგანგებო პროგრამა FLEx-ი (Fieldworks Language Explorer) Elan-თან ერთად.

პროგრამულ პაკეტ FLEx-ში ენობრივი მონაცემების დამუშავებისას ჩვენ წინაშე წამოიჭრა არაერთი პრობლემა. ჩვენი მიზანია მოცემული პროგრამის შესაძლებლობების უპირატესობათა და ჩვენი ენის ზოგად თავისებურებათა ასახვის აუცილებლობის ჩვენება, თუ როგორ უნდა მოერგოს ინგლისური (ფლექსიური) ენის სტანდარტს ქართული, რომ მაქსიმალურად კარგად გამოჩნდეს მისი, როგორც აგლუტინაციური ენის, თავისებურებანი; სახელისა თუ ზმნის რომელი კატეგორია უნდა აისახოს დეტალურად, რომელი მათგანის უკეთ წარმოჩენაა ყველაზე საჭირო და აუცილებელი, როგორ შეიძლება ამის მიღწევა ისე, რომ მასალა ზედმეტად არ გართულდეს.

აღნიშნულ პროგრამაში მორფოლოგიური ანალიზისთვის არსებობს 60 კლასი და 185 ველი. Analyze-ის ველში სიტყვების გრამატიკული ანალიზია შესაძლებელი. მორფოლოგიური ანალიზატორით (Parser) შესაძლებელია სიტყვის ფუძის, ძირის, აფიქსების გამოყოფა და მათი სათანადო კვალიფიკაცია. იგი კარგად წარმოაჩენს ენის არსებით თავისებურებებს, დანაწევრების

საშუალებებსა და მორფემათა ფუნქციებს: რა სიტყვათ-
ფორმები არსებობს და რა სახის გრამატიკული, სემანტი-
კური და პრაგმატიკული კატეგორიები გადმოიცემა მოცე-
მულ ენაში მორფოლოგიური საშუალებებით.

მასალების ბუნებრივ სიტუაციაში ჩაწერის, დიგიტა-
ლიზაციის და აბსოლუტური სიზუსტით ანალიზის, მათი
თარგმნის შემდეგ მონაცემთა ველები შეივსება და კა-
რგად გამოჩნდება ის თავისებურებანი, რომლებიც აქვს
ინგლისურ ენას და არ არის ქართულში. მაგალითად:
გრამატიკული სქესი, არტიკლი, სუპინუმი და გერუნდივი
და ა.შ. ეს ველები თავისთავად ცარიელი რჩება, მაგრამ
პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისა და ენათა
საზოგადო სურათის შესაქმნელად საჭირო ხდება ისეთი
ველების დამატებაც (Add new Sense), რომლებიც წარმო-
აჩენს ქართული ენის მთავარ განმასხვავებელ ნიშნებს.
ცალკეული ენის სპეციფიკურობის წარმოჩენა სასურვე-
ლიცაა და აუცილებელიც.

განსაკუთრებით გამოსაკვეთია ზმნის სირთულე
და სპეციფიკურობა ქართულში: პოლიპერსონალურობა,
მწკრივები, თემის ნიშნები, ქცევა, ზმნისწინის (ოდნაობი-
თობა, გადაჭარბებითობა, თითობა, ინხოატივი) და ვნე-
ბითი გვარის სემანტიკური ნიუანსები (მიჩნევის, გუნების,
შესაძლებლობის, უნებლიობის ვნებითი).

არსებით სახელში გამოსაყოფია ტოპონიმები,
ჰიდრონიმები, ზოონიმები, ფლორონიმები და ა.შ. და-
სამატებელია ნაცვალსახელთა ჯგუფები: ჩვენებითი
(Demonstrative Pronoun DEM), კითხვითი (Interrogative
Pronoun), განსაზღვრებითი (Definite Pronoun DEF); უნდა
გამოჩნდეს სპეციფიკური ბრუნვები (მოთხრობითი) და
ბრუნების თავისებურებანი ქართულში.

უნდა დაემატოს ზმნიზედის ((ადგილის -Adverb of
Place ADVPL), დროის (Adverb of Time ADV), მიზეზის (Adverb of
Cause ADVC), მიზნის (Adverb of Purpose ADVPR), ვითარების
(Adverb of Manner ADVPM), შორისდებულთა (Intermediate),
ნაწილაკთა ((Particle PTC) უარყოფითი (Negative Particle
NPTC); დადასტურებითი (Positive Particle PPTC), კითხვითი
(Question Particle QPTC)) ჯგუფები.

საჭიროა ცალ-ცალკე მიეთითოს კომპოზიტი

(Compound) და რთული ზმნა (Verbal compound).

დასამატებელია წარმოქმნილ სახელთა ჯგუფებიც: ხელობის (Agentive AGT), დანიშნულების (Designative DSG), წინარევიტარების (Pre-State PRST), ქონების (Having HA V); უქონლობის (Privative PRTV); წარმომავლობის (Origin ORG), აბსტრაქტული (Abstract ABS) გეოგრაფიული (Geographical GEO), კნინობითი (Diminutive DMN), კოლექტიური მრავლობითის (Collective COLL) ფორმებიც.

FLEx-ში მითითებულია მხოლოდ ინფინიტივი, ამიტომ დაგვჭირდება ველის დამატება. ინფინიტიური კონსტრუქცია დასტურდება ძველი ქართული ენის ძეგლებში, ინფინიტივი გვაქვს ინგლისურში, ფრანგულში, ბასკურში, სემიტურ ენებსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში. არ გვაქვს ქართველურ ენებსა და აფხაზურში.

საწყისის ფორმათა დიგიტალიზაციისას უნდა გამოჩნდეს განსხვავება როგორც მასდართან, ისე ევროპულ ენათა ინფინიტივთან; ამით მომხმარებელი შეძლებს საკითხის არამართო სინქრონიულ, არამედ დიაქრონიულ ასპექტში შესწავლასაც.

მოკლედ, თუ პროგრამის მიზანი ერთი მხრივ ინგლისური ენის სტანდარტზე მორგებაა, რომ მეტად გასაგები იყოს მკითხველისთვის, მეორე მხრივ, აუცილებელია ქართული ენის ბუნებისთვის მეტად მისადაგება, დახვეწა და მისი სპეციფიკურობის გამოჩენა. ეს განსაკუთრებით საინტერესო და ღირებულია როგორც კონკრეტული ენის საკვლევად, ისე ენის ისტორიის ზოგადი საკითხების შესასწავლად.

თუ დავუკვირდებით, აღნიშნულ პროგრამაში მუშაობისას აქცენტი უნდა გაკეთდეს საკითხების არა იმდენად ღრმა და დეტალურ ანალიზზე, რამდენადაც მთავარი და არსებითი ნიშნების გამოკვეთაზე. პირველისთვის არსებობს ცალკეული ველი, სადაც მიეთითება საკითხთან დაკავშირებული კვლევები, სამეცნიერო ლიტერატურა.

ამგვარმა მუშაობამ წამოჭრა ბევრი საჭირობოროტო საკითხი. აღნიშნული პროგრამული პაკეტით დიგიტალიზაციის დროს, ისევე როგორც ქართული ტექსტების უცხოურ ენებზე თარგმნისას, ლექსიკონებზე მუშაობისას საჭიროა ქართული ენის გრამატიკის ცალკეულ საკი-

თხთან დაკავშირებული განსხვავებული თვალსაზრისების შეჯერება და ტერმინოლოგიური სიჭრელის დაძლევა; რომელი ტერმინი უნდა გამოვიყენოთ ცალკეული გრამატიკული კატეგორიის, მოვლენის თუ მეტყველების ნაწილის აღსანიშნავად.

FLEx-ის გრამატიკის ესკიზით საბოლოოდ მიიღება გრამატიკის ავტომატური აღწერა. გაციფრულებული ფაქტობრივი მონაცემები ენათმეცნიერთა ჰიპოთეზების შემოწმების და შესაბამისად, არასწორი მეცნიერული დასკვნების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, ქართული ენის დიგიტალიზაციის, რესურსების ღიაობის, გრამატიკული სტრუქტურის მისაწვდომობისა და გასაგებობისთვის საჭიროა პროგრამა FLEx-ის უპრეცედენტო შესაძლებლობების მორგება ქართული ენის სპეციფიკისთვის, აუცილებელია ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის, თავისებურებათა წარმოსაჩენად აღნიშნულ პროგრამაში სპეციფიკური გრამატიკული კატეგორიების (განსაკუთრებით ზმნის ზოგი კატეგორიის) ასახვა. ამასთან, საჭიროა ოპტიმალური მიდგომის შემუშავება, რათა ქართული ენის თავისებურებანი დაუძლეველ სირთულედ არ იქცეს.

საჭირობორთო საკითხების სიღრმისეული, კომპარატიული შესწავლის შემდეგ პროგრამულ პაკეტში ველების ეტაპობრივად დამატება შესაძლებელს გახდის ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის სრულყოფილად გადმოცემას, რაც შემდგომ საფუძვლად დაედება ინტერდისციპლინურ კვლევებს.

Nana Tsetskhladze

Mzia Khakhutaishvili

Batumi Shota Rustaveli State Univeristy

DIGITALIZATION OF THE GEORGIAN LANGUAGE AS AGGLUTINATIVE LANGUAGE USING MODERN DATA MANAGEMENT PROGRAMMING PACKAGE FLEX

Documenting and digitalization of languages and cultures is one of the most vital problems of modern linguistics. On one hand, it is important to document ancient, unexplored endangered languages; on the other hand, it is important to ensure openness of resources. Only open resources digitalized on basis of modern standards can create solid basis for interdisciplinary research.

The history of digital humanities has started in Georgia since 80s of XX century. The role of scientific cooperative project of Georgian Language National Corpus (coordinators: Iost Gipert, Manana Tandashvili, Paul Moyerer) is tremendous for integration of Georgia into global technological network. During creation of national corpus sufficient experience on documenting has been accumulated. The joint scientific project of Batumi Shota Rustaveli University and Frankfurt Goete University “Linguocultural Digital Archive” (Digiarchive) (grant agreement №DI 2016-43) implemented in 2016-2019 served for incorporation of basic principles of documenting and archiving. The aim of this project was to prepare four types of resources (A,B,C,D) on basis of verbal resources of Ajara region. The programming packages for processing of language data are constantly being refined to ensure openness of resources (OR) and for resource exchange (RE). Such programs as FLEX (Sense fieldworks Language Explorer) and Elan were used to pro-

cess language data, archived video materials, multimedia annotations, transcribing, glossary, and internalizations in the above-mentioned projects.

During processing of language data, we have confronted several problems in programming package FLEX. Our aim is to find out the advantages of this program and necessity to reveal the general specifics of our language: how should Georgian language conform to English language standard (inflection), so that its specifics of agglutinative language are revealed in the best possible way; which noun or verb category should be shown in details, which of them should be revealed and shown better and how it is possible to reach this to avoid complication of material.

There are 60 classes and 185 sense fields for morphological analysis in the above-mentioned program. It is possible to implement grammatical analysis of the words in the "Analyze". It is possible to single out the root of the word, the basis, affix, their classification by means of morphological analyzer Parser. It reveals the essential features of the language, means of subdivisions and functions of morphemes: what word forms exist and which grammatical, semantic and pragmatic categories are expressed in the given language by morphological means.

During recording, digitalization and analysis with absolute exactness of the materials in natural situations, the data sense fields will be filled after their translation and the specifics characteristics of the English language but not characteristic of the Georgian language will be revealed. For example: grammatical gender, article, supinum and gerund. These sense fields are left unfilled but in order to ensure successful functioning of the program and general picture of the language it is necessary to add new sense fields (Add new Sense field), that will reveal main distinguishing features of the Georgian language. The revelation of the specifics of different languages is desirable and necessary.

The complicated forms of the Georgian verb and specifics should be singled out. They are: polypersonal character, tense-aspect, stem markers, transformation, prefixes

and semantic nuances of passive voice (passive of consideration, mood, possibility and involuntariness).

It is necessary to single out the following categories in nouns: toponyms, hydronyms, zoonyms, floronyms, etc. It is necessary to add pronouns groups: Demonstrative Pronoun DEM, Interrogative Pronoun, Definite Pronoun DEF; specific cases should be revealed (Relative) and also specifics of conjugation of verbs in the Georgian language.

It is necessary to add Adverb of Place ADVPL, Adverb of Time ADV, Adverb of Cause ADVC, Adverb of Purpose ADVPR, Adverb of Manner ADVM, Intermediate, Particle PTC, Negative Particle NPTC; Positive Particle PPTC, Question Particle QPTC groups.

It is necessary to ensure that Compound and Verbal compound are indicated individually.

It is also necessary to add groups of derived nouns: Agentive AGT, Designative DSG, Pre-State PRST, Having HA V; Privative PRTV; Origin ORG, Abstract ABS, Geographical GEO, Diminutive DMN, Collective COLL forms.

Only Infinitive is indicated in FLEX, therefore it will be necessary to add sense field. Infinitive structure can be found in linguistic monuments of old Georgian language, we have got infinitive in English, French, Bask, Semitic languages and some Iberian-Caucasian languages, yet there is no infinitive structure in Kartvelian languages and Abkhazian.

During digitalization of initial forms, the difference between Masdar and also European languages' infinitives should be shown; the users will be able to study this issue not only in synchronic aspect but also in diachronic aspect.

The aim of the program is to make Georgian language conform to the standard in order to make it more understandable for the reader, and also to reveal the specifics of the Georgian language. It is especially interesting and valuable for research of one concrete language and to study general issues of the history of the language.

If observed carefully, the accent in the above-mentioned program should be made not on the deep and detailed analysis but on the revelation of main and essential features. There

is a sense field for the first aim in which the research, scientific literature related to the issue will be indicated.

This work induced a lot of vital questions and issues. To be more concrete, during digitalization with the above-mentioned programming package, when translating Georgian texts into foreign languages, during work on dictionaries it is necessary to summarize different opinions regarding issues of Georgian grammar and to deal with terminological variety; which term should be used to indicate concrete grammar category, phenomenon and part of speech.

By means of outline of FLEX grammar the automatic description of the grammar can be accepted. Digitalized factual materials for checking the hypothesis of linguists enable to avoid incorrect scientific conclusions.

So, it is necessary to use unprecedented abilities of FLEX program in order to ensure digitalization, openness of resources, availability and understanding of grammar structures of the Georgian language. It is necessary to reveal specific grammar categories (especially of some verb categories) to show specifics of Georgian language as agglutinated language. It is necessary to work out optimum approach to avoid complications due to the specifics of Georgian language.

After deep and comparative study of the issues the gradual adding of sense fields in programming package will enable expressing grammar structures of Georgian language perfectly, that can be used as a basis of interdisciplinary research.

თორნიკე პოილარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ARMAI- ხეთური ზმნის გააზრებისათვის

ჩემი მოხსენება ხეთურ ზმნას - *armai-*ის უკავშირდება, რომელიც ხეთოლოგთა შორის „ფეხმძიმედ ყოფნად“ გაიაზრება - [UM-MA] Pit-te-i ma-a-an SAL-za DUMU-an ar-ma-iz-zi '[Thus says] Pittei: When (a woman) is pregnant with child' (Beckman G. M., Hittite Birth Rituals, Wiesbaden, 1983 : 176), (Starke F., Die keilschrift-luwischen Texte im Umschrift, Wiesbaden, 1985 : 233). მოცემული ზმნა თავისი არსიდან გამომდინარე, ჩემთვის სხვადასხვა მნიშვნელობის კვლევის საგანს წარმოადგენს, რაზედაც საუბარი დოქტორანტის სემინარის ფარგლებში, კონკრეტულად KUB 44.4 ხეთური ფირფიტის წინა მხარის ტექსტის გააზრებაში მქონდა. ზემოთ თქმულ კვლევაში არ ვეთანხმებოდი რა ბეკმანისა და შტარკეს აზრს მოცემული ზმნის ანალიზისა და თარგმნისას, განსხვავებულ აზრს ვავითარებდი. კერძოდ, ვვარაუდობდი, რომ კონკრეტული ზმნა როგორც არსიდან, ასევე ხეთური ენის სტრუქტურიდან და ფირფიტის შინაარსიდან გამომდინარე არა დაფეხმძიმებაზე, არამედ გარკვეული სახის უნმინდურებაზე მიაწინებდა.

რაც შეეხება *armai-* ზმნის ინტერპრეტაციას: მოცემული ზმნა, ხეთოლოგთა მტკიცებით, ხეთური სიტყვა *arma-* დან მომდინარეობს, რომელიც პალეო ინდო-ევროპული წარმოშობის უნდა ყოფილიყო *h₁(o)r-mo- (?) (Kloekhorst A., An Etymological Dictionary Of the Hittite Inherited Lexicon : 57) და მთვარეს აღნიშნავს. თუმცა, მოცემული გააზრება ქართველ ხეთოლოგთა შორის სადავოა, რადგან ხეთური მთვარე არა ინდო-ევროპულ ბუნებას ავლენს და ასევე

მთვარის აღსანიშნავი arma- ძირი ამავე მნიშვნელობით, მხოლოდ ანატოლიურ, ხეთურის მონათესავე ლუვიურ, ლიდიურსა და ლიკიურ ენებში ფიქსირდება.

ხეთოლოგთა შორის აქამდე არსებული გააზრებით, armai- ძირის ზმნა „(ბავშვის) ჩასახვა, დაფეხმძიმება“ ასახავს:

armai- ‘be pregnant’

armahh- ‘make pregnant, impregnate’, -za armahh- ‘become pregnant, conceive’.

ხეთოლოგთა შორის გაურკვეველია და ღიადაა დატოვებული კიდევ ერთი arma- ძირის ზმნის გაარსებითებული ფორმა arman-/ erman- / irman-, რომელიც ასევე მთვარესთანაა კავშირში და ავადმყოფობას უნდა აღნიშნავდეს, თუმცა ზუსტი ეტიმოლოგია უცნობია, თუ რომელ ზმნის ძირთან კავშირში უნდა გავიაზროთ (Puhvel J., Hittite Etymological Dictionary Volume 1: Words beginning with A : 157).

ამ პრობლემის მიმოხილვისთვის ფუჰველი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში თიშლერის პოზიციას მოიხმობს, რომელიც საკითხს ამგვარად აჭამებს: „Ohne sichere Etymologie, vielleicht besteht eine Beziehung zu ➔ arma- ‘Mond, Monat’ (schon gelegentlich vermutet, so Kronasser EHS 430 ‘eine des Mondes’ (sein) ?), vgl. lat. mensis, menstruare usw., aber auch die Grundbed. von mensis, μην usw. als eine bestimmten Zeitspanne. Abwegig Laroche RHA 9/49, 1948-49, S.21 Kronasser VLFH 39, 242 (zu ➔ irma- ‘krank’, wozu singulaeres ➔ armala- ‘krank’, ➔ armaniya- ‘erkranken’: Schwangerschaft ist keine Krankheit!)“ (Tischler J., Hethitisches Etymologisches Glossar, Teil I, a-k : 63)

საყურადღებოა ასევე ფრიდრიხის და კამენჰუბერის პოზიცია KUB 44.4 ტექსტის გააზრებისას, სადაც ის armai- ზმნის გაგებას როგორც „ჩასახვა, დაფეხმძიმება“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს: “wenn er/sie ein Kind/ einen Sohn a.” (Friedrich J., Kammenhuber A., Hethitisches Woertbuch Band I: A, Heidelberg, 1984 : 324).

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, KUB XLIV.4 და KBo XII 112 ფირფიტის ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით ვფიქრობ, რომ მოცემული ზმნა ხეთურად მთვარის ერთგ-

ვარ ზემოქმედებას, 'შელოცვას' შეიძლება ასახავდეს:
KUB XLIV.4

წინა მხარე - 1. [UM-MA] Pit-te-i ma-a-an DUMU-an ar-ma-iz-zi

'ამგვარად (ამბობს) პითი, როდესაც ბავშვს შეულოცავს:'

ტექსტში შემდეგ ამას მოჰყვება ბავშვის ავადმყოფობის არსის ახსნა და შელოცვის ფორმულა. ისევე როგორც ეს KBo XII 112 ფირფიტის შემთხვევაში:

13. [UM-MA SA.ZU ma-a-an DUMU-an] ar-ma-a-iz-zi na-an kis-an hu-u-uk-zi

(შდრ. ([ma-a-an SAL-za DUMU-an?] ar-ma-a-iz-zi) Beckman G. M., *Hittite Birth Rituals*, Wiesbaden, 1983:80).

'ამგვარად ამბობს SA.ZU ბებია ქალი, როდესაც ბავშვს შეულოცავს, ამგვარად წარმოთქვამს/შეულოცავს:'

მოსხენებაში ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა არგუმენტი ზემოთ თქმული პოზიციის გასამყარებლად და ახსნილია ზმნის ძირის ჩემუელი ინტერპრეტაცია.

ornike Poilarishvli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ON THE MEANING OF THE HITTITE VERB *ARMAI*

The paper focuses on the Hittite verb *armai*. According to the specialists in Hittite, this verb denotes “pregnancy” - [UM-MA] Pit-te-i ma-a-an SAL-za DUMU-an ar-ma-iz-zi ‘[Thus says] Pittei: When (a woman) is pregnant with child’ (Beckman G. M., *Hittite Birth Rituals*, Wiesbaden, 1983 : 176), (Starke F., *Die keilschrift-luwischen Texte im Umschrift*, Wiesbaden, 1985 : 233). Due to its meaning, this verb enables the research of different semantics. I have discussed this issue at the seminar of doctoral students,

where I focused on the text of the front side of Hittite tablet KUB 44.4. In this paper, I disagreed with Beckman and Starke's analysis and translation of the verb in question. I argued that, taking into consideration the meaning of the verb, as well as the structure of the Hittite language and the content of the tablet, the verb under analysis denotes certain impurity and not pregnancy.

As for the interpretation of the verb *armai*: according to specialists in the Hittite language, this verb is derived from the Hittite word *arma-*, which is of Paleo Indo-European origin **h₁(o)r-mo-* (?) (Kloekhorst A., *An Etymological Dictionary Of the Hittite Inherited Lexicon* : 57) and denotes the moon. However, opinions of Georgian specialists of Hittite are different, because the Hittite Moon reveals a non-Indo-European nature. Besides, the root *arma-*, which also denotes the moon, is found in this meaning only in Anatolian languages related to Hittite, namely, Luwian, Lydian and Lycian languages.

According to the widespread opinions of scholars, the root *armai-* denotes "impregnation": -

armai- 'be pregnant'

armahh- 'make pregnant, impregnate', *-za armahh-* 'become pregnant, conceive'.

Specialists in the Hittite language have not yet identified the meaning of the substantivized form of the verbal root *arma-*, namely the forms *arman-* / *erman-* / *irman-* which are also connected to the moon and, supposedly, denote illness. However, the exact etymology is unknown, and it is still unclear with which verbal root it is connected (Puhvel J., *Hittite Etymological Dictionary Volume 1: Words beginning with A*: 157).

In order to analyze this problem, in his "Etymological Dictionary" Puhvel applies to Tischler, who summarizes the issue as follows: - "Ohne sichere Etymologie, vielleicht besteht eine Beziehung zu ➔ *arma-* 'Mond, Monat'

(schon gelegentlich vermutet, so Kronasser EHS 430 'eine des Mondes' (sein) ?), vgl. lat. mensis, menstruare usw., aber auch die Grundbed. von mensis, μην usw. als eine bestimmten Zeitspanne. Abwegig Laroche RHA 9/49, 1948-49, S.21 Kronasser VLFH 39, 242 (zu ► irma- 'krank', wozu singulaeres ► armala- 'krank', ► armaniya- 'erkranken': Schwangerschaft ist keine Krankheit!)"(Tischler J., Hethitisches Etymologisches Glossar, Teil I, a-k : 63)

We should also take into account the position of Friedrich and Kammenhuber regarding the text of KUB 44.4. These scholars question the fact that the verb armai- means impregnation, conception: "wenn er/sie ein Kind/einen Sohn a." (Friedrich J., Kammenhuber A., Hethitisches Woertbuch Band I: A, Heidelberg, 1984 : 324)

As for my position, based on the analysis of texts of tablets KUB XLIV.4 and KBo XII 112,

I argue that the Hittite verb in question denotes a kind of lunar influence, a magic spell:

KUB XLIV.4

Front side - 1. [UM-MA] Pit-te-i ma-a-an DUMU-an ar-ma-iz-zi

'Thus (speaks) Pith, when casting a magic spell on a child:'

This passage of the text is followed by the description of the child's illness and a magic formula, same as in case of Tablet KBo XII 112:

13. [UM-MA SA.ZU ma-a-an DUMU-an] ar-ma-a-iz-zi na-an kis-an hu-u-uk-zi

(cf. ([ma-a-an SAL-za DUMU-an?] ar-ma-a-iz-zi) Beckman G. M., Hittite Birth Rituals, Wiesbaden, 1983:80)

"Thus speaks midwife SA.ZU, when casting a magic spell on the child."

The paper provides different arguments for proving the above-mentioned opinion and gives a new, original interpretation of the verbal root under analysis.

მაია ბარნაველი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„მამაო ჩვენო“ ლოცვის სხვადასხვა ვარიანტები ძველ ქართულ ხელნაწერებში

დიდი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმიდელის რედაქციით გამართული ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა“. სწორედ ეს უძველესი თარგმანია ჩვენი საბანმიდური ოთხთავი (H-999), რომელიც პირველად არასრულად (9 გვერდი) ამოიკითხა ივანე ჯავახიშვილმა, ხოლო 2012 წელს სპეციალური ტექნიკის დახმარებით სრულად ამოკითხვა შეძლო და კვლევა დაურთო მკვლევარმა ლამარა ქაჯაიამ.¹ ამ ხელნაწერის პირველი ნაწილი შეიცავს ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტებს, ხოლო მეორე ნაწილი - 13 ფურცელი - მათეს და ლუკას სახარების ნაწყვეტებს, მათეს სახარება 18 გვერდია, ლუკას სახარება მოიცავს 8 გვერდს.

საბანმიდურ ოთხთავში, რომელიც ძველმა ქართულმა პალიმფსესტმა შემოგვინახა, საინტერესო უძველესი რედაქციაა ფრაგმენტულად შემორჩენილი იმ ერთადერთი ლოცვის ტექსტისა, რომელიც თავად იესო ქრისტემ ასწავლა მოწაფეებს - როგორ უნდა ელოცათ ღვთის წინაშე. ეს ლოცვა მოცემულია ოთხთავის მხოლოდ ორ თავში - მათეს და ლუკას სახარებებში. საბანმიდური ტექსტი, რომლის შესაბამისი ფრაგმენტი მხოლოდ მათეს სახარების ტექსტითაა შემორჩენილი, სხვებისგან - მათ შორის ათონური ტექსტებისგან - განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს: „...პური ჩუენი სამარადისოჲ მომეც ჩუენ დღეს [და მომიტ]ევენ ჩუენ [თა]ნა-ნადებნი ჩუენნი, რადთა ჩუენცა მიხუტეოთ თანამდებთა ჩუენთა“. მათე 6,

¹ საბანმიდური ოთხთავი, პალიმფსესტი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი სიტყვა და ლექსიკონი დაურთო ლამარა ქაჯაიამ.

12.

ასეთივე კავშირი „რადთა“ გვხვდება ადიშის (897 წ.) ოთხთავშიც (მათე,6,12), „რადთა ჩუენცა მიუტევნეთ“. ასევე, ადიშის ოთხთავში გვაქვს - პური ჩვენი სამარადისოდ, მსგავსად საბანშიდურისა. მხოლოდ, როგორც ვნახეთ, ხანმეტობით სხვაობს საბანშიდური ადიშის ოთხთავის შესაბამისი ტექსტისგან. საინტერესოა, რომ ამ ზმნის მეორე კავშირებითის ფორმაა შემონახული ურბნისის ოთხთავში (მე-10 ს. დასაწყისი, კ. კეკელიძე 906 წლით ათარილებს)¹ - „ვითარცა ჩუენცა მიუტევნეთ ...“. ასევე შევადარე ეს ადგილი ოთხთავში ლუკას თავში მოცემულ იესოს ლოცვას, რადგან მარკოზთან და იოანესთან არ გვაქვს ეს ტექსტი და იქ ცალსახად ათონურშიც და წინარე-ათონურშიც გამოყენებულია კავშირი „რამეთუ“. „რადთა“ შინაარსობრივად უფრო დგას კავშირთან „რამეთუ“, რომელსაც ცალსახად ყველა ხელნაწერი იმეორებს. ლუკას სახარების მეთერთმეტე თავში მოცემულ იესოს ლოცვის ყველა ხელნაწერი გვიჩვენებს, როგორც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ასევე ათონურ რედაქციებამდელი, წინარეათონური თარგმანები. ისიც საინტერესოა, რომ ლუკას სახარება ასევე ყველა ქართულ (და სხვა თარგმანებშიც) ვერსიაში, და ბერძნულშიც, ერთხელ ამბობს „ცოდვებს“ და მეორედ - ვალებს (მოვალეებს). ლუკას სახარებაში წერია: „და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევნეთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა“, რაც ახალ ქართულად ნიშნავს „გვაპატიე ცოდვები, რომ ჩვენც ვაპატიოთ ჩვენს მევალებს“. „მიუტევებთ“, მეორე კავშირებითის ფორმა, რომელიც შინაარსობრივად გამოხატავს მომავალ დროს (ასპექტი სრული), და თხრობით კილოს². ანუ აქ იგულისხმება: როგორც ჩვენგან მიტევებულ იქნებიან (ჩვენი მევალებები)...

ამ ტექსტში, რაც აზრობრივ განსხვავებას გვაძლევს დღეს მიღებული გიორგი მთაწმიდლისეული და ექვთიმეს თარგმანად მიჩნეული მათეს თავის თარგმანიდან, არის კავშირი „რაითა“, რაც არ ნიშნავს „ვითარცას“. ამ კონტექსტში ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, 1960, გვ. 412.

2 ზ. ჭუმბურიძე, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები,11, თსუ, 2004, გვ. 55-76.

ლუკას სახარების თარგმანში ამ კავშირთან შინაარსით ახლოს მდგომი კავშირია „რამეთუ“.
ვნახოთ რა ვითარებაა ძველ ბერძნულში, მათეს სახარებაში:

Πάτερ ἡμῶν ὁ ἐν τοῖς οὐρανοῖς·

ἀγιασθήτω τὸ ὄνομά σου·

10ἐλθέτω ἡ βασιλεία σου·

γενηθήτω τὸ θέλημά σου,

ὡς ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ γῆς·

11τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δὸς ἡμῖν σήμερον·

12καὶ ἄφεξ ἡμῖν τὰ ὀφειλήματα ἡμῶν,

ὡς καὶ ἡμεῖς ἀφήκαμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν·

როგორც ვხედავთ, აქ ორივე შემთხვევაში ვალზე და მოვალეებზეა საუბარი, ხოლო, რაც შეეხება კავშირს „აჲ“, მისი თარგმანია: „ვითარცა, ასევე; იმდენად, რამდენადაც; რადგან, რამეთუ. ასეთივე სურათია ლათინურ ტექსტშიც:

Pater noster, qui es in caelis;

sanctificetur nomen tuum;

adveniat regnum tuum;

fiat voluntas tua,

sicut in caelo et in terra.

Panem nostrum cotidianum da nobis hodie;

et dimitte nobis debita nostra,

sicut et nos dimittimus debitoribus nostris;

et ne nos inducas in tentationem;

sed libera nos a malo.

Sicut-Just as, as if, exactly as, so as-კავშირი sicut-„

როგორც“, რამდენადაც, ისევე როგორც, რამეთუ,

რადგანაც.

უძველეს თარგმანებშიც და ათონურშიც ამ „ვითარცა“ მაგივრად არის „რამეთუ“, თან ამ ტექსტში (ლუკას თავში) პირველი „თანანადების“ მაგივრად ყველგან, მათ შორის ბერძნულშიც, ჩანს „ცოდვანი“ „თანანადების“ ნაცვლად. მოვიყვანთ ამ მუხლს სრულად. (საბანმიდურ 198

ჩვენ მიერ განხილულ პალიმფსესტში ლუკას სახარების ეს ნაწილი არ გვაქვს):

„ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რამეთუ რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღითი-დღედ. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსნენ ჩუენ ბოროტისაგან“ (ლუკა, 11, 2-4).

ბერძნული დედანი:

νοῦς οὐκ ἐν τῷ νῦν ἔστιν

·ναρέμή ‘θακ ὅτ νῦν ἔστιν

,νῦν ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν

ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν

·νῦν ἔστιν ἔστιν

ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν ἔστιν

·νῦν ἔστιν

როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანი სრულად იდენტურია ბერძნულის.

ანუ ჩვენ განვიხილეთ ერთი და იმავე ლოცვის ფრაზის¹ სხვადასხვა ვერსია ძველ ქართულ თარგმანებში და შევუდარეთ ის ძვ. ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, რუსულ ვერსიებს. თავად სახარების სხვადასხვა თავში ეს ლოცვა ოდნავ სხვაობს ორიგინალშიც და თარგმანებში, და, ამას გარდა, ქართული უძველესი თარგმანები (მათეს თავში მოცემული ტექსტის) გვიჩვენებს კავშირ „ვითარცას“ ნაცვლად „რადთას“, რაც არის ერთ-ერთი მნიშვნელობა ბერძნული შესაბამის ტექსტში მოცემული კავშირისა აც.

ამ ლოცვის იგივე ფრაზა შევადარეთ ასევე სო-1 და მომიტევენ ჩუენ თანანადებში ჩუენნი, რადთა ჩუენცა მიუტეოთ თანამდებთა ჩუენთა (მათე 6,12)

და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევენთ ყოველთა თანამდენთა ჩუენთა...(ლუკა 11, 4)

მხურ, იტალიურ, რუსულ, ინგლისურ ტექსტებს, რომ ვაჩვენოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ სხვადასხვა ენაზე, საინტერესოა ნიუანსური, ან შინაარსობრივი, აზრობრივი სხვაობა-მსგავსება მათ შორის.

Maia Barnaveli

The National Centre of Manuscripts

DIFFERENT VERSIONS OF “THE LORD’S PRAYER” IN OLD GEORGIAN MANUSCRIPTS

In the preface to the Gospels, edited by an outstanding Georgian religious figure Giorgi Mtstsmindeli, there are the following lines: “All our Gospels are translated accurately and kindly, including the Khanmeti and the Sabatsminda ones”.

The Sabatsminda Gospels (H-999) are one of the most ancient translations. Ivane Javakhishvili analyzed one part of this translation (9 pages). In 2012, using a specific technique, the translation was completely read and analyzed by Lamara Kajaia.¹ The first part of the manuscript contains fragments of Khanmeti lectionary, whereas the second part, consisting of 13 papers, contains fragments from the Gospels of Mathew and Luke. Mathew’s Gospel embraces 18 pages, whereas Luke’s Gospel consists of 8 pages.

Sabatsminda Gospels, preserved by an Old Georgian palimpsest, contain an interesting ancient edition of fragments of the prayer taught by Jesus himself to his disciples. This prayer is given only in two out of the four Gospels – Mathew’s and Luke’s Gospels. Sabatsminda text, the corresponding fragment of which is preserved in the form of Mathew’s Gospel,

¹ Sabatsminda Gospels, Palimpsest, prepared for publication and appended with introduction and glossary by Lamara Kajaia
200

contains a text of this prayer which differs from other texts, including the Atonite one. This text says: "...Give us this day our eternal bread and forgive us our trespasses so that we forgive our trespassers"..Mathew 6, 12.

The conjunction "so that" is also found in Adishi Gospels (897) (Mathew, 6, 12), "so that we forgive". Adishi Gospels also mention "our eternal bread". The difference between the texts of Sabatsminda and Adishi Gospels is only in Khanmeti. Interestingly enough, the second subjunctive form of the same verb has been preserved in Urbnisi Gospel (beginning of the 10th century, K. Kekelidze dates it by 906)¹ - „ვითარცა ჩუენცა მიუტევნეთ ...“ (so that we forgive). I have compared this text of the Gospels and Jesus' prayer given in Luke's Gospel (because this prayer is not found in either Mark's or John's Gospels). Both Atonite and pre-Atonite versions mention the conjunction „რამეთუ“ (as). The conjunction „რათა“ (so that) is semantically close to the conjunction „რამეთუ“ which is given in all manuscripts. All the manuscripts give the "Lord's Prayer", Chapter 11 of Luke's Gospel. These manuscripts are made by Ekvtime and Giorgi Mtatsmindeli, and the translations are made in the pre-Atonite and Atonite periods. It should be mentioned that, both the Georgian and Greek (as well as other language versions) of Luke's Gospel first mention "sins" and later – "trespasses" (trespassers). Luke's Gospel says: "Forgive us our sins as we will forgive our trespassers" i.e. "forgive us our sins so that we forgive our debtors"

„მიუტევებთ“ "we will forgive" is a form of second subjunctive, referring to future time (perfect aspect) indicative mood². The meaning is: so that our trespassers will be forgiven by us...

The semantic difference in the edition of Giorgi Mtatsmindeli and the translation of Mathew's Gospel, supposedly made by Ekvtime Mtatsmindeli, is due to the conjunction „რათა“ (so that), which does not mean „ვითარცა“ (as). Luke's Gospel, edited and translated by Ekvtime and Giorgi Mtatsmindeli, offers a semantically similar conjunction „რამეთუ“ (so that).

Let us compare the Greek version of Mathew's Gospel:

¹ K. Kekelidze, The History of Georgian Literature, v.1, 1960, p.412

² Z. Chumberidze. Papers of the Chair of Old Georgian Language, 11, TSU, 2004, pp.55-76
201

·ζῖοναρυό ζῖοτ νέ ό νῶμή ρετάρΠ
·υοσ άμονό ότ ωτήθσαιγά

·υοσ αίελισαβ ή ωτέθλέ·\`
,υοσ άμηλέθ ότ ωτήθηνεγ
·ζήγ ιπέ ιακ ῶναρυό νέ ζώ

·νορεμήσ νίμή ζόδ νοισύοιπέ νότ νῶμή νοτρά νότ\` \`

,νῶμή αταμήλιεφό άτ νίμή ζεφά ιακ\` \`
·νῶμή ζιατέλιεφό ζῖοτ νεμακήφά ζεμή ιακ ζώ

As we see, in both cases, the prayer mentions debts and debtors. As for the conjunction „ως“, it can be translated as follows: „so that, also, as, since, because“..

The situation is similar in the Latin text:

Pater noster, qui es in caelis;
sanctificetur nomen tuum;
adveniat regnum tuum;
fiat voluntas tua,
sicut in caelo et in terra.
Panem nostrum cotidianum da nobis hodie;
et dimitte nobis debita nostra,
sicut et nos dimittimus debitoribus nostris;
et ne nos inducas in tentationem;
sed libera nos a malo.

The conjunction Sicut means: just as, as if, exactly as, so as.

In ancient translations, as well as in the Atonite one, instead of „ვითარცა“ (as) there is a conjunction „რამეთუ“ (so that). Besides, this text (Luke’s Gospel, including its Greek version, initially mentions “sins” instead of “trespasses“. I will bring this passage completely (the Sabatsminda palimpsest analyzed above, does not contain this part of Luke’s Gospel)...:

„ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რამეთუ რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღითი-დღედ. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი , და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსნენ ჩუენ ბოროტისაგან“(ლუკა,11, 2-4).

“He Himself told them: When you pray, say this:

Our Father, who art in heaven, hallowed be thy name; thy kingdom come; thy will be done on earth as it is in heaven. Give us this day our daily bread; and forgive us our trespasses as we forgive those who trespass against us; and lead us not into temptation, but deliver us from evil”

The Greek original text:

·ναρέμη ‘θακ ὅτ νῖμη σοδιῶ νοισύοιπέ νὸτ νῶμη νοτρά νὸτ
,νῶμη ζαίτραμὰ ζὰτ νῖμη ζεφᾶ ἰακῆ
·νῖμη ἰπνολίεφὸ ἰτναπ νεμοίφά ἰοτύα ρὰγ ἰακ
.νόμσαριεπ ζῖε ζᾶμη ζηκγένεσιε ἦμ ἰακ

As we see, the Georgian translation is identical to the Greek text. Thus, we have analyzed different versions of one and the same phrase from the Lord’s Prayer¹ in Old Georgian trans-

1 (and forgive us our trespasses so that we forgive our trespassers) (Mathew 6,12 ?)
(and forgive us our sins so that we forgive our trespassers)...(Luke 11, 4)

lations and compared it with the Old Greek, Latin, Armenian and Russian versions. The prayer is given differently in different chapters of the Gospels, in the original versions as well as translations. Besides, ancient Georgian translations (of the text of “Mathew’s Gospel”) use the conjunction „რადთა“ (so that) instead of „ვითარცა“ (as). It should be noted that the conjunction ὡς- given in the Greek text, has “so that” as one of its meanings.

We have compared the phrase in question with the same phrase from the Lord’s Prayer in Armenian, Italian, Russian and English in order to reveal the semantic nuances and find the similarities and differences between the texts in the above-mentioned languages.

სარჩევი | CONTENTS

არუთუნ ხუდანანი

გამოჩენილი ქართველი ურარტოლოგის, გიორგი მელიქიშვილის ახალი გამოუქვეყნებელი მასალები მისი პირადი არქივიდან: გ. მელიქიშვილი და არმენოლოგია 19

HARUTYUN KHUDANYAN

NEW UNPUBLISHED MATERIALS FROM THE PERSONAL FUNDS OF GEORGIAN PROMINENT URARTOLOGIST GIORGI MELIKISHVILI: G. MELIKISHVILI AND ARMENOLOGY 23

ხათუნა ბაინდურაშვილი

ქართველებსა და ისმაილიტებს შორის ურთიერთობების ისტორიიდან (საკითხის დასმის მცდელობა)..... 32

Khatuna Baidurashvili

The History of Relations between Georgians and the Ismaili (An attempt to raise the issue)..... 36

თამარ გასიტაშვილი

სპარსული ნასესხობანი „რუსუდანიანში“ (სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური დამხმარე ქურჭელი) 40

Tamar Gasitashvili

Persian Loans in “Rusudaniani” (Specific Supplementary Vessels of Diverse Functions) 45

ქეთევან გიგაშვილი

ირაკლი ორჟონია

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ხელნაწერთა ბერძნულ ტექსტთან მიმართების საკითხისათვის 49

Ketevan Gigashvili

Irakli Orzhonia

The Relation between the Manuscripts of “The Life and Martyrdom of Eustathius” and the Greek Text 56

ნინო თავართქილაძე

გვიანანტიკური-ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია..... 63

Nino Tavartkiladze

Reconstruction of the Standard of Life of Georgia’s Population in the Late Antique and Early Medieval Epochs 68

ნიკოლოზ ჯღენტი

მამნე ოქრომჭედლის უცნობი ნამუშევარი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან და მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი73

Nikoloz Zhghenti

The Unknown Work of Goldsmith Mamne at St George Monastery and its Peculiar Unique Iconographic Detail 82

ირაკლი ფალავა

შუასაუკუნოვანი ქართული მონეტა ბაგრატ მეფის მადიდებელი ზედწერილით..... 90

Irakli Paghava

The Medieval Georgian Coin with the Inscription Glorifying King Bagrat 99

ელენე გიუნაშვილი

საქართველოს ძველი არამეული ეპიგრაფიკა: შესწავლის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები 107

Elene Giunashvili

The Old Aramaic Epigraphic Monuments in Georgia: The History of Study and the Issues of Contemporary Research.....112

თეა გოგოლიშვილი Gesta Francorum-ის დათარიღების საკითხისათვის.....	116
Tea Gogolishvili For the Issue of dating Gesta Francorum	119
გიორგი ბუცხრიკიძე 1991 წლის „ავვისტოს პუტჩი“ მოსკოვში და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მისადმი (ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების მიხედვით).....	120
Giorgi Butskhrikidze 1991 "August Putsch" in Moscow and the Attitude of the Georgian Authorities (Based on the Materials of the British and Irish Press)	123
თეიმურაზ ქარელი საბჭოეთის კოლაფსის საისტორიო პარადიგმები რუსისტკაში	125
Teimuraz Kareli The Historical Paradigms of the Collapse of the Soviet Union in Russian Studies	133
მიხეილ ქართველიშვილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ და მისი ბრძოლა აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ.....	140
Mikheil Kartvelishvili „The Union of Warrior Atheists“ and its Struggle Against the Easter Holiday.....	144
მალხაზ არჩვაძე თხრობის სტრატეგიები საკუთრისა და უცხოს კვლევისთვის: ქართულ-სპარსულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციათა შეხვედრა მე-17-18 საუკუნეებში	146

Malkhaz Archvadze

The Strategies of Narration in the Research of the Native and the Alien:
Contacts of Georgian-Persian Historiographic Traditions in the 17th and 18th Centuries 152

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

დავით ქელიძე

ს.ს. ორბელიანი „სიტყვის კონაში“ დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ 157

Nana Khocholava-Machavariani

Davit Chelidze

The Place of Certain Phytonyms Found in S. S. Orbeliani’s „Georgian Dictionary“ in “The Collective Dictionary of Plant Names” 159

ნათია კენჭიაშვილი

რიტორიკის პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი სახელმძღვანელო: „მოკლე რეტორიკა“ 162

Natia Kentchiashvili

The First Printed Textbook of Rhetoric in Georgian: “A Brief Review of Rhetoric” 170

გაბუნია ოთარი

ni3-ge16(GI%GI)-ის მნიშვნელობის დაზუსტება ზიუსუდრას მითში(CBS 10673) და მისი აქადური შესატყვისის nam-maštûm/nammaššûm ზოგადი სემანტიკის ხელახალი ინტერპრეტაციისთვის 176

Otar Gabunia

Identification of the Meaning of ni3-ge16(GI%GI) in Ziusudra Myth (CBS 10673) and a New Interpretation of the General Semantics of its Acadian Correlate nammaštûm/nammaššûm..... 179

ნანა ცეცხლაძე

მზია ხახუთაიშვილი

ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის,
დიגיტილიზაცია ენობრივ მონაცემთა მართვის
თანამედროვე პროგრამულ პაკეტ FLEx-ის გამოყენებით 182

Nana Tsetskhladze

Mzia Khakhutaishvili

Digitalization of the Georgian Language as
Agglutinative Language Using Modern Data
Management Programming Package FLEX 187

თორნიკე პოილარიშვილი

armai- ხეთური ზმნის გააზრებისათვის191

ornike Poilarishvli

On the Meaning of the Hittite Verb armai 193

მაია ბარნაველი

„მამაო ჩვენო“ ლოცვის სხვადასხვა ვარიანტები ძველ
ქართულ ხელნაწერებში 196

Maia Barnaveli

Different Versions of “The Lord’s Prayer“ in
Old Georgian Manuscripts.....200

კონფერენციის ორგანიზატორები CONFERENCE ORGANIZERS

www.scientia.ge
www.tbilisi.gov.ge
www.manuscript.ge
www.tsu.ge





Crossref